გიგლა აბდალაძე

თაყვანსაცემი მანდილოსნები

თბილისი 2009

ვუძღვნი დედაჩემის – **ვერიკო მესხიშვილის**
ნათელ ხსოვნას.

რედაქტორი **ნათელა ხურცილავა**

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
მავრა ბანცური
ირინა სიდამონიძე

წინასიტყვა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით 2004 წელს დაარსდა საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებისათვის მართლმადიდებლური ჟურნალი „ფუძე“.

მოკლე დროში ჟურნალში მკითხველთა თხოვნით შეიქმნა რუბრიკა „სახელოვანი ქართველი ქალები“, რომლის წარმართვა დამევალა თქვენს მონა-მორჩილს.

ღმერთის კარნახით შექმნილი საღვთო წიგნი „ბიბლია“ არაერთგზის შეგვახსენებს, - ებრაელი ერი ღვთისგან გამორჩეულიაო. ჩვენი ერის წმინდა წიგნი „ქართლის ცხოვრებაც“ გვკარნახობს ქართველი ერის გამორჩეულობას, რაიც ასახვას ჰპოვებს მართლაცდა სათაყვანო ქართველ მანდილოსნებში.

იმთავითვე აოცებდა ქართველი ქალის ფენომენი გამოჩენილ უცხოელ მოგზაურებს და მოაზროვნეებს. ქართველი მანდილოსანი გამოირჩეოდა გარეგნული სილამაზით, დედაშვილობის განსაკუთრებული მგრძნობელობით, კდემა-მოსილებით, სიდარბაისლით, გონიერებით, თავდადებით ქრისტიანული რწმენისა და ქართული ჯიშის გადასარჩენად და გასაძლიერებლად.

დიდებული აკაკი ბრძანებდა, თუ რომელიმე ხალხის გაცნობა გინდა, იმ ქვეყნის ქალები უნდა გაიცნო და შეისწავლოო.

ჭეშმარიტად, საოცრებაა ქართველი მანდილოსანი.

მსოფლიოში, ალბათ, ვერ ნახავთ ქვეყანას, რომლის განმანათლებელი, უბრწყინვალესი მეფეთ-მეფე და ქრისტიანული რწმენისთვის დიდმოწამე მანდილოსნები იყვნენ.

მოციქულთა სწორი, საქართველოს განმანათლებელი წმიდა ნინო, „სამგზის სანატრელი" თამარ მეფე, რომლის მბრძანებლობის პერიოდში სიკვდილით არავინ დასჯილა საქართველოში, დიდმოწამე წმიდა ქეთევანი, მთელი მაშინდელი ქრისტიანული სამყარო რომ განაცვიფრა არნახული მოწამეობრივი თავდადებით...

უთვალავია ქართველ თაყვანსაცემ მანდილოსანთა რიცხვი. მეტ-ნაკლები წარმატებით ცდილობდნენ და ცდილობენ მათი ღვაწლის წარმოჩენას სხვადასხვა კუთხით და მიმართებით ჩვენი ცნობილი კალმოსნები.

დამერწმუნებით, მაინც ზღვაში წვეთია ეს ყველაფერი...

წინამდებარე კრებული ამონარიდია მხატვრული ნარკვევებისა, რომელთა ერთი ნაწილი დაიბეჭდა ჟურნალ „ფუძეში". გაცილებით უფრო ვრცელი ნაწილი კი პირველად ქვეყნდება.

წიგნში მოთავსებული მხატვრული ნარკვევები ერთობ მცირე ნაწილია ღირსსახსოვარი ქართველი ქალების თავდადების ისტორიისა ანტიკური ხანიდან დღემდე.

ავტორს ღრმად აქვს შეგნებული, რომ მათი ღვაწლის შესწავლა და გამომზეურება სამომავლო პროცესია და თავის მხრივ ცდილობს უახლოეს დროში მკითხველს მიაწოდოს ახალი, ბევრად უფრო ვრცელი წიგნი ამავე სტილში შესრულებული, რომელსაც, რასაკვირველია, არ ექნება მეცნიერული კვლევის არავითარი პრეტენზია.

„ქართველებისთვის დედა მარტო მშობელი არ არის, ქართველი ღვიძლ ენასაც „დედაენას“ ეძახის, უფროს ქალაქს „დედაქალაქს“, მკვიდრსა და დიდ ბოძს „დედა ბოძს“, უდიდეს და უმაგრეს ბურჯს „დედაბურჯს“, სამთავრო აზრს დედა-აზრს“.

ილია

„თუ რომელიმე ხალხის გაცნობა გინდა, იმ ქვეყნის ქალები უნდა გაიცნო, შეისწავლო... ისინი არიან თავისი ქვეყნისა და ხალხის მაჩვენებელი, როგორც ბარომეტრი ტაროსის. და იმ ისტორიულ საოცრებაში, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ განიცადა, არათუ წილი უძევთ ჩვენ დედებს, კიდევაც აჭარბებენ მამაკაცებს... ისინი იყვნენ მათი აღმზრდელები; უხსოვარი დროიდანვე, ჯერ კიდევ კერპობის დროს, სახელგანთქმული იყვნენ ქართველი ქალები, მაგალითად: მედეა მთელი საბერძნეთისგან გრძნეულად მიღებული და ლეგენდარული პირი, და ქრისტიანობამ მთლად დააგვირგვინა ქართველი ქალის უფლება“.

აკაკი

მედეა

უძველესი, ანტიკური ხანა.

უმდიდრესი და უიშვიათესი ბერძნული მითები, თქმულებები, ლეგენდები, ზღაპრულ ფერებში რომ ასახავდა იმდროინდელ სინამდვილეს და სასწაულებრივად რომ მოაღწია ჩვენამდე ბერძნული წერილობითი წყაროების მეოხებით.

ერთ-ერთ ყველაზე უძველეს ამბავს მოგვითხრობს „თქმულება არგონავტებზე“.

ორ უძლიერეს ქვეყნად იყო დაყოფილი მაშინდელი მსოფლიო – ამ თქმულების მიხედვით – ბერძენთა და კოლხთა საბრძანისებად.

დასავლეთში, ბერძენთა სამყაროში, ყველაზე დიდი მბრძანებელი კრეტის მეფე მინოსი იყო და იგი ელინთა ღმერთების ოლიმპის მბრძანებლის ზევსის ძედ მოიხსენიებოდა.

აღმოსავლეთს კი განაგებდა კოლხეთის მეფე აიეტი, მძლეთამძლე გმირი, ასევე ღმერთის ჰელიოსის ძე.

ნათესაური კავშირიც არსებობდა ამ ორ უდიდეს მბრძანებელს შორის. აიეტის ღვიძლი და პასიფაე ცოლად ჰყავდა მინოსს.

უმდიდრეს ქვეყნად მიიჩნეოდა იმ პერიოდში კოლხეთი.

ქვიშასთან ერთად ოქროს მარცვლები ჩამოჰქონდა კავკასიის მთებიდან წყალუხვ მდინარეებს.

ცხვრის ტყავის ბეწვის მეშვეობით იჭერდნენ ოქროს მარცვლებს და ასე მდიდრდებოდა ქვეყანა.

თქმულების მიხედვით, ერთხელაც საბერძნეთიდან უფლისწული ფრიქსე გამოიქცა, რადგან სამშობლოში სიკვდილით დასჯა ელოდა. ფრიქსემ ოქროსმატყლიანი ვერძი მოიტაცა და კოლხთა მეფეს აიეტს ძღვნად მიართვა.

სიამოვნებით შეიფარა გამოქცეული ფრიქსე კოლხთა მბრძანებელმა და მალე დაისიძა კიდეც – ცოლად შერთო თავისი უფროსი ქალიშვილი ქალკიოპე.

დიდი სამეფო ჯალის შუაგულში ასწლოვანი მუხის წვერზე ჩამოკიდეს ოქროსმატყლიანი ვერძის ტყავი ნიშნად სამეფოს სიძლიერისა.

სიძლიერის და კეთილდღეობის სიმბოლოდ მიიჩნევდნენ ამ ოქროსმატყლიან ვერძს თავად ბერძნებიც.

ამიტომაც ვერა და ვერ ურიგდებოდნენ მის დაკარგვას.

ბოლოს გადაწყვიტეს, გაეგზავნათ გამობრძმედილი გმირი, თესალიელი მეფის აზონის ძე იაზონი სხვა სახელგანთქმულ გმირებთან ერთად ოქროს საწმისის გამოსახსნელად. საგანგებოდ ააგეს ამისათვის დიდი და ძლიერი ხომალდი „არგო“ და შეუშვეს ზღვაში.

ბევრი იხეტიალა „არგომ“, სანამ კოლხეთის სამეფოს მიაღწევდა. დიდი წვალებისა და დავიდარაბის შემდეგ არგონავტები მიადგნენ სანაპიროს და მდინარე ფაზისში (რიონში) შეაცურეს გემი.

ტაატით მიიწევდნენ წინ კოლხეთის აყვავებული მთა-ბარის მაცქერალი არგონავტები ქალაქ კუტაიასაკენ (ქუთაისი). კუტაია სატახტო ქალაქი იყო კოლხთა სამეფოში.

უძლიერესი იყო იმხანად კოლხეთის სამეფო. უძლიერესი და უმდიდრესი. რაღა თქმა უნდა, ამ ქვეყანას არგონავტები ბრძოლით ვერ დაამარცხებდნენ. ამიტომაც ქალაქში შესვლა გემით ვეღარ გაბედეს და ხომალდი ლელიანებსა და ლაქაშებში შეყუჟეს.

თათბირის შემდეგ არგონავტებმა გადაწყვიტეს: მშვიდობიანი მოლაპარაკების, ხვეწნა-მუდარის გზით მოეპოვებინათ სანატრელი ოქროს ვერძი.

თავად ეახლა არგონავტების სარდალი ორი თანმხლებით მეფე აიეტს.

გულუხვად გაუმასპინძლდნენ სტუმართმოყვარეობით ოდითგანვე განთქმული კოლხები და მეფე აიეტი ბერძენ სტუმრებს. ბოლოს სტუმრობის მიზეზიც ჰკითხეს.

ძლივს ამოღერღა იაზონმა სათქმელი. უაღრესად თავმდაბლად აუწყა ბერძენთა აჯა აიეტს.

სასტიკად განრისხდა კოლხეთის მეფე პირველხანს. მაინც მოულბო გული ბოლოს ბერძენთა ხვეწნა-მუდარამ და გადაწყვიტა დაეთმო ბერძნებისათვის ოქროს საწმისი მხოლოდღა ერთი პირობით: უზარმაზარ ფოლადის გუთანში უნდა შეება იაზონს ცეცხლისმფრქვეველი სპილენძისჩლიქიანი ხარები და ნახევარ დღეში მოეხნა ოთხი დღის სახნავი მიწა. და კიდევ: ხნულში დრაკონის კბილები უნდა ეთესა, რომლებიც უმალ გაღვივდებოდნენ და აღმოცენდებოდნენ ურჩხულთა უზარმაზარ არმიად, რაიც იაზონს ხმლით უნდა აეკაფა.

შეუძლებელი იყო ჩვეულებრივ მოკვდავთაგან ამ პირობის შესრულება. ამიტომაც შეძრწუნდა პირველხანობას იაზონი, მაგრამ ბოლოს მაინც დათანხმდა მეფეს დათქმულ წინადადებაზე, ალბათ ღვთის შთაგონებით.

მეორე დღისათვის დაისახა შერკინება.

დაღონებული დაბრუნდნენ იაზონი და მისი თანმხლებნი გემზე. მწარე ფიქრებმა შეიპყრო მთელი ხომალდი.

თითქოსდა არ ჩანდა პასუხი ერთხანს.

თავად ღმერთებმა მოუვლინეს მხსნელი ბოლოს...

ულამაზესი და უნიჭიერესი ასული ჰყავდა კოლხთა მბრძანებელს. მედეა იყო მისი სახელი.

კოლხეთში იმხანად საქვეყნოდ განთქმული უზარმაზარი ბაღი ჰქონდათ გაშენებული, სადაც ხარობდა უთვალავი სამკურნალო მცენარე, ყვავილნარი, ბალახეული.

საქვეყნოდ იყო განთქმული აგრეთვე ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მედეას სახელი, როგორც სამკურნალო მცენარეებისა და ბალახების უებრო მცოდნისა და წამლების დამამზადებლისა.

ერთგვარი გადახვევა:

დღეისათვის ზოგიერთი მეცნიერი დარწმუნებით ამტკიცებს: თავად სახელწოდება „მედიცინა" ლეგენდარული მედეას სახელს უკავშირდება, აქედან წამოდგებაო. ვინ იცის, იქნებ, მართლაც ასეა, არა? მაგრამ ეს სულ სხვა თემაა.

დავუბრუნდეთ სათქმელს:

უცნაური ზმანება იხილა მედეამ იმხანად, იაზონი და მისი თანმხლები პირები კოლხეთისაკენ რომ მიიჩქარონდნენ.

... ჰაერში რაღაც მომხიბვლელი ხმა გაისმოდა და მიწაზე იდგა უცნობი საარაკო ყმა. თითქოსდა თვალი მოსჭრა და დააბრმავა მედეა მისმა ცქერამ. და იგრძნო ასულმა პირველად შემბორკველი ძალა.

და ახლა, მეფის სასახლეში სტუმრად მოსული იაზონი რომ იხილა, იგივე ძალა დაეუფლა და გაოგნდა. ტყუპის ცალივით მოჰგავდა ბერძენი გმირი სიზმრად ნანახ მოყმეს, გმირს, რომელსაც მომაკვდინებელი წინადადება მისცა მედეას მამამ.

უჩვეულო დარდმა მოიცვა მედეას არსება. და კვლავ ახალი გამაოგნებელი სიზმარი იმ ღამით – თითქოს უცხოელმა ის სარისკო წინადადება საწმისისათვის კი არა, მედეასათვის მიიღო მხოლოდ. მისი ცოლად შერთვა განიზრახა და იმიტომ. მერე სიზმარში თავად მედეამ შეაბა უღელში ის ხარები და გადაწყვიტა კიდეც მრისხანე ამოცანა. მშობლები მაინც არ ასრულებდნენ დათქმულ პირობას, რადგან გუთანში ხარების შებმა უცხო მოყმეს ებრძანა და არა ქალწულსო. დიდხანს გაგრძელდა დავა სიზმარში, ბოლოს თავად მედეას მიანდვეს, გამოეტანა გონივრული განაჩენი. ზურგი აქცია თავისი განსჯით მედეამ მშობლებს, გადამთიელი ამჯობინა მათ. მიდამო შეძრა განრისხებული მშობლების ძახილმა და... მედეას გამოეღვიძა. ბურანიდან გამოსულმა თითქოსდა მტკიცედ გადაწყვიტა: დაე, უცხოელმა აქაიაში შეირთოს გულის სწორი. მე კი აქ დავრჩები ჩემი უბიწოებით, ნუგეშად ჩემთა მშობელთაო.

მაგრამ ასე როდი სჯიდა არსთა განმრიგე. მედეას მისი და, ქალკიოპე, ფრიქსეს მეუღლე, ესტუმრა. ცრემლად იღვრებოდა საბრალო ქალი. მიზეზი ჰკითხა მედეამ, დიდხანს ყოყმანობდა ქალკიოპე, ბოლოს მაინც ამოღერღა. ყური

მოვკარი ჯორად თქმულს, ამ ამბავს ჩემი შვილებიც შეეწირებიანო. ამიტომაც შეევედრა მედეას, შეეზავებინა რაიმე წამალი ბერძენთა საშველად. მთელი ღამე გაათია მძიმე ფიქრებით შეპყრობილმა მედეამ. ბოლოს მაინც გადაწყვიტა სათანადო წამლები გადაეცა იაზონისათვის. იმ წამლებით იაზონი მოუწყვლადი იქნებოდა და ასპარეზობაში გაიმარჯვებდა.

ორი მოახლის თანმხლებით ესტუმრა მედეა ძვირფასი ეტლით მკურნალი ღმერთის ჰეკატეს ტაძარს. იქ უნდა შეხვედროდა იგი უძვირფასესი სამოსით მოსილ და თვით ქალღმერთ ჰერას ძალისხმევით ერთობ გაბრწყინებულ იაზონს. დაწვრილებით აუხსნა მედეამ მას, როგორ მოეხმარა მალამოები და როგორ შებრძოლებოდა განსაცდელს.

თავად იაზონიც არ დარჩა ვალში და მადლობის ნიშნად მედეას ახარა: ელადა მარადის შენზე ილოცებს, რადგან ამით სიცოცხლეს აჩუქებ მათ შვილებს, ხოლო ჩემს სახლში კანონიერი მეუღლე იქნები და ჩვენს კავშირს ვერაფერი დაშლის, სიკვდილის გარდაო.

... უზღვავი ენერგია დაეუფლა მეორე დღისათვის მედეას გრძნეული წამლების მეოხებით იაზონს, ამიტომაც მიაშურა თამამად არესის ველს – ბრძოლის ასპარეზს. შესაშური პუნქტუალობით შესრულებული მედეას დარიგებების წყალობით იაზონმა მიაღწია მიზანს – კოლხთათვის ჯერაც უხილავ გამარჯვებას.

მაშინვე იაზრა კოლხთა ბრძენმა მბრძანებელმა, ელინთა მხრიდან რაღაც ვერაგულ გარიგებას რომ ჰქონდა ადგილი და გადაწყვიტა ვერაგობითვე ეპასუხა – აღეგავა ბერძნები.

უმალვე ამოიცნო მეფის განზრახვა მედეამ და დაუყოვნებლივ უამბო იაზონს ყოველივე, თანაც გადასცა

გრძნეული სითხე, რითაც ოქროს საწმისის მცველ გველეშაპს დააძინებდა და უმტკივნეულოდ საწმისის მოტაცებას შეძლებდა, რაც იაზონმა მაშინვე აღასრულა.

მშვიდობით გასცურა იმავე ღამით „არგომ“ ფაზისიც და ელადისაკენ გაემართა. მთელი ხომალდი მხიარულობდა გამარჯვებას, მხოლოდღა ერთი მათგანი იყო გულდათუთქული და დამწუხრებული. უზარმაზარი მსხვერპლი გაიღო მედეამ, სამუდამოდ მოწყდა იგი თავის სამშობლოს, მიწა-წყალს.... უცხოელებს მიანდო თავი და მომავალი. ხომალდ „არგო“-ს გემბანზე მდგომი მედეა, აკაკის თქმით, ასე დაემშვიდობა სამშობლოს:

„მშვიდობით, ჩემო ტკბილო ქვეყანა!...
მშვიდობით, ჩემო სამშობლო მხარე!
მშვიდობით, ჩემო სალოცავებო,
მზევ, ვარსკვლავებო და ნაზო მთვარე!“

მშვიდობით მიიკვლევდა ზღვის ბილიკებს ხომალდი „არგო“ ერთხანს, მაგრამ აიეტსაც არ ეძინა. უმალ უბრძანა მან შვილს აფსირტეს, ძლიერი ფლოტით დადევნებოდა ბერძნებს. მისწვდა კიდევ გაშლილ ზღვაში აფსირტე არგონავტებს. ცბიერმა ბერძნებმა აფსირტე მოსალაპარაკებლად „არგოზე“ მიიწვიეს და კვლავ ღალატი: ზურგით მდგომ აფსირტეს ჩასაფრებულმა იაზონმა შუბი აძგერა და განგმირა. ღალატით გაოგნებულ კოლხებს არგონავტებმა მძლავრად შეუტიეს. კოლხთა ფლოტი გაიფანტა. ვისაც მისწვდნენ ბერძნები, აოტეს, დანარჩენებმა აიეტის შიშით სხვადასხვა კუნძულს შეაფარეს თავი და იქ დამკვიდრდნენ.

მრავალი ხიფათი გადახდათ თავს არგონავტებს ამის

შემდეგაც. მუდამ გამარჯვებული გამოდიოდნენ ისინი მედეას სიბრძნის და გრძნეულობის წყალობით ყოველგვარი დაბრკოლებისაგან.

მშვიდობით დაბრუნდნენ ბოლოს გამარჯვებული არგონავტები ელადაში ოქროს საწმისთან და მედეასთან ერთად.

ათი წელი ცხოვრობდა მედეა იაზონთან მშვიდად და უზრუნველად. ორი შვილიც გაუჩნდა. ყოველმხრივ ცდილობდა დედა, კოლხებისადმი სიყვარული ჩაენერგა შვილებისათვის. ხშირად ეუფლებოდა სამშობლოს ნატვრა მარტოობაში ყოფნის დროს, სევდა სამშობლოს, მშობლების გამო. წესად დაჩემდა, ხშირად ერთსადაიმავე დროს მიადგებოდა ხოლმე იგი ზღვის ნაპირს და დიდხანს, დიდხანს გასცქეროდა შორეთს, იმ იმედით, იქნებ კოლხეთის გემი გამოჩნდესო... ამაოდ...

დიდი ტრაგედია მწიფდებოდა ამასობაში მედეას თავს. ცბიერმა იაზონმა საშინელი ღალატი ჩაიდინა. გადაწყვიტა ცოლად შეერთო კორინთოს მეფის ერთადერთი ასული კრეუსა, რათა ამით დაუფლებოდა კორინთოს სამეფო ტახტს.

მეხის გავარდნას ჰგავდა ეს ამბავი მედეასათვის. კარგა ხანს იბობოქრა – მერე დაწყნარდა, გონება მოიკრიბა და გარეგნულად ისე ეჩვენა იაზონს, თითქოსდა შეურიგდა კიდევ განსაცდელს.

ხელთუქმნელი მოსასხამი მოქსოვა მედეამ დღე და ღამის გასწორებით. მოქსოვა და იაზონს სთხოვა, ქორწილის დღეს მის შვილებს მიერთმიათ პატარძლისათვის, რათა მომავალ დედოფალს მედეას შვილები შეეყვარებინა.

უძვირფასესი მოსასხამით აღფრთოვანებულმა კრეუსამ მოსასხამი იმავე წამს მოისხა და... ცეცხლის ალში გაეხვია.

გაცოფებული ბრბო ბავშვებს დაედევნა. ბავშვები ტაძარში შეცვიდნენ და საკურთხეველს შეაფარეს თავი. წესად იყო, ურყევ წესად, ხელი არ ეხლოთ ტაძარში შეფარებულთათვის... არად ჩააგდეს ეს წესი, ორთავე ბავშვს ყელი გამოღადრეს მახვილით...

ათი საუკუნე განიცდიდნენ კორინთელები უმწეო ბავშვების დახოცვით ჩადენილ ცოდვას. მერე კი უდიდესმა ბერძენმა დრამატურგმა ევრიპიდემ ტრაგედიაში „მედეა" ეს ცოდვა იაზონზე განრისხებულ მედეას დააკისრა და შვილები დაახოცინა. ბევრმა ბერძენმა სწავლულმა და შემოქმედმა უარყო შემდგომში მედეას მიმართ ეს ბრალდება. ხოლო ერთმა მათგანმა – კლავდიუს ციანუსმა – დაბეჯითებით განაცხადა: კორინთელებმა ევრიპიდეს იმ დროისათვის უდიდესი თანხა – ხუთი ტალანტი მისცეს ქრთამად, რათა ქვეყნისთვის ბავშვების დახოცვის ლაქა ჩამოეშორებინათო.

... უამრავი მითი, თქმულება, ლეგენდა შექმნეს ბერძნებმა არგონავტებსა და მედეაზე. ასევე უამრავი მწერლის შემოქმედების წყარო გახდა კოლხი ქალის სახე და ქმედებანი. არაერთ თქმულებაში მედეა თავისი ხასიათით ნამდვილი კოლხი (ქართველი) ქალია: ლამაზი, ენერგიული, შეუპოვარი, მოსიყვარულე, ოჯახის ერთგული, მოღალატე ქმრისადმი დაუნდობელი...

ამიტომაც იქცა ერთი ხანობა საბერძნეთში მედეა თითქმის კულტად – მის სახელზე ტაძრებს აგებდნენ, მას ლექსებს უძღვნიდნენ, გმობდნენ, ამართლებდნენ.

კოლხ ქალთა სიმამაცეს და სიტურფეს არაერთი ბერ-

ძენი მწერალი უმღერის ანტიკურ ხანაში. თვით დიდი ესქ-ილე „მიჯაჭვულ პრომეთეში“ ერთგან წერს: „კოლხეთის გმირნი, ყმაწვილნი, ქალნი, ომში მამაცნი და უშიშარნი“.

ბოლოს მედეა, აკაკის მიხედვით, გმობს თავის ქმედებას მამის მიმართ. ბრუნდება კოლხეთში, ურიგდება მამას და ეხმარება კიდეც დაკარგული ტახტის დაბრუნებაში... მაინც საშშობლო მიწამ მიიბარა ტანჯული მედეა სამარადისოდ.

მოციქულთა სწორი, ქართველთა განმანათლებელი

(„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით)

უცილობელი ფაქტია, მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, გარდა საქართველოსი, სადაც უპირველესი განმანათლებული, უდიდესი წამებული და უთვალსაჩინოესი წინამძღოლი ერისა ქალები უნდა ყოფილიყვნენ...

– წმიდა ნინო, წმიდა ქეთევან წამებული, წმიდა თამარ მეფე...

წმიდა ნინო, მოციქულთა სწორი, ქართველთა განმანათლებელი!

კაბადოკიაში დაიბადა იგი.

ისტორიული წყაროების მოწმობით, უძველეს დროში კაპადოკია პონტოელი ქართველებით ყოფილა დასახლებული.

გენეტიკურად მოსდგამდა, ალბათ, ტანმშვენიერ წმიდანს კდემამოსილება, სისპეტაკე, გულწრფელობა, თავდადება მოყვასისათვის, ქრისტიანული მოძღვრებითა და რწმენით კიდევ უფრო გაძლიერებული და განმტკიცებული.

ამიტომ იყო წმინდა ნინო სამაგალითო, მიბაძვის საგანი და ხასიათის ჩამომყალიბებელი სახელოვან ქართველ ქალთა შემდგომი პლეადებისა.

მამა წმიდა ნინოსი, ზაბილონი, რომის ერთ-ერთი მხედართმთავარი იყო და ხმლით ხელში იცავდა ქრისტიანობას მტერთაგან. შემდგომში ზაბილონი იერუსალიმში გადავიდა და ღვთისმსახური გახდა. აქ მან ცოლად შეირთო იერუსალიმის პატრიარქის და – სუსანა.

დაოჯახებული ზაბილონი მშობლიურ კაპადოკიას დაუბრუნდა და იქ შეეძინა ქალიშვილი, რომელსაც უწოდეს ნინო.

დიდხანს არ დარჩენილა ზაბილონი კაპადოკიაში. გული კვლავაც იმ ადგილებისაკენ მიუწევდა, სადაც უფალი ჩვენი იესო ქრისტე იშვა. ამიტომ მალე მთელი თავი ქონება ღარიბ-ღატაკთ და უპოვართ დაურიგა, იერუსალიმს დაუბრუნდა და ისევ ღვთისმსახურებას შეუდგა.

12 წლის იყო ნინო, როდესაც მისი აღზრდა დედის ძმამ, იერუსალიმის პატრიარქმა, იკისრა.

ბავშვობიდანვე ნინო ღვთისმოშიში და ღვთისმოყვარე იყო. იგი უდიდეს ცნობისწადილს ამჟღავნებდა ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრებისადმი. დედაც მხურვალედ უამბობდა ასულს ქრისტეს შობის,

ჯვარცმის, დაფლვისა და აღდგომის, „სამოსელისა მის და ტილოთა და სუდარისა და ჯუარისა“ და სხვათა შესახებ. განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ქალწული ქრისტეს კვართთან დაკავშირებით. როცა გაიგო, გაყოფისას კვართი ქრისტესი მცხეთელ ებრაელ ელიოზს ხვდა წილადო, მაშინვე იკითხა: „სად არს ჩრდილო იგი ქუეყანა, სადაც იგი მოსრულთა მათ ჰურიათა წილ ხუდა და წარიღეს სამოსელი იგი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი?“.

იმავდროულად წმინდა ნინო იმითაც დაინტერესდა, რომ რომის დედოფალს „აქუს დიდი წადიერება ქრისტეს სჯულისა და ნათლისღებისათვის“ და თავის ბიძას, იერუსალიმის პატრიარქს თხოვნით მიმართა „მოვიდე წინაშე დედოფლისა, ელენესთა, ნუ უკუე მოვიახლო მის წინაშე სიტყვისგებად ქრისტესთჳს“. ბიძამ წმიდა ნინოს განზრახვა მოუწონა და დალოცა:

„უფალო, ღმერთო საუკუნეთაო, ჴელთა შენთა შევვედრებ ობოლს ამას, შვილსა დისა ჩემისასა, და წარვავლინებ ქადაგებად ღმერთეებისა შენისა, რათა ახაროს აღდგომა შენი; სადაცა სათნო იყო სრბა მისი, ექმენ ქრისტე ღმერთო, ამას მოგზაურ, ნავთსადგურ, მოძღუარ და ენამეცნიერ, ვითარცა – იგი წინათა მათ მოშიშთა სახელისა შენისათა“.

„და იჯმნა დედისაგან თჳსისა, ამბორს-ყოფითა განშორებისათა და გამოსახა მას ზედა სასწაული ჯუარისა: და ესრეთ ლოცვითა ღმრთისა მიმართ და კურთხევითა განუტევა“.

რომში წმიდა ნინო იმთავითვე დაუახლოვდა მეფეთა ნათესავს რიფსიმეს და მის დედამძუძეს

გაიანეს. მალე წმიდა ნინომ ორივენი ქრისტიანულ რწმენას აზიარა, ამის შემდეგ ორმოცდაათი დედაკაცი, კიდევ მოაქცია ქრისტეს რჯულზე. ამასობასი რომის იმპერატორმა დიოკლეტიანემ მორიგი ხოცვა-ჟლეტა გაუმართა ქრისტეს რჯულის მიმდევრებს. წმიდა ნინო, რიფსიმე და გაიანე იძულებული გახდნენ, შორს გადახვეწილიყვნენ და თავი სომხეთს შეაფარეს. რიფსიმე და გაიანე იქ დარჩნენ და სომეხთა გაქრისტიანებას შეუდგნენ, ხოლო წმიდა ნინომ, რაკიღა ახლოს იყო მცხეთასთან, მტკიცედ გადაწყვიტა, აესრულებინა სიყრმის ოცნება – ჩასულიყო მცხეთას, ეხილა ის ადგილი, სადაც ქრისტეს კვართი ეგულვებოდა და იქაურები ჯეშმარიტ სარწმუნოებაზე მოექცია.

პირველად წმიდანი ჯავახეთს მივიდა და ფარავნის ტბასთან მწყემსებს და მეთევზეებს დაწვრილებით გამოჰკითხა, „რომლისა სოფლისანი“ იყვნენ და რა გზით უნდა მიეღწია მცხეთამდე.

მალე წმიდა ნინო ქართლის სანახებს მიუახლოვდა, ურბნისში შეჩერდა და იქ იხილა „ერი უცხოთა თესლთა ღმერთთა მსახურნი“, მალე იქიდან მთელი ხალხი მცხეთისაკენ დაიძრა „ზორვად წინაშე არმაზ ღმერთისა მათისა“. ხალხის დინებას თვალცრემლიანი წმიდა ნინო შეუერთდა. იგი აშკარად ხედავდა და სასტიკად განიცდიდა ამ ხალხის წარწყმედას.

არმაზის ციხესთან „იხილა წმიდამან ნინო რამეთუ დგა კაცი ერთი სპილენძისა. და ტანთა მისსა ეცუა ჯაჭუ ოქროსი, და თავსა მისსა ჩაბალახი მყარი და თუალნი ესხნეს ზურმუხტი და ბივრილი, და ჭელთა მისთა

აქუნდა ჴრმალი ბრწყინვალე ვითარცა ელვა“. არმაზის ქანდაკების მარჯვნივ იდგა „კაცი ოქროსი“, სახელად გაც, და მარცხნივ „კაცი ვერცხლისა“, გაიმ.

გულმხურვალედ ილოცა ნინომ, ქრისტე ღმერთს კიდევ ერთხელ შეავედრა წარმართი ერი და ყოვლადძლიერს შესთხოვა, მოეხდინა სასწაული რამ.

დაასრულა თუ არა ლოცვა წმიდამან, უმალ ამოვარდა ქარიშხალი „ხმითა საზარელითა“, მოვიდა სეტყვა და დელგმა, რამაც „დააწულილნა კერპნი იგი და დამუსრნა“. შეშფოთებული ხალხი მცხეთას ილტვოდა, წმიდა ნინო კი „დარჩა მშვიდობით ადგილსა მას სადა პირველ შესრულ იყო“ და გულმხურვალედ განაგრძობდა ლოცვას, წარწყმედისაგან რომ ეხსნა იქაურები.

ბოლოს წმიდა ნინო ჩავიდა მცხეთას. იქ მეფის მებაღის ოჯახს შეეკედლა... ოჯახს შვილი არ ჰყავდა, რასაც ცოლ-ქმარი ძლიერ განიცდიდა. წმიდა ნინოს ლოცვითა და კურნვით მალე ოჯახში პატარა გაჩნდა, გახარებული ცოლ-ქმარი ქრისტეს ჯეშმარიტ სარწმუნოებას ეზიარა.

ამის შემდგომ წმიდა ნინომ ქალაქის ზღუდის გარეთ შეარჩია მაყვლოვანით დაფარული ადგილი „ბრაწმი“, „შექმნა იგი საყოლად თჳსა, და შექმნა ჯუარი ნასხლავისა“, შეკრა იგი თავისი თმებით „და აღმართა ქოჩსა მას ქვეშე, და მარადის ლოცავნ დღე და ღამე დაუცხრომლად“.

გულმხურვალე ლოცვებითა და ქადაგებებით მოციქულთა სწორი დამაჯერებლად განუმარტავდა და არწმუნებდა მსმენელს, „ღმერთი არს ცათა შინა,

უხილავ არს თავად იგი ყოვლითა დაბადებულთა-
გან, თუნიერ ძისა მისისა, რომელი მისგან გამოვიდა,
და ქვეყანასა ზედა გაჩნდა ვითარცა კაცი, რომელ-
მან აღასრულა ყოველი, რომლისთჳს მოსრულ იყო,
და აღვიდა მათვე სიმაღლეთა მამისა თანა, და იხილა
მხოლოდ დაუსაბამო, რომელი მაღალ არს და მდა-
ბალთა ხედავს".

სახელი ახალი რჯულის მქადაგებლისა და უე-
ბრო მკურნალისა სწრაფად მოეფინა მცხეთას და მის
შემოგარენს. იმხანად თავად ქართლის დედოფალი
ნანა მძიმე სენს შეეპყრო და საქვეყნოდ ცნობილი
მკურნალნი ვერას შველიდნენ. ბოლოს დედოფალმა
ინება ახალი რჯულის მქადაგებელი და მკურნალი
მოეხმოთ. წმიდა ნინომ თავისთან მიიწვია დედოფა-
ლი ნანა და ლოცვითა და კურნვით გამოაჯანმრთელა
იგი.

მადლიერი დედოფალი ნანა ჯეშმარიტ სარწმუ-
ნოებას ეზიარა, ხოლო მეფე მირიანი კვლავ კერპებს
სცემდა თაყვანს და განიზრახა კიდეც დედოფლის
სამაგალითოდ დასჯა. სწორედ ამ დროს იგი მოწამე
გახდა უდიდესი სასწაულისა.

ერთ დღეს სანადიროდ წასული მირიანი ამალას
ჩამოსცილდა და თხოთის მწვერვალზე მარტო ასვლა
ინება, რათა ერთხელ კიდევ თვალი შეევლო თავისი
საბრძანისისათვის. როგორც კი მეფემ მწვერვალზე
ფეხი შედგა, უცებ მზე დაბნელდა და ირგვლივ უკუ-
ნი ჩამოწვა. შეშინებულმა მირიანმა თავის ღმერთებს
უხმო საშველად, ამაოდ. მაშინ კიდევ უფრო შეშ-
ინებულმა და დამფრთხალმა მეფემ წმიდა ნინოს

ღმერთს სთხოვა შველა. სასწაული მოხდა. გარემო განათდა.

განცვიფრებული და მადლიერი მეფე მირიანი წმიდა ნინოსთან მივიდა. ჯეშმარიტი ღმერთი – ქრისტე ირწმუნა და საბერძნეთს დესპანი გაგზავნა, რათა კეისარს ახალი სარწმუნოების მსახურნი გამოეგზავნა ქართველთა გასაქრისტიანებლად.

სანამ საბერძნეთიდან მოძღვარნი ჩამოვიდოდნენ, მირიან მეფემ განიზრახა, აეგო ქრისტიანული ტაძარი. წმიდა ნინოს რჩევით, მშენებლობა დაიწყო სწორედ იქ, სადაც სამი საუკუნის წინ დაკრძალეს სიდონია ქრისტეს კვართით ხელში. იმ ადგილას, როგორც ცნობილია, აღმოცენდა ნაძვის ხეები და მათ შორის უზარმაზარი კვიპაროსი. ხეები მოჭრეს, სვეტებად დადგეს და ტაძრის მშენებლობა დაიწყეს. ექვსი სვეტი თავისუფლად აღმართეს, მეშვიდეს კი ძვრა ვერ უყვეს. მაშინ წმიდა ნინომ მთელი ღამე ილოცა. შედეგად დილით უცხო ჯაბუკი მოვიდა, სვეტი აღმართა და დაათუძნა.

მეფის ბრძანებით და წმიდა ნინოს ლოცვით საბერძნეთით მოწვეულმა მოძღვრებმა მტკვარი აკურთხეს და ქართლი განანათლეს. მთებში მცხოვრებნი მაინც მყარად იდგნენ და თაყვანს კვლავაც კერპებს სცემდნენ. მეფე მირიანმა განიზრახა ისინი ხმლის ძალით მოექცია ქრისტეს რჯულზე, მაგრამ წინდა ნინო და ეპისკოპოსი იოანე წინ აღუდგნენ მეფის განზრახვას და განმარტეს: „არა ბრძანებულ არს უფლისაგან მახვილის აღება, არამედ სახარებითა და ჯუარითა პატიოსანითა უჩვენოს გზა ჯეშმარიტი“.

წმიდა ნინო ქართლში მოღვაწეობის თოთხმეტი წლის შემდგომ ბოდბეში დამკვიდრდა, იქ გარდაიცვალა და ანდერძისამებრ იქვე დაიკრძალა.

სახელოვან ქართველ ქალთა მარადიული ზრუნვა და ურვა ღვთისმშობლის წილხვედრი ჩვენი ქვეყნისათვის შესანიშნავი მხატვრულობით გადმოგვცა დიდმა აკაკიმ პოემა „თორნიკე ერისთავში“. რადგან აკაკის დროსაც ჩვენს ხალხში განელებულიყო რწმენა და სწრაფვა მომავლისაკენ და ქვეყანა გულგრილობას მოეცვა... ზეცის მბრძანებელი ჩვენზე გამწყრალი ჩანდა...

„...სულმნათსა საქართველოსას
ღვთისმშობლობის დღეს ერთი სიზმარი
ენახა: ქვეყნად ჩამოსულიყვნენ
ნინო, ქეთევან და თვით თამარი.
თამარს თავს ედგა ძლევის გვირგვინი
და ქეთევანსა – წმინდა მოწამობის
ნინოს ხელთ ეპყრა ჯვარი ვაზისა,
ნიშანი დიდი ქრისტიანობის.
ზეცად აღეპყრათ სამთავეს თვალნი,
საქართველოსკენ იშვერდნენ ხელსა
და შეერთებით, ხმაშეწყობილად,
ჰგალობდნენ ტკბილსა საგალობელსა.
– დედაო ღვთისავ! შენი ხვედრია
ეს საქართველო დიდჭირნახული,
შეუნდევ ცოდვა! ნუ აიღებ ხელს,
ლმობიერებით იბრუნე გული.
მოეც კურთხევა ზეცის, მაღალო,

და გადმოსახე ძლიერად ჯვარი,
რომ აღადგინოს ქართველი ერი,
დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი!
მისსა მხნეობას, მისსა ზნეობას
განუმტკიცებდე აღმაფრენასა.
და შენს საქებრად, სადიდებელად
ნუ დაავიწყებ იმ ტკბილ ენასა,
რომლითაც თამარ ბრძანებას სცემდა,
ქეთევან მარად შენ გადიდებდა
და ნინო ძისა შენისა მცნებას
შენგან რჩეულ ერს უქადაგებდა“.

წმიდა სალომე უჯარმელი და პეროჟავრი სივნელი

მოციქულთა სწორის, ქართველთა განმანათლებლის წმიდა ნინოს ჯეშმარიტ სარწმუნოებაზე მოქცეულთა შორის განსაკუთრებით გამოსარჩევია წმიდა სალომე უჯარმელისა და პეროჟავრი სივნელის ღვაწლი. ისინი უახლოესი თანაშემწენი იყვნენ მოციქულთა სწორისა და მასთან ერთად იტანდნენ მრავალ ჯირსა და დევნას ქრისტეს სარწმუნოების გავრცელებისათვის.

ორივე ეს მანდილოსანი ქართლის სამეფოს უმაღლესი წრის წარმომადგენლები იყვნენ. სალომე უჯარმელი მირიან მეფის ძის რევის მეუღლე იყო, ხოლო პეროჟავრი სივნელი – ქართლის ერთ-ერთი ერისთავისა.

მათ უყოყმანოდ დათმეს ამქვეყნიური სიკეთენი თუ სიამოვნებანი და მთელი არსებით ჩადგნენ წმიდა ნი-

ნოს ღმერთის სამსახურში, წამითაც არ შორდებოდ-
ნენ მას და სიტყვით თუ საქმით წმიდა ნინოს გვერდით
იდგნენ, იწვრთნებოდნენ მოციქულთა სწორისაგან
ლოცვით, მარხვით და წმინდა საქმეებით, თავიანთი
წვლილი შეჰქონდათ ქრისტეს მოძღვრების გავრ-
ცელებაში.

წმიდა სალომემ წმიდა ნინოს შთაგონებით და
მეფე მირიანის ბრძანებით ჯვარი პატიოსანი აღმარ-
თა უჯარმაში.

საყოველთაოდ ცნობილია, წმიდა ნინომ ამქვეყნი-
ური არსებობის და მოღვაწეობის უკანასკნელი წლები
ღვთის ნებით ბოდბეში რომ გაატარა. ისიც ცნობილია,
სიცოცხლის უკანასკნელ წლებში რომ დასნეულდა.
წმიდა სალომე და პეროქავრი სივნელი მუდამდღე
მასთან იყვნენ და მის სურვილებს ასრულებდნენ. წმი-
და ნინომ ბოლოს სთხოვა მათ, „მოიხუენით საწერელ-
ნი და დაწერეთ გლახაკი და უდები ცხოვრება ჩემი,
რათა უწყოდიან შვილთაცა თქუენთა სარწმუნოება
თქუენი და შეწყნარება ჩემი, და სასწაულნი ღმრთი-
სანი, რომელ გიხილვან.

მაშინ მსწაფლ მოიხუნეს საწერელნი სალომე
უჯარმელმან და პეროქავრი სივნელმან: იწყო სი-
ტყუად წმიდამან ნინო, ხოლო იგინი წერდეს". ასე
და ამდაგვარად ჩაწერეს წმიდა სალომემ და პერო-
ქავრიმ წმიდა ნინოს ცხოვრება, რომელიც შეტანილი
იქნა შემდგომში ქართველთა მატიანეში „ქართლის
ცხოვრებაში".

„უმჯობეს არს ჩემთვის სიკუდილი"...

(„ქართლის ცხოვრების" მიხედვით)

წმიდა არჩილ მეფის მოწამებრივი აღსასრულის შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა იოანემ და ჯუანშერმა სამეფო გაიყვეს. დასავლეთ საქართველოში, ეგრისში, იოანე გადავიდა და თან წარიტანა დედა და ორი დაი. ხოლო ჯუანშერი ქართლში დარჩა ორ დასთან ერთად.

საქვეყნოდ იყო განთქმული ჯუანშერის უმცროსი დის სილამაზე და მშვენიერება. თვით ხაზართა მბრძანებელს – ხაკანსაც მისწვდა ხმა ამის შესახებ, და გადაწყვიტა კიდეც – ცოლად შეერთო იგი.

მალე ქართლს ხაკანის მოციქულები მოვიდნენ და მისი გადაწყვეტილება ამცნეს ჯუანშერს. ფრიად ხელსაყრელ პირობას სთავაზობდა ქართველთა

მეფეს სამაგიეროდ ხაკანი – თავისი ლაშქარი უნდა მიეშველებინა ჯუანშერისათვის ურიცხვ მტერთან ბრძოლაში.

ძალზე დააფიქრა ხაკანის წინადადებამ ქართველთა სამეფო კარი და თავად ჯუანშერიც. შემოთავაზება მართლაც მიმზიდველი იყო, მაგრამ... არ ემეტებოდათ თვისტომთ ქრისტიანი შუშანი წარმართი ხაკანისათვის საცოლედ. თავად შუშანი სასტიკი წინააღმდეგი იყო, გამხდარიყო წარმართი მბრძანებლის მეუღლე. ამიტომაც გადაწყვიტეს, უარი ეთქვათ ხაკანისათვის და მოციქულთ ამცნეს: „უკეთუ უღონო იქნეს ყოფა ჩვენი, უმჯობეს არს, რათა შევიდეთ საბერძნეთად და მივმართოთ ქრისტიანთა, ვიდრეღარა შეიგინოს შვილი ჩუენი წარმართთა მიერ“.

სამი წელი ემზადებოდა ამის შემდეგ გაშმაგებული ხაკანი, რათა ელაშქრა ქართლში, სამაგალითოდ დაესაჯა ჩვენი ქვეყანა, ხელთ ეგდო შუშანი და ცოლად შეერთო იგი.

დიდძალ ლაშქარს უსარდლა ხაკანმა სპასალარი ბლუჩანი ზუსტად სამი წლის თავზე და გამოგზავნა ქვეყნის ასაოხრებლად, შუშანის დასატყვევებლად.

ურიცხვმა მტერმა სძლია ჯუანშერის შედარებით მცირერიცხოვან არმიას, აიღო ციხესიმაგრე და შეიპყრო და-ძმა – ჯუანშერი და შუშანი. ამასაც არ დასჯერდნენ ხაკანის გამოგზავნილნი. ჯერ შეესივნენ თბილისს, მერე მოაოხრეს ქართლის სანახები და დიდძალი ნადავლით დატვირთულები დაადგნენ ხაზარეთის გზას.

ფრიად გახარებული ჩანდა ბლუჩანი ამ გამარჯვებით, განსაკუთრებით ლაღობდა იმით, რომ ბრწინვალედ შეასრულა ხაკანის დავალება – ტყვედ იგდო შუშანი და ძმა მისი.

საქართველოს საზღვართან, დარიალის ხეობაში, ბლუჩანმა ლაშქარი შეასვენა. მყისვე ისარგებლა ამ შესვენებით არჩილ მეფის ასულმა და ძმასთან სათათბიროდ განმარტოვდა. ხაზართა ჯარის სარდლის ფხიზელ თვალს მათი განცალკევება არ გამოპარვია, მაგრამ არად მიიჩნია, რამეთუ კარგად იცოდა, და–ძმა, როგორც უნდა ეცადა, ამ ვიწრო ხეობაში ხაზარებს ვერ დააღწევდა თავს.

არც უფიქრია შუშანს თავის დაღწევა. სულ სხვა განზრახვა ამოძრავებდა მას, განზრახვა თავგანწირვისა. ამიტომაც იყო, ჯუანშერს თავისი მტკიცე გადაწყვეტილება რომ განუცხადა: „უმჯობეს არს ჩემთჳს სუკუდილი, რათა ღირს მყოს მე უფალმან წმიდა დედათა თანა, ვიდრეღარა შევიგინო წარმართთა მიერ“.

აღარ უჭოჭმანია ღირსეულ მამულიშვილს ამის შემდგომ წუთითაც, წაიძრო ბეჭედი თითიდან, შხამი სასიკვდინე მოწოვა მისგან და „მუნვე მოკვდა“.

შეძრწუნებულმა ხაზართა სარდალმა და მეფე ჯუანშერმა საქართველოს საზღვართან მშობლიურ მიწას მიაბარეს დიდებული ქართველი ქალი...

უმაგალითო წამებით დასაჯა სარდალი ბლუჩანი ხაკანმა – მკვდარი მაინც რატომ არ მანახე შუშანი, შეემეგრძნო სილამაზე და მშვენება მისი სხეულისაო.

ჯუანშერი კი შვიდი წლის ტყვედ ყოფნის შემდეგ, დიდი საჩუქრებით დატვირთული, სამშობლოში გამოისტუმრა.

მშობლიური მიწის უსაზღვრო სიყვარულმა, უდიდესმა რწმენამ ჯეშმარიტი ღმერთისადმი გადააწყვეტინა შუშანს გადაედგა საბედისწერო ნაბიჯი და ამით ღირსეული მაგალითი მიეცა შთამომავლობისათვის.

მართა–მარიამი

ბიზანტიის იმპერიის ბასილისა

ერთმორწმუნე მართლმადიდებლური აღმსარებლობის ქვეყნების – საქართველოს და ბიზანტიის ურთიერთობა ყოველთვის როდი იყო ვარდ-ყვავილებით მორთულ-მოკაზმული. სამწუხაროდ, X საუკუნის დასასრულს – XI საუკუნეში მაშინდელი მსოფლიოს უზარმაზარი იმპერია დღენიადაგ ცდილობდა წაეგლიჯა საქართველოსათვის ისტორიული მიწა-წყალი. იავარქყო ქართველთა საცხოვრისი, გაეჩანაგებინა და გადაეგვარებინა ჩვენი ქვეყანა.

თავდადებით იბრძოდა ქართველი ხალხი საომარი იარაღით, მშვიდობიანი ხერხებით და მეთოდებით გადარჩენისათვის. აღწევდა კიდეც წარმატებებს უთანასწორო ბრძოლაში. საბედნიეროდ, ამ პერიოდშიც იყო ნათელი წერტილები ორი ქვეყნის ურთიერთობაში. სამაგალითოდ შეიძლება მივიჩნიოთ XI საუკუნის შუა

წლებში ბიზანტიის სამეფო გვარის და საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის დანათესავება-დამოყვრება.

საქართველოს მეფე ბაგრატ IV მაშინ ძლიერ იყო შეჭირვებული შინაამლილობით, რასაც შეფარვით ხელს უწყობდნენ თავად ბიზანტიის საჭეთმპყრობელებიც. სწორედ ისინი მოქმედებდნენ პრინციპით „გათიშე და იბატონე".

იმდენად იმძლავრა ერთი პერიოდი შინაურმა მტერმა ქვეყანაში, მეფე ბაგრატ IV იძულებული გახდა გამგზავრებულიყო ბიზანტიის სამეფოში და იქ ეთხოვა შუამდგომლობა, რათა დაეწყნარებინა ამბოხებული ფეოდალები.

სამი წელი დარჩა მეფე ბაგრატი მაშინ ბიზანტიის სატახტო ქალაქში. ამასობაში გარდაიცვალა საქართველოს მიმართ მეტად აგრესიულად განწყობილი ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე მონომახი და სამეფო ტახტს დაეუფლა შინაბერა თეოდორა დედოფალი.

ახალი მბრძანებელი საბერძნეთისა მეტად კეთილგანწყობილი აღმოჩნდა საქართველოს და ქართველების მიმართ, რაც ასე აშკარა გახდა სულ მალე მისი გამეფებიდან. „მას ჟამს ოდეს თეოდორა დედოფალსა ეპყრა ბერძენთა მეფობა, ითხოვა ბაგრატ მეფისაგან, რათა მოსცეს ასული მართა და შვილად თუსად აღზარდოს. ხოლო მეფემან ბაგრატ სიხარულითა დიდითა წარგზავნა შვილი თუსი მართა".

სამწუხაროდ, ბიზანტიის დედოფალი თეოდორა ერთ წელიწადში გარდაიცვალა. სწორედ ამ დროს კონსტანტინოპოლში სამეფო კარზე სტუმრად იმყო-

ფებოდნენ მეფე ბაგრატ IV, ბაგრატის დედა მარიამი და სახელგანთქმული ქართველი ღვთისმეტყველი წმიდა გიორგი მთაწმიდელი. როცა დედოფალი თეოდორა მეფის სასახლიდან გაასვენეს „სამეუფოდ შემოიყვანეს“ მართა. ამ ამბით აღფრთოვანებულმა წმიდა გიორგი მთაწმიდელმა უმალ იწინასწარმეტყველა და განაცხადა: „უწყოდეთ ყოველთა, ვითარმედ დღეს დედოფალი განვიდა და დედოფალი შემოვიდა“. როგორც დიდი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, ეს მხოლოდ დაწინდვა თუ იყო, რამეთუ მართა იმხანად მეტად მცირეწლოვანი გახლდათ.

გამოხდა ხანი და სამი წლის შემდეგ ამ ამბიდან, 1065 წელს, კონსტანტინოპოლის კეისარმა კონსტანტინე X-მ მეფე ბაგრატ IV-ს სთხოვა მართა მისი შვილის მიხეილის საცოლედ და „სძლად თჳსად სამეფოსა ქალაქსა შეიყვანა“. ყოველივე ამის მხილველმა ბაგრატის დედამ დედოფალმა მარიამმა მის გვერდით მყოფ გიორგი მთაწმიდელს შეჰღაღადა: „მამაო აღესრულა წინასწარმეტყველება შენი რა-იგი ოდესმე გიწინასწარმეტყველია მართასათვის“.

1071 წელი მართა-მარიამისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო. ამ წელს ქართველთა სიძე, მარიამის მეუღლე მიხეილ დუკა ბიზანტიის იმპერიის სამეფო ტახტზე აბრძანდა მიხეილ VII დუკას სახელწოდებით და იმავე დღიდან მარიამი უკვე გახდა „დედოფალი ბასილისა ბიზანტიის იმპერიისა“.

რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა თავისთავად მართა-მარიამის ესოდენი აღზევება. მათ შორის, რა თქმა უნდა, მისმა სწორუპოვარმა სილამაზე-

მაც, რაც საყოველთაოდ იყო ცნობილი მაშინდელ მსოფლიოში. მაგრამ მარტოოდენ მართას გამაოგნებელი გარეგნობა როდი იყო განმსაზღვრელი. თვით უცხოელი მწერლებიც და მოაზროვნეებიც კი დიდი აღფრთოვანებით წერდნენ მარიამის სხვა არაჩვეულებრივ ადამიანურ თვისებებზე. გამოჩენილი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი და მწერალი მიქელ პსელოსი აღნიშნავს: დედოფლის „საქებრად კმარა ყველაფერში მისი ხასიათი, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა ღირსებაზე, მისი სახის სიმშვენიერეზე. თუკი ქალებისათვის დუმილი სამკაულია, იგი მარიამისათვის ყოველგვარ სამკაულზე უფრო უმარტივესი იყო, რადგან არავის სხვას, გარდა თავის ქმრისა, ენას არ გააცნობდა და თავისთავადაც უფრო ლამაზი იყო, ვიდრე მაშინ, როცა საჭიროება მოითხოვდა მოკაზმულიყო“.

სასახლის სეფექალი ანა კომნენი კი წერდა: „მარიამი იყო მაღალი და ტანადი, როგორც კვიპაროსი, თეთრი როგორც თოვლი, პირსახე ჰქონდა... გაზაფხულის ვარდივით ალისფრად გაფურჩქვნილი... წამწამები გრძელი და განსაცვიფრებელი, თვალები ცისფერი... დედოფლის სილამაზე და მისი მომაჯადოებელი მიმზიდველობა, მისი ზნის სათნოება – ყველაფერი ეს აღემატებოდა ფერწერას და ხელოვნებას... ასეთი თანაბარზომიერება ასოთა და ნაკვთთა, ასეთი შეხამება მთელისა ნაწილებთან და ნაწილებისა მთელთან, მართლაც რომ არასოდეს არავის არ უნახავს ადამიანის სხეულში. ეს იყო ცოცხალი ქანდაკება, რომელიც ატყვევებდა მშვენიერების მოყვარულთ“.

მეტად მღელვარე იყო ის პერიოდი საბერძნეთის სამეფო კარზე, როცა მეფე ბაგრატ IV-ის ასული მარიამი ბიზანტიის იმპერიის ბასილისა გახდა. ყოველმხრივ ცდილობდნენ მაშინ სამეფო კარის ირგვლივ შემოკრებილი გავლენიანი წრეები, ხელთ ეგდოთ სახლმწიფო მართვის სადავეები, დაემხოთ მიხეილ VII დუკას ბატონობა. სულ რაღაც რამდენიმე წელიწადში მიაღწია კიდეც საწადელს ერთ-ერთმა ასეთმა დაჯგუფებამ – ფოკათა დიდი ფეოდალური საგვარეულოს ნათესავმა ნიკიფორე ბოტანიატესმა თურქ-სელჯუკთა დახმარებით 1078 წელს დაამხო არსებული ხელისუფლება, გადააყენა მიხეილ დუკა და თავად გახდა იმპერატორი ნიკიფორე III ბოტანიატესის სახელწოდებით. ახალმა იმპერატორმა, მიუხედავად ხანდაზმულობისა, ცოლად შეირთო მიხეილ VII დუკას მეუღლე, ქართველთა მეფე ბაგრატ IV-ის ქალიშვილი – ულამაზესი მარიამი.

სამეფო ტახტისთვის ბრძოლა ბიზანტიის სამეფო კარზე კვლავაც გაგრძელდა. ახლა უკვე მარიამის ნაშვილებმა ალექსი კომნენმა შეთქმულება მოაწყო და წარმოშობით ქართველი სარდლის გრიგოლ ბაკურიანის დახმარებით იმპერიის მბრძანებელი თავად გახდა, ხოლო ნიკიფორე აიძულა ბერად აღკვეცილიყო. რაკი ალექსი კომნენს დუკებმა მხარი დაუჭირეს შეთქმულების დროს, მარიამის და მიხეილ VII დუკას შვილი კონსტანტინე ალექსის თანამმართველი გახდა.

ბიზანტიის სამეფო ტახტისათვის საკმაოდ ხანგრძლივი ბრძოლის ორომტრიალში აქტიურად მონაწილეობდა ბასილისა მარიამი. მისი ძალისხმევის

შედეგიც იყო, საბერძნეთის ხელისუფლებას საკმაოდ ხანგრძლივად მისი შვილობილი ალექსი კომნენი რომ დაეუფლა და მარიამის შვილი კონსტანტინე თანამმართველი გახადა.

წუთითაც არ ივიწყებდა ამ ხნის მანძილზე მარიამი თავის სამშობლოს – საქართველოს. ყოველმხრივ ცდილობდა დედოფალი და აღწევდა კიდეც საბერძნეთსა და საქართველოს შორის მშვიდობიანი ურთიერთობა რომ ყოფილიყო. უფრო მეტიც, ერთობლივად ებრძოლა ამ ორ ქრისტიანულ ქვეყანას დამპყრობთა წინააღმდეგ.

საქართველოს შინაურ საქმეებშიც ხშირად ერეოდა ბიზანტიის ბასილისა სიტყვით, საქმით თუ გულისხმისყოფით. რამდენჯერმე სპეციალურად ჩამოვიდა კიდეც ამ მიზნით სამშობლოში. მარიამ დედოფლის ერთ-ერთი ასეთი სტუმრობა აქვს აღწერილი ისტორიული სიმართლით მხატვრული სიტყვის დიდოსტატს კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „დავით აღმაშენებელი“.

ორპირში შეეგება მარიამს და მის მხლებლებს – ბიზანტიის დიდ სამხედრო სარდალს გრიგოლ ბაკურიანსა და სხვათ – საქართველოს ტახტის მემკვიდრე დავითი მხლებლებითურთ.

მწერალს საოცარი მხატვრული ხერხებით აქვს აღწერილი იმერეთის გაზაფხული, რომელიც სამშობლოსაგან წლებით მოწყვეტილ მარიამში უდიდეს სევდასა და სიხარულს იწვევს.

მეოთხედ მგზავრობდა მაშინ სამშობლოში დედოფალი მარიამი საბერძნეთში გათხოვების შემ-

დეგ. სტუმრობის მიზანი ფრიად საპატიო იყო – მონაწილეობა მიეღო საქართველოს სამეფო კარზე იმ დროს არსებულ ვითარებაში.

დედოფალ მარიამის ძმას გიორგი II-ს მტკიცედ გადაეწყვიტა სამეფო ტახტი თავის მემკვიდრე დავითისათვის დაელოცა, მაგრამ ამას ხელს უშლიდა ერთი ფრიად დამაბრკოლებელი გარემოება.

როგორც ცნობილია, იმ პერიოდში სამეფო ტახტის მემკვიდრეს ცოლად უნდა შეერთო, როგორც წესი, სხვა ქვეყნის მეფეთა შთამომავალი და არა ის, ვისაც თავად ინდომებდა. ამას, რა თქმა უნდა, თავისი გამართლება ჰქონდა, ორ ქვეყანას შორის ნათესაური ურთიერთობა მყარდებოდა. სწორედ ამ განზრახვით შერთეს ტახტის მემკვიდრე დავითს სომხეთის სამეფო გვარის წარმომადგენელი რუსუდანი.

უიღბლო გამოდგა ეს ქორწინება, რამეთუ ულამაზო რუსუდანი თავად არ იყო განწყობილი საერო ცხოვრებით ეცხოვრა, დღესა და ღამეს ლოცვაში ატარებდა და სადედოფლოდ კი არა, სამონაზვნოდ იყო მზად.

დედოფალ მარიამს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ეს საქმე მოეგვარებინა. იგი საქართველოში ჩამოსვლისთანავე დაუკავშირდა საერო და საეკლესიო მოღვაწეებს და მათგან სათანადო ნებართვაც მიიღო.

– „როგორც იყო, დავითანხმე გიორგი მეფეც – განაცხადა მან, – უფლისწული უნდა გაეყაროს რუსუდანს“... ასეთივე თანხმობა მიიღო მარიამმა საეკლესიო პირებისგანაც. პრობლემა უმტკივნეულოდ მოგვარდა – რუსუდანი თავისი სურვილისამებრ აღიკვეცა მონაზვნად.

სხვა მრავალი საჭირბოროტო საკითხიც გადაწყდა დედოფალი მარიამის სტუმრობის დროს... უდიდესი მოწყალება გაიღო საბერძნეთის დედოფალმა ქვრივ-ობოლთა და ბედით დაჩაგრულთა კეთილდღეობისათვის.

ამიტომ იყო, მაშინდელ საქართველოში წირვის დაწყების წინ, გიორგი მეფის შემდგომ დედოფალ მარიამს რომ იხსენიებდნენ პირველად.

„კეთილად მსახურისა დედოფლისა ჩვენისა, მარიამ ავღუსტოსნაირნი მრავალცა არიან წელნი და ჟამნი“.

დედოფალი რუსუდანი – თამარის აღმზრდელი, პოლიტიკოსი, დიპლომატი

(„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით)

ცისკრის ვარსკვლავივით ბრწყინავდა საქართველო მსოფლიო თანავარსკვლავედში ერთი ხანობა.

ოქროს ხანას უწოდებდნენ გარეშე თუ შინაურნი სავსებით სამართლიანად.

საოცრება იყო აბა, რა! არსებობა ისეთი ქვეყნისა, სადაც არავინ დასჯილა სიკვდილით, თვალების დათხრით, დასაჭურისებით.

დიდი ძალისხმევის შედეგად დამკვიდრდა ჩვენ ქვეყანაში ეს საამაყო ხანა.

თაყვანსაცემი მანდილოსნებიც მრავლად იყვნენ მაშინდელ საქართველოში, დირსეულ სიტყვას რომ ამბობდნენ მომავალი თაობის აღზრდაში, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ღალატისათვის დასჯილმა დიდებულებმა გიორგი III-ის გარდაცვალებისთანავე მოინდომეს დაკარგული პრივილეგიების აღდგენა და თამარ მეფეს ულტიმატუმი წაუყენეს - დაებრუნებინა მათთვის პრივილეგიები. ცოტა როდი ჰყავდათ მომხრეები შეთქმულებს.

ქვეყანა შინაომების საშიშროების წინაშე დადგა.

თავად მანდილოსანმა თამარმა მეტად ბრძნული გადაწყვეტილება მიიღო - შეთქმულებთან მიეგზავნა მეტად პატივსაცემი მანდილოსნები, რათა დაძაბულობა განემუხტა.

„და ამას შინა თამარ, წარმგზავნელმან ორთა საპატიო დიოფალთაგან, რომელ იყო, ერთი ხუაშაქი ცოქალი, დედა ქართლისა, ერისთავთ-ერისთავისა რატისი და ერთი კრავაჲ ჯაყელი, დედა აწ მეოფითა სამძიერთა, უბრძანა ფიცით მონდობა და სხჳსა არავისი ბრძოლობა, და მოჰყვეს დიდებულნი ბრძანებასა პატრონისასა და წინაშე მოსრულთა დავრდომით თაყვანისცეს, აღიღეს ფიცი პატრონისაგან და მისცეს მათ პირი ერთგულებისა და ნებისმყოფელობის მათისა".

და მაინც ღირსეულ მანდილოსანთა შორის თამარ მეფის კარზე განსაკუთრებით გამოირჩეოდა დედოფალი რუსუდანი, - შესანიშნავი აღმზრდელი, დიპლომატი, პოლიტიკოსი...

მეფე დემეტრე I-ის ასული რუსუდანი პირველ ხანებში ცოლად ჰყავდა ხვარაზმის სულთანს. იგი ადრე დაქვრივდა და გულმა სამშობლოსკენ გამოუწია.

სიხარულით შეხვდა ამ სურვილს მისი ძმა მეფე გიორგი III. ქართლის შუაგულში, მემკვიდრეობით კუთვნილ მამულში დაიდო ბინა. უმალვე შეუდგა

აღმზრდელობით საქმიანობას. თავად გიორგი III-მ მისი ერთადერთი შვილი თამარი მამიდას მისცა აღსაზრდელად.

მხოლოდ აღმზრდელობითი საქმიანობით როდი შემოიფარგლა რუსუდანი. აქტიურად ჩაება იგი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც.

ხომ ცნობილია, გიორგი III-მ გამეფებისთანავე ბრძოლები გააჩაღა დავით აღმაშენებლის მიერ საქართველოს იურისდიქციაში მოქცეული და აწ უკვე განმდგარი საამიროების და სასულთნოების წინააღმდეგ. თანმიმდევრობით დაამარცხა ისინი ფიცხელ ბრძოლაში სულ მალე. მაგრამ ეს სულაც არ იყო საკმარისი. დაპყრობილი ქვეყნები პარტიზანულ ბრძოლებს განაგრძნობდნენ. მათი შემომტკიცება, დაშოშმინება იყო აუცილებელი.

დედოფალი რუსუდანის გარდა, ვერავინ მოაგვარებს ამ საქმესო, – გაიფიქრა გიორგი III-მ, – მათი ენაც იცის და ხასიათებიც, ნიჭიც და შორსმჭვრეტელობაც არ აკლიათ...

მართლაც წარმატებით გაართვა თავი დედოფალმა რუსუდანმა ამ დავალებას. დააშოშმინა და დააწყნარა პარტიზანული ბრძოლებისათვის აქოჩრილი მოწინააღმდეგე, საზავო ხელშეკრულებებიც მალე გააფორმა.

ხშირად უხდებოდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში უშუალო ჩაბმა დედოფალ რუსუდანს შემდგომშიც.

მეფე გიორგი III-მ, იმხანად ქვეყანაში დამკვიდრებული წესისამებრ, სამეფო გვირგვინი, რაკი „სხვა ძე არ

ესვა“ – თამარს დაადგა სიცოცხლეშივე თავისივე ხელით და იგი თანამოსაყდრედ გაიხადა. გამოხდა ხანი და როცა მეფე გიორგი მიიცვალა, „შვიდთა სამეფოთა“ ხელმძღვანელებმა თამარის ხელმეორედ მეფედ კურთხევა მოინდომეს და საქმის მოსაგვარებლად და შუამავლად თამართან სწორედ მისი გამზრდელის, რუსუდანის წარდგენა გადაწყვიტეს.

უყოყმანოდ დათანხმდა თამარი რუსუდანის შუამავლობით წარდგენილ წინადადებას.

უდიდესი როლი მიუძღვის დედოფალ რუსუდანს, თამარი მართლა გამორჩეული მმართველი რომ იყო ქვეყანაში. სწორედ მან ჩაუნერგა მომავალ მეფეს მისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები... კაცთმოყვარეობა, გამძლეობა, სათნოება, მიმტევებლობა, სწრაფვა ცოდნის გაღრმავებისაკენ. განუხრელად ხელმძღვანელობდა თამარ მეფე სწორედ ამ პრინციპებით, ამიტომაც წარმართავდა ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებს ეგზომ უშეცდომოდ და კაცთმოყვარეობით.

სხვაც მრავალი ღირსეული მამულიშვილი აღუზრდია დედოფალ რუსუდანს. მათ შორისაც იყო გამორჩეული – დავით სოსლანი იყო მისი სახელი.

ოსთა უფლისწული დავითი ახლო ნათესავი იყო რუსუდან დედოფლისა. დავითის დედა ბაგრატიონი იყო, ხოლო მამა – ოსთა მეფის ძე, რომელიც შთამომავალი იყო დედის მხრიდან საქართველოს მეფის გიორგი პირველისა. დავით სოსლანი იყო ყოვლით შემკული, კარგი გარეგნობის, – „პირით ტურფა და ტანად ზომიერი“.

დიდებულებმა თამარის საქმროდ დავით სოსლანი მიიჩნიეს და ეს განზრახვა დედოფალ რუსუდანს გაანდეს. სწორედ რუსუდანი, „ნებისა დამრთავი, ვაზირთა და დიდებულთა თანაშემწე ქმნითა, მომხსენებელი და მოაჯე ექმნეს თამარსა“.

მამიდა რუსუდანისა და დიდებულთა თხოვნას თამარიც დათანხმდა და უშუალოდ დედოფალი რუსუდანი შეუდგა საქორწინო სამზადისს.

„დედოფალი რუსუდან ყოვლით სიბრძნითა სავსე მოქმედებდა. აქეთ იქით ბაგრატიონი ბაგრატიონთა გვარ-ზეობით აწყობით რიგთა სახლისათა ქვემოით... ბუნებრივთა სახიობითა მჭვრეტელნი, იყო ზმა მგოსანთა და მუშაითთა, სახიობათა მჭვრეტელნი, იყო რაზმთა სიმრავლე. სრულქმნა ამისა შინა მოთხრობად შეუძლებელ არს“ – წერს მემატიანე.

საქართველოდან ბიზანტიაში განდევნილ გიორგი რუსს კვლავაც მოუნდა საქართველოში დაბრუნება და საამისოდ ნაბიჯებიც გადადგა. კერძოდ, შემოიკრიბა მეფე გიორგი III-ის მიერ დასჯილი დიდებულები და მათი ნაშიერები. ისინი ცალცალკე, ზოგჯერ ერთადაც რამდენჯერმე შეერკინენ თამარ მეფის მხედრობას, მაგრამ ყოველთვის დამარცხდნენ. ბოლოს სასოწარკვეთილი მეამბოხეები გონს მოეგნენ, დამორჩილება გადაწყვიტეს და „ითხოვნეს ცხოველნი ხატნი და თვით დედოფალი რუსუდან მათ წინაშე საყოფლად“. დედოფალი რუსუდანი უყოყმანოდ დათანხმდა მათ მოთხოვნას, წავიდა მეამბოხეებთან და მოიყვანა ისინი მეფესთან.

ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში პრინციპული რუსუდან დედოფალი საერთოდ ტკბილი და მოწყალე, ნუგეშისმცემელი და შემწე იყო „გაჭირვებულთა და მზრდელი ჩვილთა და ობოლთა, რომელი ღირსნი არიან მათგან ზრდილნი ნაშობთა მათთა წინაშე მოსხმოდიან ხელთა მისთაგან ნაქმარი საყდართა და ეკლესიათა იგზავნებოდა“.

თამარს ვაქებდეთ მეფესა...

საქართველოს დედოფალი,
დედა ქართლისა, თამარი,
სიმშვენიერით მოსილი,
ამომავალი მზის დარი.

უჩვეულო დღემ გააბრწყინა დედაქალაქი. საქართველოს ყველა კუთხიდან მომსვლელებით აივსო პირთამდე ქუჩები, შუკები, ბანები...

იდგა 1184 წელი.

არნახული ზეიმი გაიმართა თბილისში.

მეფე გიორგი III-ის ერთადერთი მემკვიდრე სამეფო ტახტზე აბრძანდა.

18 წლის იყო მაშინ თამარი.

თავდახრით მიეახლნენ წესისამებრ ქუთათელი ანტონ ეპისკოპოსი საღარის ძე და რაჭა-თაკვერის ერისთავი კახაბერ კახაბერიძე, სამეფო ტახტზე აღავლინეს და სამეფო გვირგვინი დაადგეს თავს. სხვა

დიდებულებმა გვირგვინოსან მანდილოსანს წინ ხმალი დაუდეს და შემდეგ წელზეც შემოარტყეს აწ უკუე ჯარების მთავარსარდალს.

პირველად მოხდა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში – სამეფო გვირგვინს მანდილოსანი იდგამდა. თუმცა ეს შემთხვევითი არ იყო.

ხომ ცნობილია, თუ რა პატივით და დიდებით იყო მოსილი ჩვენში ოდითგანვე ქართველი ქალი – შვილების აღმზრდელი დედა, ოჯახის ბურჯი, სიწმიდის დამცველი, მუდამ გვერდში რომ ედგა მამაკაცს და აქტიურადაც მონაწილეობდა ერის ცხოვრებაში.

უძველესმა თქმულებებმა შემოგვინახა საოცარი საქმენი თვით წარმართულ ხანაში ქართველი ქალისა (საოცარი მედეა, გრძნეული თორთაი...).

მანდილოსანმა, წარმოშობით ქართველმა წმიდა ნინომ თავისივე თმებით შეკრული ჯვრით ხელში განანათლა ივერია ღვთისმშობლის თხოვნითა და დავალებით.

არაერთი ღირსეული ქალბატონის სახელი შემოგვინახა XII საუკუნის მატიანემ: სილამაზით და სიბრძნით ცნობილი ბიზანტიის დედოფალი, დავით აღმაშენებლის მამიდა მართა-მარიამი, დავითისავე ძმისწული, მთელ წინა აზიაში „გურჯ ვექილად“ წოდებული თამარი, მამიდა და გამზრდელი თამარ მეფისა რუსუდანი, რატი სურამელის დედა ხოშაქი ცოქალი, კრავაი ჯაყელი, გვირგვინი ყოველივესი „შვიდმანათობელი“, „მეფეთა მზეთაცა მეფე“ თამარი...

ერთობ ბრძნული სიტყვა წარმოთქვა თამარმა ტახტზე ასვლისას: „შიშველი გამოვედ დედის მუცლით

ჩემითგან და შიშველს მეგულების წარსვლად". ასე დაიწყო და შემდეგ გარკვევით მიუთითა ყველას: ყოველივე ამქვეყნიური აქვე რჩება და სამეფო თქვენი კუთვნილება არის, ხოლო მე განგებამ აღმამაღლა, რათა თქვენივე სიკეთით აღვამაღლო სამეფო. ყოველივე ამას კი მხოლოდ თქვენი დახმარებით შევძლებო. ყურადღება გაამახვილა თამარმა აგრეთვე სასულიერო მოღვაწეების ორმაგ მოვალეობებზე ადამიანის სულიერი და ხორციელი გრძნობების განმტკიცებაში, ხოლო დიდებულებს მოუწოდა, ხელი შეეწყოთ სამეფოსთვის, ფართო გზა რომ მისცემოდა სწავლას, შრომას და ნიჭს, რომელთაც ქვაკუთხედად სიყვარული უნდა დაუდოთო.

ფართოდ გახსნეს სამეფო საჭურჭლეები თამარის ბრძანებით, უამრავი თვალმარგალიტი და სხვა ძვირფასი საჩუქარი ჩამოურიგეს ყველას. არავის დაჰკლებია მაშინ თამარის წყალობა და ყურადღება: დაუხსნია მოვალენი ვალებისაგან, ობლებისათვის იმდენი რამ უჩუქნია, დაზრდილიყვნენ და ქორწილიც წესისამებრ გადაეხადათ, გლახაკები შეძლებულებად უქცევია.

მძაფრი წინააღმდეგობებით და უსიამოვნებებითაც აღინიშნა თამარის გამეფების პირველი წელი. თავი წამოყვეს ქვეყანაში ჯერ კიდევ მობოგინე მეფე გიორგის მოწინააღმდეგე ძალებმა, მათი ფიქრით, დრო დადგა, თავიანთი პრეტენზიები წაეყენებინათ და მორჩილებაში მოექციათ სუსტი სქესის წარმომადგენელი.

მოწინააღმდეგეთა შორის ერთობ ძლიერმა მეჯურჭლეთუხუცესმა (დღევანდელი ტერმინოლოგიით, ფი-

ნანსთა მინისტრმა) ყუთლუ არსლანმა გაუგონარი მოთხოვნები წაუყენა თამარს, მისი წინადადებით, უნდა დაედგათ კარავი „ველსა ისანისასა სანახებსა საღოდებლისასა და თქუა „დასხდომილნი მუნ შიგა, განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ვჰკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა, მაშინღა სრულ იქმ-ნებოდეს განგებული ჩუენი“... დიდად გაიკვირვა ეს ყოველი „კვლებელმან გონებითა და საუნჯემან სი-ბრძნისამან“ და ერთგულ ქვეშევრდომთა თანხმო-ბით შეიპყრო ყუთლუ არსლანი. მაინც არ დასრულდა საქმე ამით. ძლიერი დასი ჰყავდა ყუთლუ არსლანს. შეიარაღებული მომხრეებიც გამზადებული ელოდნენ თურმე. თამარის მომხრეებიც საომრად გაემზადნენ.

ქვეყანა შინაომის საფრთხის წინაშე დადგა.

ამ მეტად კრიტიკულ ჟამს მეტად უაღრესი ბრძნუ-ლი გადაწყვეტილება მიიღო „საუნჯემან სიბრძნისა-მან“.

მთელ სამეფოში ცნობილი დიდად პატივცემულნი ქართლის ერისთავთ ერისთავის რატის დედა ხოშაქი ცოქალი და კრავაი ჯაყელი გაგზავნა მოციქულებად განდგომილებთან.

საფრთხემ ჩაიარა. სამეფო ტახტზე მორჭმით მჯდომი ხელმწიფე დინჯად და გონივრულად განაგებდა ქვეყანას.

თამარის დაქორწინების დროც დადგა. ვითარცა მეფეს, ამ საკითხის გადაწყვეტა გულისთქმით მას არ შეეძლო. მეფის ქმარი აუცილებლად სხვა ქვეყნის

სამეფო დინასტიის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო, და თუ ვინ, სამეფო დარბაზს უნდა გადაეწყვიტა.

უფლისწული თამარის მშვენიერებით მოხიბლული ბევრი უცხოელი ისწრაფოდა დაეტოვებინა თავისი ახლობლები, სამშობლო, სჯულიც კი და ჩამოსულიყო საქართველოში. მემატიანე ასეთებად ბიზანტიის იმპერიის უფლისწულს ალექსის, ოსეთიდან ჩამოსულ ორ უფლისწულს და სხვა მრავალს ასახელებს...

საგანგებოდ შეიკრიბა სამეფო დარბაზი.

თბილისის ამირა აბულ-ასანიც ესწრებოდა ამ სხდომას.

„მე ვიცი, – განაცხადა მან, – შვილი ხელმწიფისა ანდრია დიდისა, რუსთა მთავრისა, რომელსაც ჰმონებენ სამასნი მთავარნი რუსთანი". იგი ახლა განდევნილია თავის ქვეყნიდან ბიძის გამოისობით, ყივჩაღეთში ქალაქ სავენჯაში ცხოვრობს.

დარბაზის გადაწყვეტილებით, სასწრაფოდ მოიწვიეს ის რუსი თბილისში და თამარს ქმრად შერთეს.

სასიამოვნო გარეგნობის იური (ქართულად გიორგი) სამხედრო ნიჭითაც გამოირჩეოდა. რამდენიმე სამხედრო ოპერაცია ჩაატარა მისი ხელმძღვანელობით ქართულმა ლაშქარმა დიდი წარმატებით ყველას გასახარად. ხანმოკლე აღმოჩნდა ეს სიხარული. ყოვლად უმგვანო და აუტანელი გამოდგა გიორგი რუსი ყოველდღიურ ცხოვრებაში – თავაწყვეტილი ლოთი, მამათმავალი, ცხოველთმავალი... ორი წელი ითმინა თამარმა მისი უმსგავსობანი. ქვეყნიდან უნდა გავაძევოთო, გადაწყვიტა ბოლოს სამეფო დარბაზმა.

მრავალი სამეფო დინასტიის წარმომადგენელი ილტვოდა თამარისაკენ ამის შემდეგაც. თამარის ხელს ითხოვდა შარვანშაჰ აღსართანიც. იგი მზად იყო დაეგმო მამა-პაპისეული რჯული, ოღონდ თამარს თავის ღირსად ეცნო.

არჩევანი ამჯერად ოვსეთის მეფის ძეზე დავით სოსლანზე შეჩერდა. დავითის სხეულში ბაგრატიონთა სისხლიც იდგა. იგი მეხუთე მოდგმა იყო გიორგი პირველის. პატარაობიდანვე დავითი თამარის მამიდის, რუსუდანის სასახლეში იზრდებოდა და ქართულად იყო განსწავლული.

დიდების ტაძარში იქორწინეს თამარმა და დავით სოსლანმა. ღირსეული გამოდგა თამარის მეუღლე.

ერთობ შეშფოთებით შესცქეროდა ირგვლივ მყოფი მუსლიმანური სამყარო ჩვენი ქვეყნის ძლიერების დღითიდღე ზრდას, იმას, რომ ქართული არმია ამარცხებდა მტერს. გაერთიანებული ძალებით თუ შევძლებთ მის დამარცხებასო, დაასკვნეს ბოლოს. ირანის აზერბაიჯანის ათაბაგის, აბუბაქარის სარდლობით დაესხნენ თავს შირვანს. ეს ქვეყანა საქართველოს მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა და მასზე თავდასხმა ჩვენთვის ომის გამოცხადებას ნიშნავდა.

სასწრაფოდ შეიკრიბა ქართული ლაშქარი. თამარის ბრძანებით, დავით სოსლანი დაინიშნა ჯარის ხელმძღვანელად. გადამწყვეტი ბრძოლა შამქორის მისადგომებთან გაიმართა. სასტიკად დამარცხდა მტერი. ალაფით დატვირთულნი დაბრუნდნენ ქართველი მებრძოლები.

მაჰმადიანური სამყარო მაინც არ ცხრებოდა.

რუმის სულთნის, რუქნადინის გარშემო გაერთიანდნენ ბოლოს მისი ძალები. უზარმაზარი, 400 ათასი მებრძოლისაგან შემდგარი ლაშქარი დაიძრა საქართველოს გასანადგურებლად.

ერთობ თავხედური წერილი გამოგზავნა რუქნადინმა თბილისს მანამდე: დამშორჩილდი, თორემ გაგანადგურებო, – ემუქრებოდა რუქნადინი თამარს. წერილი სამეფო დარბაზში წაიკითხეს, დარბაისელნი აღშფოთდნენ. კიდევ უფრო განარისხა ისინი რუქნადინის ელჩის სიტყვიერმა განცხადებამ, თუ თქვენი მეფე დატოვებს ქრისტეს და მაჰმადს იწამებს, სულთანი მას ცოლად შეირთავს, თუ არა და, ხარჯად დაისვამსო.

თავხედმა ელჩმა საკადრისი პასუხი მიიღო. უგონოდ დასცა იგი ძირს სარდალ ზაქარია მხარგრძელის სილამ...

გადამწყვეტი ბრძოლა ბასიანის მიდამოებში გაიმართა. რიცხობრივად რუქნადინის ლაშქარი დიდად აღემატებოდა ჩვენსას. მეტად მძიმე გამოდგა ბრძოლა, მრავალმა ქართველმა ვაჟკაცმა დადო თავი სამშობლოს გადასარჩენად. საბოლოოდ ჩვენმა ლაშქარმა მაინც იმძლავრა. რუქნადინი ბრძოლის ველიდან სამარცხვინოდ გაიქცა და სასიკვდილოდ დაჭრილი მალევე მიიცვალა.

მაჰმადიანთა შემოტევები დროებით დაცხრა. საზრუნავი საგარეო ურთიერთობებში მაინც არ ილეოდა.

არ მოსწონდათ ჩვენი ქვეყნის აღმასვლა დაცემის გზაზე მყოფ ერთმორწმუნე ბიზანტიის იმპერიის მესვეურთ. XII საუკუნის საბერძნეთი ყველა საშუ-

ალებით ცდილობდა ჩვენი ქვეყნის შევიწროებას და დაცემას. უპირველეს ყოვლისა, იგი ავიწროებდა საბერძნეთში არსებულ ქართულ მონასტრებს და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებშიც ქართული სამეცნიერო აზრისა და საერთოდ კულტურისათვის ფასდაუდებელი სამუშაოები იყო გაჩაღებული.

მაჰმადიანურ სამყაროსთან ძლევამოსილი ომების შემდეგ თამარმა ყურადღება ბიზანტიის მიმართ წარმართა და ძალისხმევა ბიზანტიის იმპერიაში შემავალ ტრაპიზონის მხარეზე გაამახვილა.

ქართული ტომით – ლაზებით – იყო დასახლებული ოდითგანვე ეს მიწა–წყალი, ახლა უკვე საქართველოს შეეძლო მიეხედა მისთვის და ასეც მოხდა. სულმნათი თამარის გადაწყვეტილებით, შეიქმნა ტრაპიზონის სამეფო. შთამომავლობით ბერძენი უფლისწული, ჩვენი მეფის ნათესავი დედის მხრიდან, საქართველოში გაზრდილი ალექსი კომნინოსი გაამეფა იქ შორსმჭვრეტელმა თამარმა და ამით ეს ისტორიულად ქართული ვრცელი ტერიტორია საქართველოს გავლენის ქვეშ მოაქცია.

კვლავაც არ ისვენებდნენ ცალკე სამთავროებად დანაწილებულიირანისმმართველები.მოულოდნელად და ქურდულად ესხმოდნენ ისინი თავს დროდადრო ქართული სამეფოს ყმადნაფიც ქვეყნებს, ზოგჯერ ჩვენი ქვეყნის საზღვრებშიც იჭრებოდნენ, ძარცვავდნენ და აწიოკებდნენ მცხოვრებთ. 1208 წელსაც მოხდა ერთი ასეთი შემოჭრა. მოულოდნელად დაესხა თავს სომხეთს ირანის ერთ–ერთი სულთანი აღდგომა დღეს

და ტაძრებში მყოფი უამრავი მლოცველი გაჟლიტა. უსწრაფესად შეკრიბეს ქართველებმა ლაშქარი და აოტეს შემოჭრილი სპარსელები.

აშკარად აგრძნობინა ყოველივე ამან საქართველოს სამეფოს, მეფე თამარს – ქართულ ლაშქარს მტრისავე ტერიტორიაზე უნდა დაესაჯა მტერი და ეს კიდეც განხორციელდა.

1210 წელს ქართულმა ლაშქარმა ბრძოლით მოიარა თითქმის მთელი ირანის უზარმაზარი ტერიტორია. ბრძოლით აიღეს თავრიზი, მიანა, ზანგანი, ყაზვინი...

უდიდესი ძალისხმევით მიმდინარეობდა ქვეყნის აღმშენებლობა და კეთილმოწყობა თამარის ეპოქაში საგარეო საქმეებში წარმატებების ფონზე.

გამდიდრდა და დაწინაურდა ქვეყნის მეურნეობა, ვაჭრობა. უამრავი ციხე-კოშკი, სასახლე, ეკლესია-მონასტერი, ხიდი, სარწყავი არხი, ფუნდუკი, ქსენონი მოეფინა საქართველოს ყოველ კუთხეს. დღემდე შემორჩა ისტორიის ქარტეხილებს გადარჩენილ მრავალ მათგანს, ნანგრევებს თამარის სახელი... „თამარის ციხე", „თამარის ტაძარი", „თამარის ხიდი", „თამარის წყარო"...

ვარძია იყო ყოველივე ამის გვირგვინი. ვარძია, კლდეში გამოკვეთილი ქალაქი და ციხესიმაგრე. ასობით ოთახით, ქალაქისათვის ყველა საჭირო კომპონენტით – მეზობელი მთებიდან გამოყვანილი შესანიშნავი ანკარა წყლით, სალოცავებით, ქსენონით, აფთიაქით, ქუჩებით, მოედნებით, აბანოებით. გუშაგად ედგა ვარძია ჩვენს სამშობლოს სამხრეთიდან ომის დროს. სიხარულით უღებდა კარს იგი მოკეთეს მშვიდობიანობის

ჟამს. თავად მეფეთ-მეფე თამარი ხანგრძლივად იმ-ყოფებოდა ამ მისთვის უსაყვარლეს სავანეში. თლი-ლი ქვებისაგან გამოკვეთილ უმშვენიერეს დარბაზს კიდევ უფრო ამშვენებდა თამარის ფრესკა.

ძალზე მოკრძალებული იყო თამარი პირად ცხოვ-რებაში, მაშინ, როცა მისივე უდიდესი ნიჭითა და ძალ-ისხმევით განმტკიცებული უმდიდრეს და უძლიერეს სახელმწიფოში ქვრივ-ობოლთათვის და უპოვართათ-ვის „სიუხვით ბზეებრ“ გასცემდა. წესად იქცა მისი მეფობის ჟამს, სახელმწიფოს შემოსავლის მეათედი ყოველწლიურად ღარიბებისათვის დაერიგებინათ. ამიტომ იყო შედეგად „აზნაურის ყმანიც მათთა პა-ტრონთა სწორად იმოსებოდის“.

მანდილოსანი იყო და ხელსაქმეც ძალიან უყვარდა. ჩეჩავდა, ძაფს ართავდა, ქსოვდა, ქარგავდა, კემსავდა... თავად აცმევდა საკუთარი ხელით ნაქსოვ-ნაქარგს ობოლს, უძლურს, დავრდომილს...

უდიდესი წინაპრის, დავით აღმაშენებლის, მსგავ-სად, გენეტიკურად უყვარდა წიგნი მეფეთ-მეფ-ეს. სწორედ მისი მეფობის ჟამს აღდგა და შეიქმნა უდიდესი სულიერი და კულტურული კერები ჩვენშიც და საზღვარგარეთაც – ბიზანტიაში, პალესტინაში, კვიპროსზე, სინას მთაზე, რუმინეთში, ბულგარეთში... აღურაცხელი სიმდიდრით აავსო თამარმა ამ ქვეყნებ-ში განლაგებული ქართული კულტურის სავანეები. იქ მყოფ ქართველ სწავლულთა ღირსშესანიშნავი ღვაწ-ლის შედეგად იქმნებოდა და შთამომავლობას გად-აეცემოდა უაღრესად ჰუმანური, უდიდესი ფილო-

სოფიური და თეოლოგიური ნაშრომები, ქართული კულტურის უმშვენიერესი შედევრები, „ვეფხისტყაოსანი“...

ყოველივე ამა საქმეთა გვირგვინი კი იყო ის, რომ თამარის მეფობის ჟამს ჩვენს ქვეყანაში არავინ დასჯილა სიკვდილით და არც არავინ უწამებიათ იმხანად მიღებული უსასტიკესი მეთოდებით.

თვალნათლივ უჩვენებდა თავისი მოღვაწეობით, საქმითა და ქმედებით შთამომავლებს, უპირველესად მომავალ გვირგვინოსნებს, ქვეყნის ერთგულება, წარმატება და აღმავლობა მხოლოდ სიტკბოებით, ლმობიერებითა და სიყვარულით რომ არის შესაძლებელი.

ჯერ კიდევ თამარის სიცოცხლეში გახდა მთელი მაშინდელი მსოფლიოსათვის ცნობილი ჩვენი საამაყო მეფეთმეფის ღვაწლი.

იმედის თვალით შესცქეროდნენ საქართველოს თვით ჯვაროსნებიც მაჰმადიანთა ურდოებთან ბრძოლაში.

და ბოლოს, ცნობილი მეცნიერის მიქელ თარხნიშვილის თქმისდაკვალად – „მსოფლიო ისტორიაში არ არსებობს ქალი-ხელმწიფის სხვა იდეალი, რომელიც ისე მაღლა იდგეს, როგორც თამარ მეფე“.

ამიტომაც გააღმერთა თამარი ქართველმა ერმა სიცოცხლეშივე და აღიარა ვითარცა სიმბოლო ჩვენი ქვეყნის ძლიერებისა და აყვავებისა, ამიტომაც უწოდეს მისი მეფობის ჟამს „ოქროს ხანა“.

28 წელი იმეფა ნეტარმა მეფე თამარმა. სიკვდილის წინ კი ჩვენი ქვეყანა ასე დალოცა: „ქრისტე, ღმერთო ჩემო მხოლოო, დაუსრულებელო მეუფეო ცათა და

ქვეყანისაო! შენ შეგავედრებ სამეფოსა ამას, საქართ-
ველოს, პატიოსანითა სისხლითა შენითა მოსყიდულ-
სა, და შვილთა ამათ ჩემთა, რომელნი შენ მომეც, და
მერმე სულსა ჩემსა".

მეფეთა შორის მართლაც საკვირველი თამარი
საქართველოს ეკლესიამ წმიდათა თანა შერაცხა და
მის მოსახსენიებლად პირველი (თოთხმეტი) მაისი -
ვარდობის თვე დააწესა.

ქეთევან წამებული

ელვის სისწრაფით მოიცვა მაშინდელი ქრისტიანული სამყარო უსაშინელესმა მოწამეობრივმა აღსასრულმა ქეთევან დედოფლისა.

ჯეშმარიტი ქრისტიანული რწმენითა და სამშობლოსათვის თავდადებით იყო განპირობებული ეს სამაგალითო უმამაცესი შემართება.

ქეთევან წამებული! ამ ზედწოდებით შევიდა მისი სახელი სამუდამოდ ქართველი ხალხის ხსოვნაში.

უდიდესი სიამაყით აღინიშნება მისი შემართება ქართველი მართლმადიდებელი მრევლის, ყველა ჯეშმარიტი მამულიშვილის მიერ დღემდე და უკუნისამდე.

– წარჩინებული თავადის აშოთ მუხრანბატონის ასული ქეთევანი ჯერ კიდევ 14 წლისა იყო კახეთის მეფე ალექსანდრემ მისი რძლობა რომ მოინდომა.

სულ მალე ქორწინებაც შედგა.

კახეთის სამეფო ტახტის მემკვიდრემ დავითმა ცოლად შეირთო ულამაზესი ასული მუხრანთბატონისა.

ერთობ გულღრძო და სულსწრაფი გამოდგა დავითი. ქორწინებიდან სულ მალე მან განიზრახა მამისათვის სამეფო ტახტი წაერთმია და მიზანსაც მიაღწია. მაგრამ „თუესა ექვსსა იბატონა და მოევლინა რისხვა, რისხვა ღმრთისა მამისა უსამართლობით და მოკვდა“.

კახეთის სამეფო ტახტის დაუფლებისათვის დიდი ბრძოლა გაჩაღდა.

ქეთევან დედოფალს დავითთან ჰყავდა ერთი ვაჟიშვილი – თეიმურაზი, რომელიც იმ დროს მეტად მცირეწლოვანი იყო და „წარგზავნა ყრმა თავისი ყაენთან შიშისათვის გიორგისა“.

მძიმე ტრაგედია დატრიალდა იმ პერიოდში კახეთში. ირანის ლომმა შაჰ-აბას I-მა შეიტყო სარწმუნო წყაროებიდან, რუსეთი კახეთთან საიდუმლო მოლაპარაკებებს რომ მართავდა, რათა ფეხი მოეკიდებინა საქართველოში. შაჰისათვის ისიც ნათელი იყო: ამის შემდგომ რუსეთი ირანს შეუტევდა, ამ გზით რომ ინდოეთისაკენ გაჭრილიყო.

ამიტომაც გადაწყვიტა შაჰ-აბასმა ერთიანად მოეოხრებინა, ადგილის დედიდან მოეწყვიტა ქართველები და მათ მაგიერ ჩაესახლებინა მაჰმადიანი თურქმენები.

მიზნის მისაღწევად ერთობ ვერაგული ხერხი აირჩია პირსისხლიანმა მტარვალმა: ირანის ტახტის კარზე აღზრდილი ალექსანდრე კახთა მეფის შვილი გამაჰმადიანებული კონსტანტინე თურქმენთა ლაშქრით

კახეთს გამოგზავნა, რათა ხელთ ეგდო მეფობა და თურქმენები კახეთს ჩამოესახლებინა.

არნახული ვერაგობით მოიპოვა კონსტანტინემ სამეფო ტახტი და დავალების შესრულებასაც შეუდგა. პროცესი კარგა ხანს გაგრძელდა. ამასობაში ქეთევან დედოფალმა საიდუმლო კავშირი გააბა მოწინავე საზოგადოებასთან და აჯანყებისაკენ მოუწოდა.

კახელები აჯანყდნენ და ქეთევან დედოფალი იწინამძღვრეს. მათ კონსტანტინე და თურქმენები სასტიკ ბრძოლაში დაამარცხეს, ხოლო გადარჩენილები საიდანაც მოვიდნენ, იქითკენ გარეკეს.

ცბიერმა შაჰმა კახეთში მეფედ ირანის სამეფო კარზე მყოფი ქეთევანის ვაჟი 13 წლის თეიმურაზი გამოგზავნა და თან ძლიერი დაცვაც გამოატანა.

თეიმურაზ I კახეთს გამეფდა და 14 წლისამ ცოლად შეირთო გურიის მთავრის ასული, რომლისგანაც ორი ვაჟი ალექსანდრე და ლევანი შეეძინათ. მალე თეიმურაზის მეუღლე გარდაიცვალა და შაჰ-აბასის სურვილით თეიმურაზმა ქართლის მეფის ლუარსაბის და შეირთო.

ამასობაში კახთ ბატონს თეიმურაზ I-ს შაჰ-აბასმა შემოუთვალა, „ვითარმედ შენი შვილი მომეცეო". თეიმურაზი იძულებული გახდა გაეგზავნა „ალექსანდრე, ნაშობი გურიელის ქალისაგან და დედაც თჳსი ქეთევან თან გაატანა ამისათვს, რომე უფრო პატივ დამდებს და არას აწყენს შვილსა ჩემსაო". შაჰმა მალე მეორე შვილი – ლევანიც მოითხოვა. თეიმურაზი კარგად მიხვდა შაჰის ორპირობას და აღარ უნდოდა მეორე შვილის გაგზავნა, ნუ გამოგზავნიო, – უთვ-

ლიდა დედა ქეთევანიც თეიმურაზს. მაგრამ ასე როდი ფიქრობდნენ კახეთის სამეფო კარზე და იძულებული გახდა თეიმურაზიც დამორჩილებოდა მათ ნებას.

რაკიღა ხელთ იგდო შაჰმა თეიმურაზის ორივე ვაჟი და დედაც, კატეგორიულად მოსთხოვა მას „რადგან ამისთანა ერთგული კაცი ხარო, შენც მოდი და მნახეო და მრავალს წყალობას გიზამო“.

საბოლოოდ დარწმუნდა ახლა უკვე თეიმურაზი შაჰის ვერაგობაში და აღარ დაემორჩილა მის ბრძანებას.

განრისხებულმა შაჰმა საქართველოში ილაშქრა. თეიმურაზ I იმერეთს გადაიხვეწა.

ცოტა ხნის შემდეგ ირანის მბრძანებელმა მის კარზე მყოფი ალექსანდრეს და ლევანის გამაჰმადიანება მოინდომა. ბატონიშვილებმა სასტიკი უარით უპასუხეს. სასჯელი მეტისმეტად მძიმე გამოდგა: ორივე მათგანი, შაჰის ბრძანებით, დაასაჯურისეს. ალექსანდრე მყისვე გარდაიცვალა, ლევანი კი გაგიჟდა და ისე აღესრულა.

დედოფალი ქეთევანი შირაზში შაჰმა გაასახლა. 10 წელი დაჰყო მან ამ ქალაქში. პატივით ეპყრობოდა დედოფალს შირაზის მმართველი, იმამ ყული ხანი, წარმოშობით ქართველი უნდილაძე. ცალკე სასახლე და წალკოტი გამოუყვეს. ოცამდე ქართველი ქალი და კაცი ემსახურებოდა. მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და როცა შაჰს კვლავ აუწყეს, კახელები აჯანყებისათვის ემზადებიან და ეს რუსეთის წაქეზებით ხდებაო, მან დაუყოვნებლივ შეუთვალა იმამ ყული ხანს: „ქეთევან დედოფალი თუ გათათრდეს, ნურას აწყენ და თუ არა, აწამე და მოჰკალიო“.

დიდად დაამწუხრა შირაზის მმართველი შაჰის ბრძანებამ და შაჰს შეუთვალა: მოხუცი დედაკაცია და ახლა იგი აღარ გათათრდება, დაეხსენით – „თქვენთვის სირცხვილი არის ამის სიკუდილი“.

ირანის მბრძანებელმა დიდად იწყინა შემონათვალი და კვლავ მკაცრად ბრძანა სისრულეში მოეყვანათ მისი ნათქვამი.

ხანი დედოფალთან მივიდა და ეაჯა, შეესრულებინა გარეგნულად შაჰის ბრძანება, ხოლო გულით კვლავაც ქრისტიანად დარჩენილიყო. მაშინვე უარყო ქეთევანმა ეს წინადადება და ჯალათებიც მოემზადნენ დედოფლის საწამებლად.

ქალაქის ერთ-ერთ მოედანზე მოეწყო წამება. მრავალი შირაზელი, სხვადასხვა ერის წარმომადგენლები – სომხები, ჩერქეზები, სპარსელები, ქართველები ესწრებოდნენ ამ წამებას. აქვე იყვნენ იტალიელი და პორტუგალიელი მისიონერებიც.

მხოლოდ ერთი რამ ითხოვა ქეთევანმა სიკვდილის წინ – ნება დაერთოთ, იქვე მდგარ კათოლიკურ ეკლესიაში ელოცა. ჯალათები დათანხმდნენ. პატრი ამბროზიო დონ ანჟესი და პატრი გრიგორი შეუძღვნენ დიდებულ ქალბატონს ეკლესიაში.

დედოფალმა ილოცა, დალოცა ღვთისმშობლის წილხვედრი თავისი ქვეყანა და თავისი ხალხი, ღმერთს შესთხოვა მიეცა მისთვის გამძლეობა წამების ჟამს.

ერთობ გულისშემძვრელად არის აღწერილი ქეთევან დედოფლის წამების ამბავი „ქართლის ცხოვრებაში“, რომელსაც აქვე ვთავაზობთ მკითხველს უცვლელად: „მაშინ შეიპყრეს და დაუჭირეს მხლე-

ბლები და წინა გაუთათრეს და ახლდა თან მღვდელი ვინმე იმერელი და იგიცა გაუთათრეს. ხოლო გაუბეს და გააშიშვლეს წმიდა ქეთევან დედოფალი და განჭურებულის გაზებით დაგლიჯეს ძუძუები და გაჭურებელი საჯებით წაგლიჯეს ჭორციდან შემოუწყვეს და გლიჯეს, გააჭურვეს ლურსმები და დაუყარეს ქუეშე და ზედ გაატარეს, დააწვინეს და შიშუელზედ ზედ შემოაყარეს ლურსმანი გაჭურებული. კუალად განჭურვებული შამფურები გაავლეს მუცელსა და ძუძუ-მკერდშიგან, განჭურვებული – ქუაბი დაარქუეს თავსა ზედან კუალად განხურვებულს ქუაბსა შიგან შიგ ჩასუეს და თავსაც დაახურეს და შემოუწყვეს დაჭურებული ბარები შუბლსა ზედა და თავის კეფა და ყუეს მრავალი სატანჯველი და ესრეთ შევედრა წმიდა სული თჳსი უფალსა და შეირაცხა წმიდათა ქალწულთა მოწამეთავსებულთა თანა იმ ვოიდა სამხილებლად ყოველთა და დაადგა ნათელი“.

როგორც ითქვა, წამებას ესწრებოდნენ შირაზში მცხოვრები კათოლიკე მისიონერები, რომლებსაც ფრანგებს ეძახდნენ.

ნაწამები სხეული ქეთევანისა ჯალათებმა მოედანზე დააგდეს და მიატოვეს. კათოლიკე მისიონერებმა „აღიღეს წმიდანი ნაწილნი წმიდისა ქეთევანისანი ფრანგთა და წარიღეს თჳსთა თანა ისპაჰანში“ და კათოლიკურ ეკლესიაში დაასვენეს, როგორც ქრისტიანობისათვის წამებული დედოფლის უწმიდესი ცხედარი, საკმევლითა და მურით გაჟღენთილ ქსოვილში გახვეული.

მხოლოდ ორი წლის შემდეგ კათოლიკე ბერებმა მოახერხეს და ქეთევანის „ხელი და მკლავნი ბატონ თეიმურაზს გაუგზავნეს“. დანარჩენი ნაწილები კი „წარიღეს თჳსთა თანა ნაწილად“ და ინდოეთში ქალაქ გოაში დაკრძალეს გრასის მონასტერში.

საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმიდანად შერაცხა ქრისტიანობისა და სამშობლოსათვის წამებული ქეთევან დედოფალი.

მარიამ დედოფალი

თექვსმეტი წლისა იყო მანუჩარ დადიანის ასული მარიამი, ცოლად რომ მიათხოვეს მამია გურიელის შვილს სვიმონს.

1621 წელს მოხდა ეს მეტად უიღბლო და მძიმე ქორწინება.

ავყია, უზრდელი, ტუტუცი, ბოროტი გახლდათ სვიმონი.

საშინელ დღეში აგდებდა ახლადშერთულ მეუღლეს, გარშემო მყოფთ.

მორჩილებით იტანდა ახალგაზრდა ქალბატონი ათასგვარ შეურაცხყოფას, ქმრის უგნურ და არაადამიანურ საქციელს.

მხოლოდღა ერთი რამ ასულდგმულებდა და ახარებდა – ერთადერთი შვილი ოტია. მას შეფოფინებდა, მისი ცხოვრებით ცხოვრობდა, მისთვის იტანდა ათასგზის შეურაცხყოფას და დამცირებას.

არა და არ უნდოდა შვილი მამისაგან მოეშორებინა.

მაინც მოხდა მოსახდენი.

გათავხედებულმა და გადაჯიშებულმა სვიმონმა ბოლოს არც მამა დაინდო, საკუთარი ხელით მოუღო სიცოცხლე მშობელს.

ვეღარ აიტანა ეს ჯალათური საქციელი სვიმონისა მარიამმა. მაშინვე დაგმო ქმრის ოჯახი და თავის ძმას ლევანს მიაშურა შვილითურთ.

სიძის საქციელით გაცოფებული ლევან დადიანის შეკავება ვერავინ შეძლო. იგი ლაშქრით მიუხტა სვიმონ გურიელს, შეიპყრო, დაატყვევა და ორთავ თვალი დათხარა ბოლოს.

ლევანის ოჯახში დარჩა მარიამი შვილითურთ.

ულამაზესი და უსათნოესი მარიამის ქება-დიდება სულ მალე მოედო მთელ საქართველოს. რაღა თქმა უნდა, ეს ამბავი ქართლის მეფე როსტომის ყურსაც მისწვდა.

ახალდაქვრივებული იყო იმხანად ქართლის მბრძანებელი და გადაწყვიტა ცოლად შეერთო დადიანის ასული მარიამი.

ცოტა ხნის შემდეგ ელჩებიც გაგზავნა მეფე როსტომმა სამეგრელოში.

რთული ვითარება სუფევდა იმ დროს სრულიად საქართველოში.

სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებულ ჩვენს ქვეყანაში ხშირად ბატონობდა ურთიერთშუღლი და ბრძოლები ურთიერთშორის.

კახეთის მეფე თეიმურაზ პირველი იმერეთში იყო თავშეფარებული ამ დროს და ქართლიდან სამეგრელოში მიმავალ პირდაპირ გზას მკაცრად აკონტროლებდა.

შემოვლითი გზით, ახალციხეზე გავლით მოუხდა მგზავრობა ქართლის ელჩობას ამის გამო.

ოცდაექვსი მომქანცველი დღის შემდეგ ქართლის ელჩობა სამეგრელოში ჩავიდა და ლევან დადიანს მის რეზიდენციაში ესტუმრა.

დიდად გაიხარა მეფე როსტომის შემონათვალით სამეგრელოს მბრძანებელმა. სასწრაფოდ მოამზადეს მარიამ დადიანი და მაყრიონი ქართლში გასამგზავრებლად.

დიდებული ქორწილი გადაიხადა მეფე როსტომმა.

გულით შეიყვარა სულ მალე და შეიტკბო ახლადშერთული უმშვენიერესი და უსათნოესი მარიამი.

და ეს მაშინ, როცა სარწმუნოებრივი აღმსარებლობა ცოლ-ქმარს შორის მკვეთრად უპირისპირდებოდა ერთმანეთს.

სპარსეთის სამეფო კარზე აღზრდილი და თავად შაჰის მიერ ქართლის მეფედ დასმული როსტომი ორთოდოქსი მაჰმადიანი იყო. უფრო მეტიც, იგი მარიამის შერთვამდე განუხრელად მოქმედებდა, რათა მის საბრძანებელში მტკიცედ დაენერგა სპარსული ცხოვრების წესები, ტრადიციები, უნარ-ჩვევები...

მარიამ დედოფალი კი ჯეშმარიტი ქრისტიანი გახლდათ, და რაღა თქმა უნდა, ქრისტიანული ეკლესიური ცხოვრების წესებსაც თავგამოდებით იცავდა.

ძალზე ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა მეფე-დედოფალი მიუხედავად ამისა ქვეყნის საკეთილდღეოდ შეხმატკბილებულად.

ეშვენიერი ქალაქი გაუშენებიათ როსტომ მეფეს და მარიამ დედოფალს თეძმის ხეობაში მდინარის ნაპირას – სასახლეებით, ფართო ქუჩებით, ხეივნებით. მთავარი კი მაინც ის იყო, რომ მარიამის უშუალო ჩარევით ბრწყინვალე ქართული ქრისტიანული ტაძრებითა და სამლოცველოებითაც დაუმშვენებიათ იგი. „ჩვენ საქართველოს ხელმწიფის შვილმან მეფეთ მეფემან როსტომ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან მარიამ ხელ ვჰყავით აღშენებად თეძმის პირსა ზედა ქალაქი და სახელი უწოდეთ მეფის ქალაქი და აღუაშენეთ საყდარნი და მონასტერნი“.

ყოველმხრივ ცდილობდა მარიამ დედოფალი როსტომ მეფის გულში გაეღვიძებინა სიყვარული ყოველივე ქართულისადმი.

არ იმჩნევდა ამას ყოველივეს როსტომ მეფე. უფრო მეტიც, ამბობდნენ, ჩუმჩუმად ხელსაც კი უწყობს დედოფალ მარიამსო.

ამიტომაც იყო, რომ მარიამ დადიანის დედოფლად ყოფნის დროს როსტომ მეფის საბრძანებელში – ქართლში „ჟამთა შინაკუალად იწყეს მოქცევად ბოროტისა და ქმნად კეთილისა“.

მეფე როსტომი 1658 წელს მიიცვალა.

ქართლის სამეფო ტახტზე სპარსეთის შაჰმა (ყაენმა) მაშინვე ვარტანგ V შაჰნავაზად წოდებული დასვა და უბრძანა, ცოლად შეერთო როსტომ მეფის ქვრივი დედოფალი მარიამი. ეს მაშინ, როცა ვახტანგ V-ს

ცოლი უკვე ჰყავდა: „ყაენმან მისცა მეფობა ვახტანგს... და დედოფალი მარიამ, რათა შეირთოს ცოლად... ხოლო ვახტანგს შეუძნდა შერთვა მარიამ დედოფლისა, ვინაიდან სხვა ცოლი ასული ყაფლანისა როდამ სიკეთითა აღმატებული, არამედ უღონო ქმნილმან განუტევა როდამ და იქორწინა მარიამსა ზედა“.

ერთობ კეთილი განწყობა სუფევდა სათნო და მეტად გონიერი დედოფალი მარიამის ირგვლივ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც და თვით სპარსეთის სამეფო ქალაქშიც. მოხერხებულად სარგებლობდა ამ განწყობით მარიამი ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

უმოწყალოდ იყო იავარქმნილი ერთ დროს უბრწინვალესი ქრისტიანული კულტურის კერები ამ პერიოდში და სწორედ მარიამი მოევლინა მათ პატრონად. აღადგინა და შეამკო ბოლნისის სიონი, რუისისა და ურბნისის ტაძრები. „დედოფალმა მარიამ შეამკო ეკლესიანი შესამოსლითა ხატითა, ჯუარითა და წირვის იარაღითა, ნაკერითა მარგალიტითა და თუალითა, და ედვა ამა დედოფალსა პატივი დიდისა ყაენისაგან და ყოველთა საქართველოსა კაცთაგან და ქალთაგან, მთავართა და დიდებულთაგან, იყო ყოველთურთ შემკული კეთილითა, რომლისა მსგავსი თამარ მეფისა შემდგომად არღარავინ“.

ტყვეთა სყიდვა! ეს საშინელი სენი ღრღნიდა და აჩანაგებდა ჩვენს სამშობლოს და საერთოდ კავკასიის ხალხების მეტად მძიმე ისტორიას კარგა ხნის მანძილზე. გულს უკლავდა ეს მძიმე სენი მარიამ დედოფალს, ისე, როგორც სხვა ღირსეულ შვილებსაც ჩვენი

ერისა. ამიტომაც, პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, დედოფალმა თავდადებული ძალისხმევით ერთად შეკრიბა მოწინავე ქართველები და შედეგად აიკრძალა კიდეც ეს სამარცხვინო სენი.

სხვაც ძალზე ბევრი რამ გააკეთა მარიამმა სასახელო და მარად დაუვიწყარი.

მარიამ დედოფლისეული „ქართლის ცხოვრება“ – ამ სახელით არის ცნობილი ჩვენი ქვეყნის დიდებული ქრონიკის ერთ-ერთი საყურადღებო ნუსხა, მარიამის ბრძანებით გადაწერილი და დაზუსტებული. აქტიურად იყო ჩაბმული ამ საქმეში მარიამ დედოფლის ერთადერთი შვილი ოტიაც. „ღმერთო დაიცავ ორსავე ცხოვრებისა შინა დედოფალთა დედოფალი მარიამ და ძე მისი პირმშო ოტია, რომლისა ბრძანებითა იწერება წმიდა წიგნი“. გვაუწყებს „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეული ხელნაწერი.

სხვაგანაც ხშირად იხსენიებს გადამწერი „ქართლის ცხოვრებისა“ მარიამისა და ოტიას სახელებს.

არაერთი ხელნაწერი გამოუხსნია ტყვეობიდან და გადაურჩენია მარიამ დედოფალს. „ჩვენ, ხელმწიფემან პატრონმა, დადიანის ასულმა დედოფალთ-დედოფალმა მარიამ ესე წიგნი ურუმთ ქვეყნიდანა გამოვიხსენ და გავაახლე დაშლილი და წამხდარი ჩემდა სადღეგრძელოდ და ცოდვათა ჩვენთა შესანდობლად“ აღნიშნულია X საუკუნის ერთ-ერთი ხელნაწერის პარხალის მრავალთავის მინაწერში. „სვეტიცხოვლის ჟამნი“, „ტბეთის ოთხთავი“, „ჯალის გულანი“... „პირო ღთისაო, სახარებაო, მომიხსენე დედოფალთ დედოფალი დადიანის ასული მარიამ, ამა სოფელს მა-

დღეგრძელე, მეორედ მოსვლას გამომიხსენ, რამეთუ აგარიანთ ჭელიდამ გამოგიხსენ წამჭდარი და ნაწერ-წაშლილი და ახლად დავაწერინე", - წაუწერია დედოფალს XII საუკუნის ცნობილ ხელნაწერზე - ტბეთის სახარებაზე.

საქართველოს საზღვარგარეთ არსებულ არაერთ კულტურულ კერასაც არ აკლებდა მარიამ დედოფალი მზრუნველ ხელს. დიდი შეწირულობა გაუგზავნია ღირსეულ დედოფალს იერუსალიმის ჯვრის მონასტრისათვის, ამიტომაც გამოუხატავთ მისი სურათი მონასტრის კედელზე.

ერთობ გატეხა ცხოვრებამ ბოლო ხანს დედოფალი. მიზეზი ამისა ერთადერთი შვილის, ღირსეული ახალგაზრდა ოტიას გარდაცვალება გახლდათ. ოც წელიწადს არ გაუხდია შავი და არ მიურთმევია ხორცეული გლოვის ნიშნად ხანდაზმულ მარიამს. თუმცა ყურადღება და მზრუნველობა ქართული კულტურული კერებისადმი მაინც არასდროს დაუკლია.

ცხრა გმირის დედა

„სხვა რომ არ იყოს, ჩვენ ამ ლამაზი
ქალების ეშხი დაგვიფარავდა,
თორემ მტერს ისიც კი შეაშინებს,
ერთხელ ხმამაღლა რომ ვთქვათ – მარაბდა“.

– რატომ მარაბდა? – დაუსვეს კითხვა ლადო ასათიანს და ურჩიეს, სხვა სიტყვით შეეცვალა.

კატეგორიულად მოითხოვა მან, თურმე, ლექსის უცვლელად დაბეჭდვა.

– რატომ მარაბდა? იქ ხომ ჩვენმა ლაშქარმა სასტიკი დამარცხება განიცადა? – და არა, მაგალითად, შამქორი, ბასიანი, დიდგორი? და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი...

რითმისთვის დასჭირდაო! – ამბობდნენ მავანნი.

ღიმილის მომგვრელია ეს „მტკიცება“. ლექსის განთქმულ ოსტატს რითმის მოძებნა გაუჭირდებოდა?

მაშ, რატომ, მარაბდა?

პასუხად ჯობს, ერთხელ კიდევ გადავხედოთ მარაბდის ველზე გამართული ბრძოლის პერიპეტიებს, ეპიზოდებს.

20 ათასი ქართველი აღუდგა წინ ამ ველზე სამ-კვდრო-სასიცოცხლოდ 50 ათას ყიზილბაშს 1625 წელს.

ქარიშხალივით დაქროდა ბრძოლის ველზე გაშლილი დროშა ქართული – გორგასალ-დავი-თიან-თამარიანი.

პირველი მედროშე აღსართან ხერხეულიძე გახლ-დათ, ცხრა ძმა ხერხეულიძეთა დედის პირმშო.

დედამ დალოცა აღსართანი, ბრძოლის ველზე მი-მავალი, და შვილებს მოუწოდა, დროშა არასდროს დაეხარათ – თუ პირველ მედროშეს მოკლავდა მტერი, მომდევნო შვილს უნდა აღემართა... ამასობაში მტერს უსათუოდ დავამარცხებთ, ღვთის შეწევნითო.

პირველებმა ქართველებმა შეუტიეს...

გრიგალმა შეარყია მარაბდის ველი, თოფების კვამლმა დააბნელა მიდამო. მძლავრი ყიჟინით შეან-გრიეს სპარსთა მოწინავე რიგები, გავეშებული ჩეხვით გაარღვიეს მტრის დაცვა და უკუაქციეს მოწინავენი ერთბაშად და ერთსულოვნებით. ამაყად ფრიალებდა ქართული დროშა აღსართან ხერხეულიძის ხელით აღ-მართული.

მზე დასავლეთისკენ გადაიხარა, როცა ქართ-ველები მტრის განლაგებაში შეიჭრნენ. უფრო და უფრო ვიწროვდებოდა სპარსელ მებრძოლთა რიგე-

ბი და ბოლოს უკუაქციეს კიდეც მტრის განლაგების შუაგული.

სრულ გამარჯვებას აღარაფერი აკლდა და... სწორედ ამ დროს ბრძოლის ველზე ელვასავით შემოიჭრა ახალი ძალა. ეს აზერბაიჯანის ბეგლარ-ბეგი მოქროდა დროშების ფრიალით და საომარი ყიჟინით.

თავად მრისხანე შაჰ-აბასი მოუძღვის ამ ლაშქარსო – დაარხიეს ხმა ჩვენი ჯარის განლაგებაში მტრის მიერ წინასწარ შემოგზავნილმა ჯაშუშებმა. სხვებმა კიდევ ხმა დაყარეს, – მეფე მოკლესო.

ქართველ მებრძოლთა რიგები აირია. დროშაც შექანდა – გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე აღსართან ხერხეულიძე.

მომდევნო ძმამ აიტაცა დროშა უმალვე – ისიც განგმირეს სულ მალე. მესამე ძმამ მოუსწრო და დროშა კლვავ ფრიალებდა მის ხელში.

გამგელებული იბრძოდნენ ხმლით ხელში მეფე თეიმურაზი და სახელგანთქმული სარდალი გიორგი საკაძე. მტრის ტყვიამ განგმირა ეპისკოპოსები რუსთაველი და ხარჭაშვილი.

იბრძოდა გლეხკაცობა – მარადიული სიმტკიცე და სინდისი საქართველოსი.

სამნი დარჩენილიყვნენ ხერხეულიძეთაგან ცოცხალნი. გლეხკაცთა მცირე გუნდით გარშემორტყმულნი, ერთმანეთს აბარებდნენ ქართულ დროშას.

იმ დღის ბრძოლები დამთავრდა. მზე ჩაესვენა დასალიერში.

მეცხრე ძმა ხერხეულიძეც დაეცა ბოლოს ხელში ჩაბღუჯული დროშის ტარით.

ბრძოლის ველზე დაეცნენ ცხრა ძმა მაჩაბლები, შვიდი ძმა ჩოლოყაშვილები, და, ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი გმირი მამულიშვილი.

მთელი ღამე ბორგავდა მარაბდის ველი...

უკუნ სიბნელეში ეძებდა მოხუცი დედა ნაბოლარა შვილის ცხედარს, რათა მარაბდის ველზე გაეჭრა მისთვის სამუდამო ადგილსამყოფელი.

მიაგნო კიდეც ბოლოს შვილს. დალეწილ მკერდს ქართული დროშა უფარავდა ვაჟკაცს.

იპოვა და დაემხო შვილის ცხედარს, დაემხო და გაირინდა.

... ბრძოლის ველზე ორი მამაკაცის სილუეტი ამოიკვეთა. ფრთხილად მოდიოდნენ, გზადაგზა ძარცვავდნენ გარდაცვლილთ.

შვილის სხეულზე დამხობილ მოხუცს მიუახლოვდნენ, დაკვირვებით დააცქერდნენ, ძვირფასი ქამარ-ხანჯალი ერტყა წელზე გარდაცვლილს. ერთ მათგანს ქამარ-ხანჯლისკენ გაექცა ხელი და იმავდროულად ძუ ვეფხვივით ეცა მოხუცი მანდილოსანი მძარცველს, ხელიდან ხმალი გამოსტაცა და ერთი დარტყმით თავი წააცალა. მეორე პირველს წამოეშველა. ხმალდახმალ შეებნენ მოხუცი და ახალგაზრდა, ერთბაშად დაენარცხნენ ორთავე მიწას.

სულთმობრძავი დედა შვილის ცხედართან მიხოხდა, მის მკერდზე განფენილ დროშას ეამბორა და გათავდა.

მარაბდაში ბრძოლა იმ დღეს არ დასრულებულა, ტაქტიკა შეცვალეს ქართველებმა მხოლოდ. ახლა ისინი ირგვლივ მდებარე ტყეებს შეეხიზნენ

და, მცირე რაზმებად დაყოფილები, მოსვენებას არ აძლევდნენ პირსისხლიან მტარვალთ დღითა და ღამით. შედეგი ამ თავგანწირული ბრძოლისა ის იყო, რომ მალე დამპყრობლები იძულებულნი გახდნენ, გაცლოდნენ ჩვენს მიწა-წყალს.

სამუდამო განსასვენებელი მიუჩინა მარაბდის მიწამ თავდადებულ ცხრა ძმას, მათ სათაყვანებელ გმირ დედას და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენ გმირს, სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულთ.

ამიტომაც თქვა პოეტმა ასე მოხდენილად – უბადლო გმირთა სამუდამო სავანის – მარაბდის თუნდაც ერთხელ ხმამაღლა წარმოთქმაც მტერს შეაშინებსო.

დარეჯან დედოფალი

თხუთმეტი წლის იყო სამეგრელოს მთავრის გიორგი დადიანის ასული დარეჯანი, ქართლ-კახეთის დედოფალი რომ გახდა.

1750 წელს შეირთო ცოლად იგი ჩვენმა საამაყო მეფემ ერეკლე მეორემ.

ერთობ წარმტაცად არის აღწერილი მათი შეუღლების ამბავი „ქართლის ცხოვრებაში".

დაბა სურამში შეხვდნენ პირველად ერეკლე II და მისი მხლებლები დადიანის ასულს და, საოცარი მშვენებით მოხიბლულებმა, „წარავლინეს იმერეთად ხორეშან ბატონიშვილი და თან აახლეს ნინოწმინდელი საბა ეპისკოპოსი და ითხოვეს ქალი დადიანისა დარეჯანი... წამოიყვანეს ლხინ-მხიარულებით და ჩამოიყვანეს ქალაქს".

ახლადაგებული სასახლე მტკვრის პირას საქორწილოდ უკვე გაემზადებინა ერეკლეს მამას თეიმურაზ II-ს. „მზა ექმნა რიგი ქორწილისა სიმშვენიერით

შემკულ სასახლეში“. შვიდი დღე და ღამე გრძელდებოდა ყოვლით კერძო „შვება-განცხრომა უზომო“.

დიდად ხიბლავდა დედოფალი დარეჯანის მახვილი ჭკუა და შემართება, დარბაისლობა და სიდინჯე არამარტო მის მეუღლეს ერეკლეს, არამედ სხვა დიდებულებსაც.

რვა ვაჟკაცი და ექვსი ასული შობა და აღზრდა დედოფალმა. სახელოვანი ფურცლები ჩაწერა ბაგრატიონთა საგვარეულო მატიანეში თითოეულმა მათგანმა.

რთული ურთიერთობების ეპოქაში იდგა იმხანად საქართველო.

სამი დიდი ვეშაპი – ირანი, თურქეთი და რუსეთი – თავგამოდებით იბრძოდნენ, რათა ხელთ ეგდოთ მონოპოლია ამიერკავკასიაში, დაელაშქრათ, დაემონებინათ ჩვენი ქვეყანა და ამ გზით გაბატონებულიყვნენ ახლო აღმოსავლეთში.

მძიმე არჩევნის წინაშე იდგა ჩვენი სახელმწიფო.

დიდი ფიქრისა და განსჯის შემდეგ მეფე ერეკლე II-მ გეზი მაინც რუსეთისაკენ აიღო – ერთმორწმუნეაო, და ამიტომ.

დარეჯან დედოფალი პირველ ხანებში აქტიურად არ ებმებოდა რთული სამეფო საკითხების გადაწყვეტაში, თუმცა ფხიზელი თვალით კარგად ხედავდა, ერეკლე მეფე რუსეთთან შეგობრული კავშირის გაბმისაკენ რომ მიისწრაფოდა.

იმასაც ნათლად ამჩნევდა დედოფალი, რუსეთი სანდო რომ არ იყო და ამ დიდ ქვეყანას მხოლოდ თავისი მიზნები ამოძრავებდა.

ყველაზე თვალსაჩინოდ ეს ვერაგობა ჩრდილოელი მეზობლისა 1770 წლის ამბებმა გამოავლინა.

დიდი ომი მიმდინარეობდა რუსეთსა და თურქეთს შორის ამ პერიოდში.

აქტიურად ჩაებნენ ამ ომში რუსეთის სასარგებლოდ ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფოები ერეკლე II-ის და სოლომონ I-ის მეთაურობით.

საქართველოში რუსეთმა გენერალი ტოტლებენი გამოგზავნა ჯარისკაცებით.

ერთობლივად უნდა ებრძოლათ თურქეთის წინააღმდეგ ერეკლე II-ს და ტოტლებენის რუსთა ლაშქარს.

დასაწყისში თითქოსდა ყველაფერი ნორმალურად წარიმართა. ერთად დაიძრა ქართველთა და რუსთა ლაშქარი ბორჯომისაკენ, მაგრამ მალე ტოტლებენმა წინსვლაზე უარი განაცხადა და თავისი ჯარი უკან შეაბრუნა. ვერავითარმა ხვეწნა-მუდარამ ვერ გაჭრა. მარტო დარჩნენ ერეკლე და ქართველები მეტად რიცხვმრავალი მტრის პირისპირ.

აშკარა გახდა ღალატი.

გადამწყვეტი ბრძოლა თურქებთან ასპინძის მიდამოებში გაიმართა.

და ამ კრიტიკულ ჟამს ერთხელ კიდევ იელვა ერეკლე მეფის ბრწყინვალე ნიჭმა და შემართებამ.

რიცხვმრავალი მტერი გაანადგურეს.

ვერ ისარგებლა საქართველომ ამ გამარჯვებით ფაქტობრივად.

უკან, თბილისისაკენ გამობრუნდა მეფე ერეკლე უმალვე თავისი ლაშქრით.

ტოტლებენის ღალატით იყო გამოწვეული ეს გამობრუნება.

რუსი გენერალი აშკარად ისწრაფოდა თბილისისაკენ, რათა ერეკლე II მეფობიდან გადაეყენებინა და გზადაგზა ხალხი რუსეთის ერთგულებაზე დაეფიცებინა.

ჯავახეთის მოკლე გზით ჩაასწრო პატარა კახმა ტოტლებენს თბილისში. რუსი გენერლის განზრახვა ჩაიშალა.

კვლავაც ხლართავდა რუსეთი მოღალატურ ქმედებებს საქართველოს წინააღმდეგ სხვადასხვა გზით.

ჯერ იყო და, რუსეთსა და თურქეთს შორის დადებული 1774 წლის ქუჩუკ-კაინარჯის ზავითაბსოლუტურად იგნორირებული იყო საქართველოს ინტერესები, მეტიც, რუსეთმა ამ ზავით დასავლეთ საქართველო თურქეთს დაუთმო.

1776 წელს კი ერთობ დიდი ინტრიგაც მოაწყო ერეკლეს წინააღმდეგ იმავე რუსეთმა დიდი ფეოდალის ზაალ ორბელიანის მეთაურობით. სწორედ რუსეთის საიდუმლო სამსახურის აგენტი გახლდათ შეთქმულების სული და გული ბაკუნინი. ე.წ. „მარკოზაშვილის დარბაზის“ სახელწოდებით შევიდა ეს შეთქმულება საქართველოს ისტორიაში.

ერთობ მტრულად განაწყო რუსეთის მიმართ დარეჯან დედოფალი ყოველივე ამან. აღარ სჯეროდა მას რუსეთის მფარველობა-დახმარებისა და არც მალავდა თავის განწყობას ახლობლებში. ამიტომაც იკრიბებოდნენ თანდათან მის გარშემო რუსეთთან ურთიერთობის გაღრმავების მოწინააღმდეგენი.

მოღალატედ და მტრად მიიჩნევდა რუსეთს ერეკლე II-ის ბრძენი კანცლერი სოლომონ ლეონიძეც.

უცვლელი და ურყევი იყო ამ პრინციპულ საკითხებში თავად ერეკლე II.

კარგად ხედავდა პატარა კახის ფხიზელი მზერა რუსეთის მოღალატურ ნაბიჯებს, მაგრამ იმედს არ კარგავდა, ყოველმხრივ ცდილობდა, ვითარება საქართველოს სასარგებლოდ წარემართა და სამოკავშირეო ხელშეკრულება დაედო ჩრდილოეთის იმპერიასთან.

ხანგრძლივად მზადდებოდა ერეკლეს სასახლეში სამოკავშირეო ხელშეკრულების ცალკეული დეტალები. 10 წლის ლოდინის შემდეგ მიაღწია ერეკლე II-მ დასახულ მიზანს. რუსეთის იმპერიამ მფარველობა იკისრა და მოკავშირედ აღიარა საქართველო.

1783 წელს მოეწერა ხელი ქალაქ გეორგიევსკში ხელშეკრულებას, „გეორგიევსკის ტრაქტატის" სახელწოდებით რომ შევიდა ისტორიაში.

განუწყვეტელი ომებით სისხლდაცლილი საქართველო ამ ხელშეკრულების წყალობით მშვიდობიან ცხოვრებას უნდა ზიარებოდა, მოესვენა, ეკონომიკურად მომძლავრებულიყო და ამ გზით კავშირი გაება ევროპის ქვეყნებთან.

კიდევ ერთი სანუკვარი ოცნების აღსრულებასაც ელოდა ამ ხელშეკრულების წყალობით მეფე ერეკლე: საქართველოს უნდა დაბრუნებოდა დაკარგული ტერიტორიების ერთი ნაწილი – სამცხე-ჯავახეთი, ტრაქტატი გარკვეულწილად ამასაც ითვალისწინებდა.

სულ სხვა ამოცანები ამოძრავებდა რუსეთის იმპერიულ ძალებს. მათი მიზანი იყო, ყოველმხრივ გამოეყენებინათ საქართველოს ფაქტორი ირანთან თუ თურქეთთან გამწვავებული ურთიერთობის დროს, ჩაერთოთ საქართველო ამ ქვეყნებთან საომარ მოქმედებებში.

შედეგი სავალალო იყო. თანდათან კნინდებოდა და ნადგურდებოდა ჩვენი ერის პოტენციური შესაძლებლობები.

საღად აღიქვამდა ამ მოვლენებს დედოფალი დარეჯანი, მაგრამ ტრაქტატის დადების შემდეგ განიარაღებული იყო ერთგვარად.

ახლა მას ისღა რჩებოდა, თხოვნით და ზოგჯერ მოთხოვნითაც მიემართა რუსეთის შესაბამისი უწყებებისათვის, – პირნათლად შეესრულებინათ ნაკისრი ვალდებულებები.

შედეგი კი არა და არა ჩანდა. უპასუხოდ რჩებოდა ყველა მისი აჯა.

და რა გასაკვირია, დარეჯანის არსებაში თანდათან რომ ისადგურებდა ზიზღი რუსეთისადმი, რასაც ზოგჯერ აშკარადაც გამოხატავდა.

ამის გამო ოფიციალური რუსეთის წერილობით დოკუმენტებში უხვად იფრქვეოდა ზიზღი და ცილისწამება დედოფლისა და მისი მიმდევრებისადმი.

სწორედ ეს დოკუმენტები დაედო შემდგომში საფუძვლად რუსი ისტორიკოსების შრომებს, ეგზომ უარყოფითად რომ აფასებდნენ დარეჯან დედოფალსა და მის ქმედებებს.

ღრმად სჯეროდა მეფე ერეკლეს, დღეს თუ ხვალ რუსეთი გეორგიევსკის ხელშეკრულებით დაკისრებულ მოვალეობებს რომ შეასრულებდა.

კარგად ხედავდა დედოფალი ერეკლე მეფის ურყეობას და დედოფლის მოვალეობა, სამშობლოს და სათაყვანებელი მეუღლის სიყვარული აიძულებდა მეფის გვერდით დამდგარიყო.

მართალია, რუსეთს საქართველოს ინტერესები არად მიაჩნდა, მისი მიზანი სულ სხვა იყო, მაგრამ სანამ მეფე ერეკლე ცოცხალი ეგულვებოდა, საქართველოს რუსეთის გუბერნიად ვერ გადააქცევდა...

ძლიერ გააღიზიანა გეორგიევსკის ტრაქტატმა ჩვენი მაჰმადიანი მეზობლები. რიგრიგობით სტუმრობდნენ მათი წარმომადგენლები მეფე ერეკლეს და ზოგჯერ თხოვნით და ზოგჯერ მუქარით ცდილობდნენ, აეძულებინათ პატარა კახი ჩამოშორებოდა რუსეთს, დაეხშო დარიალის კარი, უარი ეთქვა გეორგიევსკის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე.

ათასგვარ სიკეთეს სთავაზობდნენ სამაგიეროდ.

სახიფათოდ და სწრაფად ძლიერდებოდა ამასობაში ირანი აღა მაჰმად ხანის მეთაურობით. გადაწვით და აოხრებით ემუქრებოდა სპარსეთის მბრძანებელი საქართველოს, თუ კავშირს არ გაწყვეტდა რუსეთთან.

კიდევ უფრო გააქტიურდა ამ პერიოდში დარეჯან დედოფალი. სწორედ მისი თაოსნობით და პირადად მისი უშუალო თხოვნით არაერთი წერილი გაიგზავნა რუსეთის იმპერიის ხელმძღვანელობაში, რათა შეეს-

რულებინათ ტრაქტატით გათვალისწინებული ვალ-
დებულებები და გამოეგზავნათ საქართველოში დამხ-
მარე რუსის ჯარი თუნდაც მცირე შემადგენლობით.

სულ ორიოდე თვე იყო დარჩენილი აღა მაჰმად
ხანის თბილისში ლაშქრობამდე, დარეჯან დედო-
ფალმა კიდევ ერთხელ რომ მისწერა წერილი ახლა
უკვე თავად რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-ს: „...
ცრემლით გევედრებით, უდიდებულესო ხელმწიფეო,
შეიწყალეთ ესოდენ ქრისტიანნი ბრძანებითა... რათა
მოგვეცეს შეწევნა, უძლეველითა მხედრობითა...“.

დუმილით უპასუხა დარეჯან დედოფლის ამ თხოვ-
ნას ეკატერინე II-მაც.

არავითარი პრაქტიკული ნაბიჯი არ გადაუდგამს
რუსეთს საქართველოს გადასარჩენად უაღრესად
კრიტიკულ ჟამს.

შედეგი მეტად სავალალო იყო. გადაწვეს თბილისი
და ააოხრეს ქვეყანა ირანის ველურმა ურდოებმა.

რუსეთსაც შინაგანად სწორედ ეს სწადდა. მას
დასუსტებული, იავარქმნილი ქვეყანა უნდოდა ხელთ
ეგდო, რათა სამეფო გაეუქმებინა და ქვეყანა რუსე-
თის გუბერნიად ექცია.

ცნობილი გახდა შემდგომში კიდევ ერთი მეტად
სავალალო ფაქტი რუსეთის ღალატისა. სწორედ ამ
ქვეყნის სპეცსამსახურებმა დააფინანსეს თურმე აღა
მაჰმად ხანი ერეკლესთან საბრძოლველად.

მაინც ვერ ააღებინა ხელი მეფე ერეკლეს რუსეთთან
საიმედო კავშირის გაბმაზე ვერავითარმა შეგონებამ.

პასუხად კიდევ უფრო გაავებული აღა მაჰმად
ხანი ახლა უკვე უფრო დიდ ძალებს იკრებდა, სამუ-

დამოდ რომ ამოეძირკვა ქართველთა სახსენებელი ამ ქვეყანაზე.

მხოლოდღა სასწაულმა გადაარჩინა მაშინ საქართველო სრულ განადგურებას. ბედად, პირსისხლიანი აღა მაჰმად ხანი მისმა ხელქვეითებმა სწორედ ახალი შემოტევისთვის მზადებისას მოახრჩეს.

1798 წელს 11 იანვარს მეფე ერეკლეს მზეც ჩაესვენა.

სამეფო ტახტზე აბრძანდა ერეკლეს უფროსი ვაჟიშვილი ავადმყოფი და უნებისყოფო გიორგი XII რუსეთის ფარული ხელშეწყობით.

ახლა უკვე აშკარად ამოქმედდნენ ველიკორუსული ძალები. თავად მეფე კი სრულ უუნარობას ამჟღავნებდა და ქართველთა მართვა-გამგეობა თანდათან რუსეთისა და რუსი მოხელეების ხელში გადადიოდა.

მეფე გიორგი XII რუსეთს გეორგიევსკის ტრაქტატის გათვალისწინებულ ვალდებულებებს აღარ სთხოვდა და ახალახალ დათმობებზეც მიდიოდა ოფიციალურად თუ არაოფიციალურად. მეფის მიზანი ერთი იყო, როგორმე მეფობა შეენარჩუნებინა და სამეფო ტახტი მისი სიკვდილის შემდეგ მისსავე მემკვიდრეს – დავითს დარჩენოდა.

სულმოუთქმელად ელოდებოდა რუსეთის იმპერია ავამდყოფი მეფე გიორგი XII-ის გარდაცვალებას, უმალვე რომ აესრულებინა ფარული განზრახვა.

კარგად ხედავდნენ ამას ყოველივეს ქვეყნის პატრიოტული ძალები. ხედავდნენ და იკრიბებოდნენ სამოქმედოდ დარეჯან დედოფლის გარშემო.

მათი მიზანი ამჯერად მხოლოდღა ეს იყო

– დაესწროთ რუსეთისათვის და გიორგი XII–ის მიცვალებისთანავე მეფედ ეკურთხებინათ დარეჯანის უფროსი ვაჟიშვილი იულონი.

1800 წლის 28 დეკემბერს მიიცვალა მეფე გიორგი XII. ქართლ–კახეთის სამეფო ტახტზე მეფედ მისი ძე დავითი რუსეთმა არა და არ სცნო, ხოლო იულონის მეფედ კურთხევა ვერა და ვერ მოხერხდა.

საბოლოოდ ყველაფერი რუსეთის სასარგებლოდ წარიმართა. 1801 წლის 12 სექტემბერს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I–მა მოაწერა ხელი მანიფესტს, რომლის ძალითაც ქართლ–კახეთს სამეფო გაუქმებულად ცხადდებოდა და იგი რუსეთის იმპერიას უერთდებოდა.

აღშფოთებით შეხვდა ამ მოვლენას მთელი ქართველი ხალხი, „აზნაურნი თუ უაზნონი". დღითი დღე ძლიერდებოდა უკმაყოფილების ტალღა.

ფარული შეთქმულება მზადდებოდა რუსეთის წინააღმდეგ. თითქმის მთელ ბაგრატიონთა დინასტიას აერთიანებდა ეს შეთქმულება.

რუსეთის საიდუმლო აგენტებსაც არ ეძინათ. მსგავს სიტუაციებში კარგად გარკვეული ეს უწყება ნათლად ხედავდა ქართველთა ქმედებას და შესაფერის დროს თუ მომენტს ელოდებოდა.

ამასობაში 1802 წლის ცნობილი მოვლენები – აჯანყებები რუსეთის წინააღმდეგ – აშკარად დაიწყო. სული და გული ამ პროცესისა დარეჯან დედოფალი გახლდათ.

აჯანყებულთა მოთხოვნა ცალსახა და ნათელი იყო: აღდგენილიყო საქართველოში სამეფო ხელისუ-

ფლება და გაუქმებულიყო რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის 1801 წლის მანიფესტი. სამეფო ტახტზე ვინ ავიდოდა? აჯანყებულთათვის ეს ახლა უკვე სულ ერთი იყო.

სამწუხაროდ, აჯანყებულები დამარცხდნენ.

რუსეთმა ახლა უკვე სავსებით ღიად რეპრესიები თავად საქართველოს სამეფო დინასტიის – ბაგრატიონების წინააღმდეგ წამოიწყო.

„უნდა ამოიძირკვოს საქართველოში ასპიტთა მოდგმა", – სწერდა პეტერბურგს ახლადდანიშნული მთავარმართებელი, წარმოშობით ქართველი პავლე ციციანოვი.

და დაიწყო ბაგრატიონთა მასობრივი გადასახლება უკიდეგანო რუსეთის სხვადასხვა გუბერნიაში ოჯახებიანად.

თავად იმპერატორი ალექსანდრე I უშუალოდ მონაწილეობს ამ პროცესში. სპეციალური ბარათი გადასცა მთავარმართებელს პ. ციციანოვს იმპერატორმა 1802 წლის 21 ნოემბერს დარეჯანისადმი, სადაც იგი მოკრძალებით ეპატიჟება დედოფალს და მის ქალიშვილებს პეტერბურგში, რათა „იხილოს ისინი და დაუმტკიცოს თავისი პატივისცემა და ყურადღება".

აშკარად გრძნობდა დედოფალი, ეს მიპატიჟება სინამდვილეში ფარსი რომ იყო, თუ პეტერბურგს გაემგზავრებოდა, იძულებით ტყვეობაში აღმოჩნდებოდა და საშობლოსაც ველარასოდეს იხილავდა.

ამიტომაც ითრევდა ფეხს. აშკარად უარს ვერ ამბობდა და მოხუცობას, ავადმყოფობას იშველიებდა.

არ იჯდა დედოფალი უმოქმედოდ ამ ხნის მანძილზე. საიდუმლო მიმოწერებს აგრძელებს სპარსეთ-

ში მყოფ ვაჟიშვილთან, ალექსანდრესთან, რუსეთის შეურიგებელ მტერთან.

კვლავაც ემზადებოდნენ ისინი ფარულად რუსების საქართველოდან გასადევნად.

ველარ ითმენდნენ ციციანოვი და იმპერატორი ალექსანდრე I დარეჯანის გაჯიუტებას და ფარულ ქმედებებს. ამიტომაც სწერდა იმპერატორი ციციანოვს, – უკანასკნელად ეცადე, დედოფალი დარიანებით წამობრძანდეს პეტერბურგს და თუ მაინც გაჯიუტდება, შეიპყარი და ისე გამოგზავნეო.

თითქმის ერთი წელიწადის მუქარა, ხვეწნა-მუდარა დასჭირდა ციციანოვს, სანამ დედოფალს პეტერბურგისაკენ მიაბრუნებდა.

ბოლოს დარეჯანმა, რაკიღა დარწმუნდა საშველი არ იყო, ამჯობინა ღირსებით და დიდებით გაბრძანებულიყო საქართველოს საზღვრებიდან, რასაც მიაღწია კიდეც.

კაიშაურთან, საქართველოს საზღვართან ღამის გასათევად დაბანაკებულ დედოფალთან უკუნ სიბნელეში ერთი მოხუცი მთიული მისულა და უთქვამს, – მთელი მთიულეთი აქვეა, გვიბრძანე, დედოფალო, რუს მცველებს გავწყვეტთ და მთიულეთში წაგიყვანთ, შემდეგ კი ღმერთს მივენდოთო.

მორიდებია ახალ სისხლისღვრას დედოფალი. გადაჭრით უარიც უთქვამს მოხუცისათვის.

ხანგრძლივი მგზავრობით გაწამებული დარეჯანი თავისი მახლობლებით 1804 წელს ადრე გაზაფხულზე ჩაუყვანიათ მოსკოვს, ხოლო პეტერბურგში – 28 მაისს.

უაღრესად მძიმე პირობებში ატარებდა ცხოვრების უკანასკნელ წლებს დედოფალი პეტერბურგში.

შესანიშნავად აღწერს დარეჯანის შვილიშვილი, ცნობილი ისტორიკოსი ალექსანდრე ორბელიანი დედოფლის ტყვეობაში ყოფნის ერთ ეპიზოდს: „ერთ დილით დედოფლის სასახლის წინ დამწყვდეული ჩიტები გაატარეს გასაყიდად. დედოფალმა უბრძანა, რომ ეყიდათ მთელი გალია. ყველანი გაოცდნენ, თუ რად უნდოდა დედოფალს ამდენი ჩიტი. დედოფალმა გალია აიღო, გამოაღო ფანჯარა და ჩიტები სათითაოდ გადააფრინა...

ჩვენც გვეყოფა ტყვეობა, თქვენ მაინც იყავით თავისუფალნიო, და თვალცრემლიანმა გალია გადააგდო“...

არად აგდებდა პეტერბურგში მყოფი დარეჯან დედოფალი პეტერბურგის მიერ დანიშნულ პენსიებსა და სასახლეების ბრწყინვალებას. ქართველი დედოფლის მოვალეობა სჯარბობდა მასში სხვას ყოველივეს.

შვილებთან შეხმიანების ყველა გზაც გადაუჭრეს ბოლოს დედოფალს. ახლა უკვე ერთმანეთისთვის არც წერილობით და არც სიტყვიერად ხმის მიწვდენა აღარ შეეძლოთ მათ.

ვეღარ გაუძლო დედოფლის მოხუცმა გულმა ამას ყველაფერს და 1807 წლის ნოემბერში სამუდამოდ დახუჭა თვალი.



თეკლა ბატონიშვილი

მთავარმართებელ პავლე ციციანოვს ჩაჟამებული სახე გაებადრა. რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე პირველი გენერალს საქართველოს ტახტის მემკვიდრეთა ოჯახიანად აყრას და რუსეთში გაგზავნას ავალებდა.

უპირველეს ყოვლისა მეფე ერეკლის ქვრივს – დარეჯან დედოფალს იწვევდა იმპერატორი პეტერბურგში.

– ქართველთა დამორჩილებას მხოლოდ მაშინ შევძლეთ, როცა ხალხში საბოლოოდ წარიხოცება სამეფო დინასტიის აღდგენის იმედიო, – ფიქრობდნენ რუსები.

დაყოვნებას შეიძლება არეულობა მოჰყოლოდა. ამიტომაც რუსები, ციციანოვის ბრძანებით, მოულოდნელად დაესხნენ თავს მარტყოფში დარეჯან დედოფალს და იმპერატორის სურვილი გადასცეს.

უმალ გაჩნდა დედის გვერდით თეკლა ბატონიშ-ვილი. მართალია, დარეჯან დედოფალს თავი ღირ-სეულად ეჭირა, მაგრამ წამიერი გამოხედვით შვილმა მაშინვე იგრძნო, თუნდაც დამცირების ფასად, მთა-ვარმართებლისათვის უნდა ეთხოვა და დედოფალს ქმართან ერთად მოზდოკამდე გაჰყოლოდა...

არ გამართლდა მეფე ერეკლეს იმედი – ერთმორ-წმუნე რუსეთის მფარველობა მშვიდობას მოგვიტან-სო. სიტყვის გამტეხნი, უპირონი, სასტიკი და დაუნ-დობელნი აღმოჩნდნენ რუსები.

უმძიმესი იყო რუსების შემოსვლით გამოწვეული შედეგი: ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისა და ბაგრატიონთა 1200-წლიანი სამეფო დინასტიის გაუ-ქმება...

რუსეთისკენ მიმავალი დედოფალი და მისი ამალა ღამის გასათევად კაიშაურში შეჩერდნენ.

ცოტა ხანში დედოფალმა თეკლა და მისი მეუღლე ვახტანგ ორბელიანი თავისთან იხმო.

– ახლახან მთიული მოხუცი მესტუმრა და მთხოვა: გვიბრძანე და რუსის ბადრაგს გავჟლიტავთ, თქვენ მხლებლებიანად მთებში გადაგიყვანთო. რა გზას და-ვადგეთ, შვილებო? მთიულები პასუხს ელოდებიან.

– დედავ ბატონო, ჯერ კიდევ ბავშვი ხშირად ვხლებივარ საყვარელ მამას ომში – გვიბრძანე, დედო-ფალო, და მეც ქმრიანად მოხუცს გავყვები. დაე, იგ-რძნონ რუსებმა, როგორი ბრძოლა იციან ქართველებ-მა მტრის წინააღმდეგ.

ერთხანს დუმდა დარეჯან დედოფალი, მერე კი ჩვეული სიდინჯით წარმოსთქვა:

– მე მხიბლავს მთიულთა განზრახვა. წარმატებაც გვექნება ამჯერად, მაგრამ შემდეგ? სასტიკი მტერი არ დაგვინდობს, საბოლოოდ მაინც გვძლევს და უმოწყალოდ გაჟლეტს დიდსა და პატარას. არ ეგების ესე ამბავი ამგვარად...

ცოტა ხნის შემდეგ დედოფალი გულდაწყვეტილ შვილს მიუბრუნდა:

– მომიახლოვდი, თეკლა ბიჭო!

დედა–შვილი ერთმანეთს ჩაეკრნენ და ახლა თავს მისცა ნება დედოფალმა გამოეთქვა საშინელი სევდა:

– მაგათ ერეკლეს აჩრდილისაც კი ეშინიათ და ამიტომ გვმტრობენ. ჰგონიათ, თუ ამოგვწყვეტენ, საქართველოსაც დაიმორჩილებენ. დღეს მოტყუებული, დამცირებული და შეგინებულია ჩვენი სამშობლო, მაგრამ უნდა ვითმინოთ და ვემზადოთ. შენ, თეკლა ბიჭო, მამაშენის შვილი ხარ და პირდაპირი, უდრეკი, შეუპოვარი და უშიშარი ხასიათი გაქვს, მაგრამ სხვა მხრივ უნდა წარმართო საქმიანობა. ქალბატონი ბრძანდები და ღირსეული, კეთილი და თავდადებული მამულიშვილები უნდა აღუზარდო სამშობლოს...

შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, დარეჯანი სახელდახელოდ გაშლილ საწოლზე რომ მიესვენა, და დაძინება სცადა. არ დაეძინა. თვალწინ წარსული – თეკლას ბავშვობის და ყმაწვილქალობის სურათები უტრიალებდა.

აგერ ცეროდენა თეკლა ძმებში გარეულა და ტოლს არ უდებს ბიჭებს – დახტის, ყირაზე გადადის. ღიმილით შესცქერის მეფე ერეკლე მათ ცელქობას. მერე კი ბრძანებს:

– ყველანი აქეთ მობრძანდით, სიგელი უნდა შევადგინო:

„გიბოძეთ ეს სიგელი შენ, ჩვენ ქალს, თეკლას. თუმცა აქამდის შენ ქალად იყავი ცნობილი, მაგრამ ამიერიდან გიწყალობებთ ბიჭის სახელს და ვუბრძანებ ყველა ძმებს და დებს, ამიერიდან გიწოდონ თეკლა ბიჭი“.

ახლაც სათუთად ინახავს დედოფალი ხუმრობით შედგენილ ამ სიგელს.

ოთხი წლის იყო თეკლა მაშინ. უხაროდა მეფეს, ასეთი ყოჩაღი გოგონა რომ ჰყავდა, ღმერთს რომ ჩემი ბიჭებისათვის მიეცა ეს სიკეთე, რაც თეკლას აქვს, საქართველოს ვერავინ მოერეოდაო. ეჰ, ბედნიერი დრო იყო, ჩვენი სამშობლო ჩვენ გვეკუთვნოდა.

სხვა ამბავიც გაახსენდა დედოფალს.

... შემოდგომის მზის ოქროს სხივებით განათებული სასახლის აივანზე დიდებულებით გარშემორტყმული მეფე ერეკლე იდგა. დარბაისლურად საუბრობდნენ სადილის მოლოდინში.

უეცრად ეზოს ხეები ჩიტებით დაიხუნძლა.

– აბა, ვინ შეძლებს გაფრენილი ჩიტის ერთი გასროლით ჩამოგდებას? – იკითხა ერთმა დიდებულმა.

შერცხვენის შიშით ვერავინ გაბედა თავის გამოდება.

– მომიტანეთ ჩემი თოფი – ხირიმი და მიხმეთ თეკლას!

უმალ ასრულდა მეფის ბრძანება.

– თეკლა ბიჭო, გაფრენილ ჩიტს თუ ერთი გასროლით ჩამოაგდებ, ჩემი ხირიმი მიბოძებიაო.

მოხდენილად მოირგო თოფი მხარზე თეკლამ, გაფრენილ ჩიტს მიზანი გააყოლა. გაისმა ბათქი, ჩიტი მიწაზე დაენარცხა. აღტაცებულმა დიდებულებმა ყიჟინა დასცეს. ერეკლემ შვილი გულში ჩაიკრა და ხირიმიც გადასცა.

მუდამ თან ატარებდა ამ თოფს თეკლა ბატონიშვილი ამ დღიდან.

თორმეტი წლის იყო მაშინ თეკლა ბიჭი. ხშირად დაჰყავდა მეფე ერეკლეს ვაჟკაცად აღზრდილი თავისი ასული ომებში ამის შემდეგ...

... მოზდოკამდე მიჰყვა დედას თეკლა ბატონიშვილი. მისმა მეუღლემ ვახტანგ ორბელიანმა პეტერბურგამდე ჩააცილა დედოფალი დარეჯანი.

აღარ ეწერა სამშობლოში დაბრუნება დედოფალს. რუსეთის ცივი, საძულველი ქვეყანა გახდა მისი საუკუნო განსასვენებელი.

საქართველოში ჩამოწოლილი ღრუბელი თანდათან ჩამუქდა და ჩაშავდა. არყით გამომთვრალი რუსი ჯარისკაცები ენით აუწერელ სისაძაგლესა და სისასტიკეს ჩადიოდნენ, დღენიადაგ შეურაცხყოფდნენ, როზგავდნენ, გუთნის უღელში აბამდნენ თავმომწონე, ამაყ ქართველებს.

აჯანყებას აჯანყებაზე აწყობდნენ ჩვენი წინაპრები. თეკლას ძმის – ალექსანდრე ბატონიშვილის გამეფებაზე ოცნებობდნენ. დიდმა აჯანყებამ იფეთქა 1812 წელს კახეთში. საბაბი თიანეთში რუსების მიერ ჩადენილი შემზარავი დანაშაული იყო – რუსმა ჯარისკაცებმა გააუპატიურეს და შემდეგ ხიშტზე

ააგეს მცირეწლოვანი ქართველი გოგონა. სისხლში ჩაახშო რუსეთის „ძლევამოსილმა“ არმიამ სახალხო აჯანყება. უაზროდ შეეწირა ამ ბრძოლას თეკლას მეუღლე ვახტანგ ორბელიანი.

საოჯახო საქმეებში ჩაბმული თეკლა ბატონიშვილი ობლობაში ზრდიდა მომავალ სამ სასახელო ვაჟკაცს – ალექსანდრეს, დიმიტრის, ვახტანგს. ის იყო მათი დედაც და მასწავლებელიც.

„ჩინებული მცოდნე ქართული მწერლობის, ჩვენი ერის წარსულისა და საღმრთო წერილისა. ნიადაგ შთააგონებდა შვილებს ბევრს რასმე სანატრელს, უთბობდა გულს სამშობლოს სიყვარულით და წარსულის ღრმა პატივისცემით“ – ბრძანებდა დიდი ილია მართალი თეკლა ბატონიშვილზე.

ვერ ურიგდებოდნენ ქართველები ბატონობას. დიდ ეროვნულ ამბოხებას ამზადებდნენ თავდადებული მამულიშვილები. ჩვეული შემართებით ჩაება შეთქმულებაში თეკლა ბატონიშვილი თავის სამ ვაჟკაცთან ერთად.

რუსეთის საიდუმლო სამსახურმა ღალატის მეშვეობით 1832 წელს გამოააშკარავა შეთქმულება. ელვის სისწრაფით დააპატიმრეს შეთქმულნი. რუსეთის უკიდეგანო ქვეყანაში გადაასახლეს ისინი. საერთო ხვედრი გაიზიარა სამივე შვილმა.

სანთლები აანთო ხატების წინ. გულმხურვალედ ლოცულობდა ბატონიშვილი თეკლა.

ოთახში გამოსათხოვებლად შემოსულ შვილს ალექსანდრეს, რომელსაც კარებთან ბადრაგი ელოდებოდა, გულმხურვალედ მიმართა:

– ალექსანდრე, შვილო, ქვეყანაზე ბევრი უბედური ადამიანია. რა ვქნათ, იმათ შორის ჩვენი სახლიც უბედური იყოს. ღმერთის მადლობით დავითმინოთ. ამ ცოტა ხანში მეც გამისტუმრებენ საქართველოდან. განსვენებულის სულით მივდივარ მე. თუ შენ ჩემი შვილი ხარ, შენც ჩემსავით მაგრად იყავ და უბედურებას ნუ გაუტყდები. ახლა კი წადი, ღვთისთვის მიმიბარებიხარ.

გულაჩუყებულ, აღელვებულ ალექსანდრეს უნდოდა ხელები დაეკოცნა ამაგდარი დედისათვის.

არ დაანება ბატონიშვილმა.

– სჯობს ხატებს ემთხვიო, შვილო!

ამას რომ ამბობდა, წამით ხმა აუკანკალდა. უმალ მოერია თავს. შვილი ისე გაისტუმრა, მღელვარება არ აგრძნობინა.

არ გაკვირვებია ალექსანდრეს დედის თავშეკავება. მასაც და მის ძმებსაც ხომ ჭირთათმენა თავად ბატონიშვილისაგან ჰქონდათ ნასწავლი, შენივთებული. მათაც ხომ რამდენ განსაცდელს გაუძლეს თუნდაც მეტეხის საპყრობილეში, სანახავად მოსული დედის ამ შეგონებითაც გამხნევებულებმა:

– უნდა გავუმაგრდეთ კარს მომდგარ ჭირს. ჩემი დიდი ბებია ქეთევან დედოფალი შაჰ-აბასს საპყრობილეში ჰყავდა გამომწყვდეული – მაჰმადიანობა მიელო – ვერა შეგონებით ვერ დაითანხმეს... ერთ დილას შირაზის ხანი მოვიდა საპყრობილეში და შაჰის სასტიკი განაჩენი გამოუცხადა: დედოფლის სიმტ-

კიცით განრისხებულ აბასს მისი მახვილებით წამება უბრძანებია. ხანს წამების იარაღები ხელთ ეპყრა. უცრემლოდ, მამაკაცურად დამყუდროებულის გულით წამოდგა დედოფალი: „ჩემს სულთან საქმე არა გაქვთ, ღვთისა არის, აჰა, ხორცი ჩემი და მახვილი თქვენი. ნულარ ჰყოვნით. მაწამეთ"... ისე სტანჯეს დედოფალი ქეთევანი მტარვალებმა, რომ ენითაც ძნელი სათქმელია, მაგრამ დაითმინა, არც კი დაუკვნესია. აი, უბედურების ჟამს ჭირთათმენის მაგალითი, ქეთევან დედოფალი... თუ დედაკაცმა გაუძლო ამ საშინელ უბედურებას, კაცებს რაღა გვემართება? – დაასრულა ბატონიშვილმა.

თავად ბატონიშვილი თეკლაც გადაასახლეს სამშობლოდან კალუგაში ცოტა ხნის შემდეგ. ლოცვაში, ფიქრში, სამშობლოს თავისუფლებაზე ოცნებაში ატარებდა უსიხარულო დღეებს უცხოეთში: მოგონებებით ცხოვრობდა, ახსენდებოდა სათაყვანებელი გმირი მამა – პატარა კახი, მარტოობაში სულამომდნარი დედა დარეჯანი, ობლობაში გაზრდილი შვილები – ალექსანდრე, დიმიტრი, ვახტანგი – რუსეთის სხვადასხვა კუთხეში გადაყრილები. უცნაურია, მაგრამ ის მოხუცი მთიულიც ხშირად აგონდებოდა, სიცოცხლეში ერთხელ რომ ნახა. იმედის ნაპერწკალი აუნთო მაშინ იმ მხნე მოხუცმა გულში სულ ცოტა ხნით, წამიერად. ოჰ, რა ტკბილი და ძვირფასი იყო ეს ერთი წამი უსაზღვრო უიმედობაში.

თავის სამშობლოში ელირსა თეკლა ბატონიშვილს გარდაცვალება 1846 წელს. ერთობ მრავალმრიცხოვანი პროცესია მიაცილებდა მცხეთას თეკლა ბიჭის ნეშტს. სათაყვანებელი მამის – გმირი ერეკლე მეორის გვერდით, დარეჯან დედოფლისათვის განკუთვნილი სამარხი იქცა თეკლა ბატონიშვილის საუკუნოვან განსასვენებლად.

უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი

დიდი ლხინი გამართა მუხრანში ბატონიშვილმა ქეთევანმა ახლადშეძენილი რძლის მარიამისა და თავისი უფროსი ძმის, ტახტის მემკვიდრის გიორგის პატივსაცემად.

საგანგებოდ იყვნენ მოწვეულნი სუფრაზე „ქალნი საჩინოდ მორთულნი, მშვენიერებით მბრწყინავნი, ტკბილად მოუბარნი, საოცრად მროკველნი" თავადიშვილნი. კიდევ უფრო ბრწყინავდა მათ შორის საქართველოს მომავალი დედოფალი 14 წლის მარიამ ციციშვილი.

კარგა ხანს ართობდნენ შეკრებილი ქალები მარიამს ცეკვა-თამაშით, სიმღერებით, ლექსებით და შაირებით.

ათი დღე გაგრძელდა ლხინი.

მორიგეობით, დროდადრო იმართებოდა მსგავსი წვეულებები სამეფო კართან დაახლოებულ თვალსაჩინო თავადთა ოჯახებში.

ერთგვარი სანაცვლო ღონისძიებები იყო ეს ყველაფერი იმისა, დიდი ქორწილი რომ არ გამართულა ბატონიშვილის გიორგის და მარიამის შეუღლებისას.

საპატიო მიზეზი ჰქონდა ამას ყოველივეს.

ახლადგარდაცვლილი იყო გიორგის პირველი მეუღლე, სილამაზით და სათნოებით სახელგანთქმული, ცხრა შვილის დედა ქეთევან ანდრონიკაშვილი.

მოულოდნელად და ერთბაშად სწვევია მძლავრი სიყვარული ბატონიშვილ გიორგის ციციშვილის ქალის მარიამის ხილვისას. ამიტომაც გადაუდგამს ეს არცთუ მოსაწონი ნაბიჯი ბატონიშვილს.

ღირსეულად დაუოკებია პირველი წყენა, ამ ამბით გამოწვეული, დიდებულ მეფესა და სარდალს ერეკლე მეორეს.

დედოფალ დარეჯანთან ერთად საჩუქრებით დატვირთულს მიულოცია შვილისათვის დაქორწინება.

კარგად სცოდნია დედოფალ დარეჯანს ახალშეძენილი რძლის განსაკუთრებული სიყვარული წიგნებისადმი. ამიტომაც გამოირჩეოდა საჩუქრებს შორის სწორედ წიგნები.

ეკლესიის მესვეურთაც წიგნები მოურთმევიათ საჩუქრად ნეფე-დედოფლისათვის, განსაკუთრებით სასულიერო ლიტერატურა – მშვენივრად დაწერილი ხუცურად „დაუჯდომელი“ და „პარაკლისი ღვთისა დედისა...“ და სხვა.

და მაშინ „შესწირა თვით დედოფალმან სიონის ეკლესიასა ბარძიმ-ფეშხუმი, რომელსაცა აქვნდა შთასმული სამი დიდი ალმასი გარემო გამოკვეთილისა მაცხოვრისა ხატისა“...

თავს ევლებოდნენ დიდი ერეკლე მეორის რძალს სამეფო კარზე, გამოცდილი გამდელნი და მასწავლებელნი. მუდამ მოუწოდებდნენ ჯერ კიდევ ნორჩ მარიამს მიეღო და შეეთვისებინა მაღალი წრის წესჩვეულებანი და სწავლება. გულისყურით აითვისა და შეისისხლხორცა მათი შეგონებანი მომავალმა დედოფალმა, ასე ცხადად რომ წარმოჩინდა მისი ცხოვრების გრძელ გზაზე.

მეტად რთული ამოცანის წინაშე იდგა ჩვენი ქვეყანა იმხანად. მსოფლიოს სამი დიდი სახელმწიფო – სპარსეთი, ოსმალეთი და რუსეთი ერთმანეთს ეცილებოდნენ, რათა თავისი გავლენის ქვეშ მოექციათ საქართველო.

დიდი ხნის მსჯელობისა და ფიქრის შემდეგ ერეკლემ მუსლიმანურ სპარსეთსა და ოსმალეთს მაინც რუსეთი ამჯობინა.

სულ სხვა მიზნები ამოძრავებდა დიდ რუსეთს ჩვენთან მიმართებაში. მალე რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო და ასე ეწადა: საქართველოც ჩაბმულიყო ამ ომში რუსეთის სასარგებლოდ, რაც მეფე ერეკლემ და იმერეთის მეფე სოლომონ პირველმა უყოყმანოდ შეასრულეს.

შემდეგ კი, როცა რუსეთსა და თურქეთს შორის 1774 წლის ქუჩუკ-კაინარჯის ზავი დაიდო, სიცრუე აშკარა გახდა – საქართველოს ინტერესი რუსეთს არც

კი გახსენებია. უფრო მეტიც, თავად ომის პერიოდშიც რუსი გენერალი ტოტლებენი რუსეთის სამეფო კარის შეგონებით ამკარა ღალატსაც არ ერიდებოდა. იგრძნეს რა და თვალნათლივ დაინახეს კიდეც რუსეთის ორპირობა, მეფის კარზე შეიქმნა წრე დარეჯან დედოფლის ხელმძღვანელობით, რომელიც დაჟინებით ურჩევდა ერეკლეს - გაეწყვიტა საეჭვო კავშირი რუსეთთან.

ჯიუტად სჯეროდა თავად მეფე ერეკლეს რუსეთისა და მთელი სერიოზულობით ამზადებდა კიდეც სამოკავშირეო ხელშეკრულების ტექსტს, გეორგიევსკის ტრაქტატის სახელით რომ გახდა ცნობილი, რომელიც 1783 წელს გაფორმდა კიდეც ქალაქ გეორგიევსკში.

შედეგი მეტად სავალალო აღმოჩნდა:

მეხის გავარდნას ჰგავდა ეს ტრაქტატი მუსლიმანური სამყაროსათვის.

გამძვინვარებულმა აღა მაჰმად ხანის უზარმაზარმა ლაშქარმა გადაბუგა ჩვენი ქვეყანა.

დაანგრიეს, გადაწვეს, გაძარცვეს საქართველოს დედაქალაქი თბილისი 1795 წელს.

... დიდხანს აღარ უცოცხლია ღრმად მოხუცებულ მეფე ერეკლეს ამის შემდეგ.

1798 წელს მიიბარა მისი მშფოთვარე და ძლიერი სული უფალმა. საქართველოს სამეფო ტახტს მემკვიდრე გიორგი XII დაეუფლა. მისი მეუღლე მარიამი საქართველოს დედოფალი გახდა.

აქამდე ჩრდილში მდგომი მარიამი აქტიურად ერევა ამ დღიდან სახელმწიფო საქმეებში.

სამეფო კარი კვლავ ორად იყო გაყოფილი – რუსეთის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად.

თავად მეფე გიორგი, ავადმყოფი, სავსებით რუსეთზე იყო მიყრდნობილი, მხოლოდ იმისაგან ელოდა შველას.

და აგზავნიდა ახალ-ახალ თხოვნებს პეტერბურგში – დახმარებოდნენ საქართველოს სამხედრო ძალით. სამაგიეროდ, ყველაფერს თმობდა, ოღონდაც სამეფო ტახტი შეენარჩუნებინა და ტახტის მემკვიდრედ მისი შვილი დავითი ეღიარებინა რუსეთს.

ერთგულად ედგა გვერდით დედოფალი მარიამი მეუღლეს რუსეთთან ურთიერთობის საკითხში ერეკლე II-ის მეუღლის დარეჯან დედოფლის საწინააღმდეგოდ.

თავად რუსეთს ვერაგული განზრახვა ამოძრავებდა.

იმპერატორ პავლეს მიერ გამზადებული იყო მანიფესტი, რომლითაც საქართველოს სამეფო უქმდებოდა და ჩვენი ქვეყანა რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიად ცხადდებოდა.

ავადმყოფი მეფე გიორგი XII-ის გარდაცვალებას ელოდნენ, მანიფესტი რომ გამოექვეყნებინათ.

1800 წელს საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი XII გარდაიცვალა, სულ მალე თავად რუსეთის იმპერატორი პავლე I მოაშთეს შეთქმულებმა.

რუსეთის ტახტზე მისი მემკვიდრე ალექსანდრე I ავიდა.

ოდნავ გადასწია საქართველოს საკითხი უკან ამ ამბებმა.

ახალმა იმპერატორმა ახალი, უარესი მანიფესტი გაამზადა და გამოუგზავნა კავკასიის მთავარმართებელ კნორინგს და გენერალ ლაზარევს აღსასრულებლად.

მკაცრად ავალებდა იმპერატორი ორივე გენერალს, რაც შეიძლება მშვიდ ვითარებაში, ექსცესების გარეშე გამოეცხადებინათ მანიფესტი და დაეფიცებინათ ხალხი რუსეთის ერთგულებაზე.

აშკარად დაინახეს რა რუსეთის ვერაგობა და ღალატი, საქართველოში არსებული რუსეთის მომხრე და მოწინააღმდეგე ძალები გაერთიანდნენ და გადაწყვიტეს ერთად ებრძოლათ დამპყრობლების წინააღმდეგ.

საქართველოს დედოფლები დარეჯანი და მარიამი ხელმძღვანელობდნენ ამ შალებს.

უკმაყოფილების ტალღა თანდათან ძლიერდებოდა.

კარგად ხედავდა ყოველივე ამას პეტერბურგის სამეფო კარი და გამოსავალს ეძებდა.

გადაწყდა საქართველოდან ძირფესვიანად ამოეძირკვათ ბაგრატიონთა სამეფო გვარი, მათი ერთგული არისტოკრატია და რუსეთის უკიდეგანო სივრცეში გაეფანტათ ოჯახებიანად, პირველ ყოვლისა, დედოფლები უნდა მოვაშოროთო იქაურობას, ფიქრობდნენ ისინი და სათანადო ბრძანებაც გამოუგზავნეს გენერლებს.

გენერალი ლაზარევი წარმოშობით სომეხი იყო. საქართველოში ჩამოსვლის დღიდან იგი ყოველმხრივ ცდილობდა შეევიწროვებინა საქართველოს მოწინავე საზოგადოება.

განსაკუთრებით სამეფო გვარის წარმომადგენლებისა და, პირველ რიგში, საქართველოს დედოფლის მარიამის წინააღმდეგ მიჰქონდა იერიში. ყოველმხრივ ცდილობდა დაეჩაგრა ეს ამაყი დედოფალი. ათასგვარ ცილისმწამებლურ ქმედებებს იყენებდა მის წინააღმდეგ.

არად აგდებდა დედოფალი მის ასეთ გამოხდომებს. კიდევ უფრო იბოღმებოდა გადიდკაცებული მდაბიო ამის გამოისობით.

სომხებს იმხანად საკმაოდ ძლიერი წარმომადგენლები ჰყავდათ პეტერბურგში, მათაც თავიანთი განზრახვები ამოძრავებდათ საქართველოს მიმართ.

თავგამოდებით იბრძოდნენ ისინი საქართველოს სახელმწიფოს დამხობისა და მის ადგილას ახალი „დიდი არმენიის" შექმნის ფანატიკური გეგმის განსახორციელებლად.

თბილისი უნდა ყოფილიყო ახალი არმენიის დედაქალაქი, მათი აზრით.

სულ სხვა მიზნები ამოძრავებდა პეტერბურგს, როგორც ეს ითქვა.

ერთი რამ მაინც იყო მათ შორის საერთო.

ორივე მხარე ცდილობდა, ცხადლივ თუ შეფარვით, ამოეძირკვათ ბაგრატიონთა სამეფო გვარი საქართველოდან, რადგან სწორედ ეს გვარი იყო სიმბოლო საქართველოს სახელმწიფოსი.

საქართველოს დედოფლების დარეჯანის და მარიამის გასახლებით უნდა დაწყებულიყო ეს პროცესი, რაკი მათთან იყრიდა თავს რუსეთის ღალატით უკმაყოფილო საქართველო.

ვერგანახორციელაპეტერბურგისგადაწყვეტილება გენერალმა კნორინგმა, ამიტომაც შეცვალეს იგი.

თავად იმპერატორი ალექსანდრე I უბრძანებდა პირადად ახლადდანიშნულ მკაცრ და უხეშ გენერალს, კავკასიის მთავარმართებელ პავლე ციციანოვს:

აეძულებინათ დედოფლები, თავისი ნებით დაეტოვებინათ, რაც შეიძლება სწრაფად, საქართველო და, თუ არ დათანხმდებოდნენ, ძალით გაეგზავნათ ისინი რუსეთში.

გულით გაიხარა გენერალმა ლაზარევმა ამ ბრძანების მიღებით.

დილით ადრე შემოარტყა ალყა დედოფალ მარიამის სასახლეს.

და შემდგომ, განმარტავს გენერალ ლაზარევის თანმხლები, თბილისის კომენდანტი სააკაძე, ლაზარევი ამალასთან ერთად „შევიდა დედოფლის საწოლ ოთახში და განუცხადა მიზეზი მოსვლისა. მიიღო რა პასუხი მკვეთრი და გადამწყვეტი, რომ დედოფალს წასვლა არ სურდა... ლაზარევი თანმხლებლებთან ერთად გამოვიდა შესაფერისი განკარგულების მოსახდენად დედოფლის წასაყვანად. ატყდა ხმაური. ლაზარევი ოთახში შებრუნდა და საწოლზე მჯდარ დედოფალს მიუახლოვდა. აი, სწორედ ამ დროს გენერალმა მარცხენა მკერდში მიიღო ჭრილობა თვით დედოფლის ხელიდან იმ ხანჯლით, რომელიც დედოფალს საბნის ქვეშ ჰქონდა დამალული. ჭრილობის მიღებისთანავე ლაზარევმა ოთახში ერთი გაირბინა და უსულოდ კარებთან დაეცა“.

არეულობისას თავად დედოფალიც დაიჭრა ხელში.

...უმალვე გაუყენეს დაჭრილი დედოფალი კარეტით მოზდოკისაკენ მიმავალ გზას ამალითურთ, იქედან კი ვორონეჟის გუბერნიისაკენ გაამგზავრეს.

საიდუმლო წერილი მოჰქონდა ვორონეჟის გუბერნატორ პუშკინთან დედოფლის დაცვის უფროსს – მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა აეყვანა დედოფალი და მისი თანმხლები პირები თავად გუბერნატორს. არ მისცემოდა დედოფალს საშუალება წერილები გაეგზავნა პეტერბურგისაკენ, ემტკიცებინა თავისი უდანაშაულობა.

15 მარტიდან 15 ივნისამდე გაგრძელდა ეს მეტად დამღლელი უსიამოვნო მგზავრობა.

ზედმიწევნით შეასრულა ციციანოვის წერილში აღნიშნული მოთხოვნები ვორონეჟის გუბერნატორმა.

მტკიცედ განუცხადა პუშკინმა დედოფალს ვორონეჟში ჩასვლისთანავე:

ვერ დაიდებდა ბინას დედოფალი ვერც მოსკოვსა და ვერც პეტერბურგში, სადაც მისი ნათესავები და ახლობლები სახლობდნენ.

ამალის წევრებს კი უთხრეს: სურვილის მიხედვით შეეძლოთ გაჰყოლოდნენ მოსკოვში ბატონიშვილ ბაგრატს იქაური გუბერნატორის განკარგულებაში.

ერთის მეტმა არავინ ისურვა ამალის წევრთაგან დაეტოვებინათ დედოფალი ისეთ მძიმე ვითარებაში.

ყველა თავისი ნებით გაჰყვა მარიამს ბელგოროდის ერთ-ერთ მიყრუებულ მონასტერში.

1803 წლის 21 ივლისს დედოფალი უკვე ბელგოროდშია, საიდანაც უმალ გაისტურეს მონასტერში.

მაშინვე მასთან ბელგორროდის გორროდნიჩი მობრძანდა და სადარბაზოდ მიღება თხოვა.

„... მისი აღმატებულება გზაზე ძალიან შეწუხდა, რის გამოც ამჟამად თქვენი მიღება არ შეუძლიაო“ – მოახსენეს გორროდნიჩის.

ბელგორროდის მივიწყებულ მონასტერში მარიამს თავი ისე ეჭირა, როგორც ნამდვილ დედოფალს.

რაღაც უცნაური რამ ხდებოდა ამ მონასტერში დედოფალი მარიამის ჩასვლის შემდეგ. პატიმარმა ქალბატონმა მივიწყებული მონასტერი ნამდვილ სასახლედ აქცია.

განცალკევებით ცხოვრობდა. ბელგორროდის მაღალი საზოგადოება თავად ცდილობდა მასთან შეხვედრას, ურთიერთობას. ამაყად ეჭირა თავი დედოფალს, ქუჩაშიც იშვიათად გამოდიოდა.

ეკლესიაში წირვის დროს მაინც იქნებ მოვკრათ თვალიო, – ცდილობდნენ დაინტერესებული ბელგორროდელები, მაგრამ თავად დედოფალი იშვიათად ესწრებოდა, თურმე, წირვას. მაშინაც მისთვის საგანგებოდ გაშენებულ ადგილას აბრძანდებოდა თავისი ოჯახის წევრებითურთ, ხოლო მხლებელ თავადთა და აზნაურთ ცალკე ჰქონდათ მიჩენილი საგანგებო ადგილები.

„დედოფალი ლოცულობდა გულმხურვალედ და ხშირად იყრიდა მუხლს. იგი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა ყველაზე თავისი გარეგნობით: იყო მაღალი, მშვენიერი, ტანადი, სახის მტკიცე გამომეტყველებით, ხაზებით და ოდნავ მოხრილი ცხვირით“.

ძალზე მცირე თანხა გამოუყო რუსეთის მთავრობამ დედოფალ მარიამს და მის ამალას. აღშფოთებული დედოფალი მთავრობას სწერდა, რომ იყო „დედოფალი ქართლ-კახეთისა, ჰქონდა პატივი, დიდება, სასახლე, მამული და ულევი სიხარული. დღეს მას ყველა ეს ძალა მიუღეს, პატიმარყვეს, ძალად წამოიყვანეს ჩრდილოეთში და რაკი ყველა თავისი მამული და ქონება ჩამოართვეს, საკმაო საცხოვრებელი, ულუფა მაინც უნდა მიუჩინონ, იმ შემოსავლიდან, რაც ახლა რუსეთმა მიისაკუთრა"-ო.

აქტიურად განაგრძობდა ბრძოლას დედოფალი, რათა დაემტკიცებინა თავისი უდანაშაულობა და მიეცათ მისთვის ცხოვრების ნება პეტერბურგსა და შემდეგ სამშობლოში.

პეტერბურგის სამეფო კარს კი სულ სხვა განზრახვა ჰქონდა. მტარვალებს უნდოდათ მარიამის მცირეწლოვანი ვაჟიშვილები ილია და ოქროპირი სამხედრო სასწავლებლებში მიებარებინათ, რუსულად აღეზარდათ და ქართული ყველაფერი დაევიწყებინათ, ხოლო მარიამი კვლავაც ბელგოროდში დარჩენილიყო.

ფრიად შევიწროვებული დედოფალი ბოლოს დათანხმდა შვილების სასწავლებლად გაგზავნაზე.

1804 წლის 13 ივნისს ბატონიშვილები ილია და ოქროპირი გამოეთხოვნენ დედას და დედოფალს და აზნაურ ხუციშვილის თანხლებით გაემგზავრნენ სამხედრო სასწავლებელში.

კვლავაც განაგრძობდა ბრძოლას დედოფალი მარიამი თავისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად: დაჟინებით მოითხოვდა მიეცათ მისთვის უფლება ჯერ

მოსკოვსა თუ პეტერბურგში ცხოვრებისა, ხოლო შემდგომ სამშობლოში დასაბრუნებლად.

მხოლოდ რვა წლის შემდეგ დართო ნება პეტერბურგის სამეფო კარმა დედოფალს მოსკოვში ცხოვრებისა.

კიდევ უფრო ძლიერდებოდა უკმაყოფილების ტალღა ჩვენს სამშობლოში რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის გამო. იმართებოდა საიდუმლო თათბირები, მათი ძირითადი მოთხოვნა იყო – შეესრულებინა რუსეთს გეორგიევსკის ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულება.

დაწვრილებით ფლობდა იმპერიის საიდუმლო სამსახური ცნობებს მათი საუბრების შესახებ.

შეთქმულების არეალი ფართოვდებოდა. თავად იმპერიის დედაქალაქ პეტერბურგში შეიქმნა მძლავრი წრე ბატონიშვილ ოქროპირის ხელმძღვანელობით. იმ ოქროპირისა, ჯერ კიდევ ყმაწვილი სამხედრო სასწავლებელში რომ განამწესეს.

იმედის თვალით შესცქეროდა დედოფალი მარიამი თანამემამულეთა მცდელობას.

კარგად ორგანიზებული ქართველთა შეთქმულება ცუდად დამთავრდა. ღალატმა იჩინა თავი. ერთერთმა მონაწილემ, თავადმა იასე ფალავანდიშვილმა გასცა იგი.

1832 წლის შეთქმულების სახელით შემორჩა ისტორიას მგზნებარე მამულიშვილთა ეს მცდელობა.

სასტიკად დასაჯეს თითქმის ყველა მონაწილე რუსმა დამპყრობლებმა.

დააცალკევეს და გაფანტეს ისინი რუსეთის ვრცელ ტერიტორიაზე.

იმედის სხივი, დედოფალ მარიამის სულში ჯერ კიდევ რომ კიაფობდა, თანდათან ჩაქრა.

უკვე ხანდაზმული დედოფალი ბრძოლას მაინც განაგრძობდა. მიზანი ამ ბრძოლისა ერთიღა იყო, – სამშობლოში დაბრუნება და გიორგი XII-ის გვერდით საუკუნო განსვენება.

რუსეთის ბრძოლის მეთოდები საქართველოს მიმართ თანდათან იცვლებოდა. კარგად ხვდებოდნენ იმპერიის მესვეურნი, მშფოთვარე კავკასიის დამორჩილება მხოლოდ საქართველოს გადმობირებით რომ იყო შესაძლებელი.

დაყვავების პოლიტიკას ქართველთა მიმართ შესანიშნავად ახორციელებდა ახალი მთავარმართებელი ვორონცოვი, რითაც ცდილობდა ქართველი მოწინავე საზოგადოების გულის მოგებას.

აღწევდა კიდევაც მიზანს ნაწილობრივ მაინც ცბიერი პოლიტიკოსი.

აღარ იყო საშიში ასეთ პირობებში მარიამ დედოფლის დაბრუნება საქართველოში. პირიქით, თავად ეს ფაქტიც გახდებოდა ქართველთა გულის მოგების საშუალება.

ამიტომაც გადაწყვიტა ვოროცოვმა, დედოფალ მარიამის თხოვნისათვის დადებითად ეპასუხა და სათანადო დასტურიც გაუგზავნა იმპერატორს.

1849 წელს მიიღო უკვე ლოგინად ჩავარდნილმა ღრმად მოხუცებულმა მარიამ დედოფალმა დასტური სამშობლოში დაბრუნებისა.

გვიანღა იყო. დედოფალი უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. მაინც გაიხარა, ჩემ უსულო სხეულს ხომ ეღირსება საქართველოში დაბრუნება და საყვარელი მეუღლის გვერდით დაკრძალვაო.

... დიდი პატივით, ისეთით, როგორიც ეკადრებოდა ბაგრატიონთა ისტორიული სამეფო გვარის დიდი ოჯახის დედოფალს, გამოისტუმრა მარიამის ნეშტი საქართველოში რუსეთის იმპერიულმა ხელისუფლებამ.

ასეთივე პატივით დაკრძალეს მცხეთის სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში საქართველოს უკანასკნელი დედოფალი მარიამი საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის გვერდით.

იმერეთის დედოფალი

დაუსრულებლად ებრძოდა ერთმანეთს ორი დიდი მუსლიმანური იმპერია – სპარსეთი და ოსმალეთი, რათა ხელთ ეგდოთ, დაეპყროთ და დაემონებინათ ქრისტიანული ჩვენი ქვეყანა, რათა ებატონათ კავკასიაზე.

ბოლოს ერთმანეთთან შეთანხმებას მიაღწია ორმა ვეშაპმა XVI საუკუნეში, 1555 წელს.

აღმოსავლეთ საქართველო თავის ქვეშევრდომად მიიჩნია სპარსეთმა, დასავლეთ საქართველო კი – ოსმალეთმა.

ერთ დროს ძლიერი ჩვენი ქვეყანა, თავად რომ აერთიანებდა მთელ კავკასიას, თანდათან სუსტდებოდა და უძლურდებოდა ამ ბრძოლაში. ბოლოს იგი სამ სამეფოდ და რამდენიმე სამთავროდ დაიშალა.

XVI საუკუნიდან თავი წამოყო აწ უკვე გაძლიერებულმა რუსეთის იმპერიამ საქართველოსთან მიმართებაში.

ქრისტიანულმა რუსეთმა ჩვენი ქრისტიანული ქვეყნის მფარველობის საბაბით თავად დაისახა მიზნად, ფეხი მოეკიდებინა ჩვენს ქვეყანაში, რათა ვითომდა დაეცვა იგი მუსლიმანური სამყაროს ასე მძლავრი შემოტევისაგან.

ერთობ გულუბრყვილოდ აიღეს გეზი რუსეთისაკენ ჩვენი ქვეყნის მესვეურებმა.

ქრისტიანული, მართლმადიდებლური რწმენის ქვეყანაა ჩვენსავით, ძლიერია, დაგვიცავს გარეშე მტრებისაგან ერთხანს, მშვიდობა დამყარდება, მოვძლიერდებით და შემდეგ თვითონ მივხედავთ ქვეყანასო.

სულ სხვა მიზნები ამოძრავებდა ვითომდა მოძმე რუსეთის იმპერიას. მისი ოცნება და მიზანი იყო დაესწრო ინგლისისათვის, ხელთ ეგდო კავკასია, დაესახლებინა ჩვენს ხარჯზე იგი რუსი სამხედრო ოჯახებით, რათა ამ გზით, ირანზე გავლით შესულიყო ინდოეთში და რუსის ჯარისკაცს ფეხი დაებანა ინდოეთის ოკეანეში.

ამიტომაც იყო, ტკბილი ენით და ათასგვარი დაპირებებით შეძლეს კიდეც ჩვენი ქვეყნის მესვეურთა გადაბირება XVIII საუკუნეში.

საღი აზრიც არ ჩამკვდარა ერის წიაღში ამ პერიოდში. მტრის მეშვეობით დაშლილი და დანაწევრებული საქართველოს მოწინავე საზოგადოება სულაც სხვაგვარად მსჯელობდა: ჩვენს ქვეყანას ერთად დგომა და ერთ სამეფოდ გაერთიანება თუ უშველიდა.

გარკვეულწილად გაიმარჯვა კიდეც ამ შეხედულებებმა. XVIII საუკუნეში დიდებული მამა-შვილის

თეიმურაზ I-სა და ერეკლე II-ის ძალისხმევით ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდ გაერთიანდა.

იმერეთი ისევ ცალკე სამეფოდ რჩებოდა, ოსმალეთი არ თმობდა დასავლეთ საქართველოზე პრეტენზიას, ირანი და რუსეთი იმხანად ერიდებოდნენ ოსმალეთთან ურთიერთობის გამწვავებას.

ამასობაში 1783 წელს რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფოსთან დადო სამოკავშირეო ხელშეკრულება, გააფორმა ე. წ. „გეორგიევსკის ტრაქტატი".

სამოყვრო ეგიდით შემოსულმა იმპერიის მესვეურებმა და თავად იმპერატორმა ხელშეკრულება არად ჩააგდეს და ძალის გამოყენებით საქართველოს სახელმწიფოებრიობა იავარყვეს, ქართლ-კახეთი რუსეთის გუბერნიად აქციეს და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია ვახტანგ გორგასალიდან რომ იღებდა სათავეს – გააუქმეს.

ჯერი იმერეთის სამეფოზე მიდგა. კერკეტი კაკალი გამოდგა იმერეთი. რუსეთის საგარეო უწყებამ პირწმინდად წააგო დიპლომატიური ბრძოლა იმერეთის ელჩთან ფრიად გამჭრიახ და თავდადებულ პატრიოტთან სოლომონ ლეონიძესთან და საქმე სახედრო სამინისტროს გადაულოცა.

და დაიძრა რუსეთის იმპერიის კარგად გაწვრთნილი უზარმაზარი ძალა პატარა იმერეთის ჩასაყლაპად. კარგა ხანს გაგრძელდა შერკინება. ბოლოს იმერეთის მეფე სოლომონ II იძულებული გახდა ოსმალეთს გადახვეწილიყო.

ბრძოლა იმერეთს მაინც გრძელდებოდა და მას სოლომონ I-ის ერთადერთი მემკვიდრე, იმერეთის

ბაგრატიონთა შტოს უკანასკნელი წარმომადგენელი, ბატონიშვილი დარეჯანი ხელმძღვანელობდა.

ბატონიშვილ დარეჯანს სამართლიანად მიაჩნდა ბრძოლა იმერთა ბაგრატიონების გაწყვეტილი ჯაჭვის აღდგენისათვის და რაკი დიდ სოლომონ პირველს „სხვა ძე არ ესვა“, სწორედ დარეჯანი უნდა ჩადგომოდა იმერეთს სათავეში.

იმერეთის საზოგადოებაც მხარს უჭერდა დარეჯანს ამ ბრძოლაში, რამეთუ ხემლძღვანელობდა ჩვეული სიბრძნით „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“.

თავდადებით იბრძოდა დარეჯანის მემკვიდრეობის აღდგენისათვის მისი მეუღლე, ნიჭიერი სარდალი ქაიხოსრო აბაშიძეც.

და დაიწყო დიდი მზადება იმერეთში შეჭრილი რუსეთის ჯარის საწინააღმდეგოდ ბატონიშვილი დარეჯანის მეთაურობით.

ცხარე ბრძოლები გაიმართა იმერთა ლაშქარსა და რუსი ბატალიონების მებრძოლთა შორის სტრატეგიული პუნქტის ცხრაწყაროს ეკლესიის გარშემო. თავგანწირულ ბრძოლაში გმირულად დაეცა დარეჯან დედოფლის მეუღლე აბაშიძე. ქართველები კარგად გაწვრთნილ მტერთან ბრძოლებში დროებით დამარცხდნენ, მაგრამ ბრძოლა არ შეწყვეტილა.

მაშინ უკვე 60 წელს მიტანებულმა დარეჯანმა ომის წარმართვა ვაჟიშვილებს მიანდო, აჯანყებულებს სარდლად უფროსი ვაჟიშვილი ხახული ჩაუყენა და მტრის მრავალრიცხოვანი შენაერთები არაერ-

თხელ უკუაქცია. ბოლოს ხახულიც გმირულად დაეცა მტერთან ბრძოლაში. ჯარს ახლა დარეჯანმა მომდევნო ვაჟი სიმონი უსარდლა, რომელიც მალე ასევე გმირულად დაიღუპა.

დედოფალი დარეჯანი ბრძოლას მაინც არ წყვეტდა, მტრის სიძულვილი კიდევ უფრო უღრმავდებოდა და შურისძიების გრძნობით უფრო მეტად იმსჭვალებოდა.

ამიტომაც იყო, საქართველოს მთავარმართებელი ტორმასოვი ერთობ დაუნდობლად რომ მოქმედებდა და მთელი შესაძლებლობით ცდილობდა, დედოფალი დარეჯანი ყოველგვარი უკადრისი ხერხების გამოყენებით შეეპყრო და მისი მომხრეები შეუბრალებლად გაეჟლიტა.

იმერთა თავგანწირული ბრძოლა ამჯერად მარცხით დამთავრდა. დარეჯან ბატონიშვილი დააპატიმრეს და რუსეთში გადასასახლებლად გაამზადეს.

ერთობ შეწუხებული იმერეთის საზოგადოება ფეხზე დადგა და სოლომონ პირველის ასულის, იმერეთის ბაგრატიონთა სამეფო გვარის უკანასკნელი შთამომავლის გადარჩენა მთელი შესაძლებლობით მოინდომა.

ამასობაში იმერეთს საშინელი სენი – შავი ჭირი და ამით გამოწვეული შიმშილობა მოედო და ნახევარი ქვეყანა შეიწირა. ამიტომაც იყო, დარეჯანის რუსეთში გასახლების ამბავი დროებით ყურადღების მიღმა დარჩა.

გამოხდა ხანი და იმერეთის თავზე დატეხილმა უბედურებამ გადაიარა. გარეგნულად თითქოს ქვეყანა დაწ-

ყნარდა, მაგრამ მხოლოდ გარეგნულად. ქვეყნის სიღრმეში დამპყრობლის მიმართ სიძულვილი კიდევ უფრო მძაფრდებოდა და საყოველთაო სახალხო აჯანყებაც საიდუმლოდ მზადდებოდა. აჯანყების მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდა სამღვდელოებაც.

რუსეთის იმპერიის საიდუმლო სამსახურს ეს არ გამოპარვია და სათანადო სამზადისს ფრიად საიდუმლოდ ისიც მიმართავდა.

ასეთ ვითარებაში ჩაიარა 1819 წელმა.

მთავარმართებელმა ერმოლოვმა გადაწყვიტა, 1820 წლის დასაწყისში მოულოდნელად ერთდროულად დაეპატიმრებინა აჯანყების მოწყობის მცდელობის ყველა მოთავე ქვეყნის მასშტაბით. ამ საქმის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა პოლკოვნიკ პუზარევსკის დაავალა, შესაფერისი ინსტრუქციაც, სიტყვიერი დარიგებაც მისცა და დაწინაურებასაც დაპირდა.

ჩვეულებრივმა სალდაფონმა პოლკოვნიკმა პუზარევსკიმ შეადგინა სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა აჯანყების მოწყობის ყველა ხელმძღვანელის ერთდროულ დაპატიმრებას ერთგვარი ხრიკებითა და მოტყუებით. გამოიყო ჯგუფები, რომლებიც ერთდროულად უნდა მისულიყვნენ დათქმულ დროზე ყველა მათგანთან სტუმრად ვითომდა, მიმდინარე საკითხების მოსაგვარებლად კაპიტნებით და ჯარისკაცებით და, უცებ მოეხდინათ მათი დაპატიმრება, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში არ დაენდოთ ისინი და დაეხოცათ.

მთავარმართებელ ერმოლოვს ბაგრატიონოების პოპულარობა ხალხში დიდად აშინებდა. იგი კარგად იცნობდა იმერეთის ბრძოლების ცალკეულ ეპიზოდებს და განსაკუთრებით ფრთხილობდა ბატონიშვილი დარეჯანის მიმართ.

ბატონიშვილი ამ დროს ქუთაისში ცხოვრობდა და რაკი ქუთაისის გარნიზონი ალყაში იყო მოქცეული, დარეჯანი უკანასკნელად უნდა შეეპყროთ მიტროპოლიტებთან ერთად და რუსეთში უნდა გაემგზავრებინათ ისე, რომ თბილისში არ გაევლოთ მოსალოდნელი გართულების თავიდან აცილების მიზნით.

გამგზავრებული პატიმრები ხალხს რომ არ ეცნო და მათი გათავისუფლება არ მოენდომებინა, პუზარევსკიმ გამაოგნებელი რამ მოიფიქრა და უფროსს მისწერა: „პატიმრები გზაში წყნარად რომ იყვნენ და გაქცევის აზრი რომ არ მოუვიდეთ, აგრეთვე ერთურთი რომ ვერ იცნონ და ვერც ადგილობრივმა ხალხმა იცნოს, თუ ვინ არიან ისინი, გადაწყვეტილი მაქვს: ჩამოვაცვა ტილოს ტომრები, რომლებიც პირთან (ე.ი. სასუნთქ ადგილას), გაჭრილი იქნება, ხოლო კისერთან და წელთან თოკი ექნებათ ამ ტომრებზე შემოკრული“.

გენერალ ერმოლოვს პუზარევსკის ეს უცნაური გადაწყვეტილება დიდად არ ანაღვლებდა. იგი ყველაზე მეტად იმაზე ფიქრობდა, 70 წლის ბატონიშვილი დარეჯანი და სამღვდლო პირები ტომარაჩამოცმულები ხალხს არ ეცნო, რასაც იმერეთი რუსების მმართველობას, უეჭველია, არ აპატიებდა.

ოპერაცია პუზარევსკის გეგმის მიხედვით დასრულდა, თუმცა წინააღმდეგობას ადგილი მაინც ჰქონდა: ზოგჯერ ამას ტყვიის სროლა და მსხვერპლი მოჰყვა ორივე მხრიდან და კიდევ დარეჯან ბატონიშვილის ვაჟმა, აჯანყებისათვის მზადების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, გაქცევა მაინც მოახერხა.

„გამარჯვებით“ გათავხედებულმა პუზარევსკიმ ნებართვაც გამოითხოვა საჯაროდ გაეროზგა, ვინც მომავალში გაქცევას მოინდომებდა, რაც თავმოყვარე ქართველებისათვის სიკვდილზე უარესი რამ იქნებოდა.

პუზარევსკიმ გურიის დამორჩილებაც უმკაცრესი რეპრესიებით მოინდომა და თავხედურად შეიჭრა სოფელ შემოქმედში. იქ კი გურიელის კაცს შეჰყვირა: სად არის თქვენი ქაიხოსრო მამაძაღლიო.

პასუხად ქართულმა ხმალმა იელვა და მის სხეულში გაისრიალა. ორად გაჩეხილი პუზარევსკი მიწაზე უსულოდ დაეცა.

დარეჯან ბატონიშვილის ვაჟი ივანე აბაშიძე, მტარვალებს რომ გაექცა, დედას იმედი, მესაიდუმლე და მისი საქმის განმგრძობი იყო და ეს ყველაფერი კარგად იცოდა რუსეთმა. ივანე ახალციხეს გადავიდა და აქტიურად მოქმედებდა რუსეთის წინააღმდეგ. ახალციხის ფაშასთან მან მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა და ამავე დროს გურიის მთავართანაც აბამდა კავშირს.

დიდხანს არ გაგრძელებულა დარეჯან ბატონიშვილის უკანასკნელი იმედის ივანეს აქტიური მოღვაწეობა, – მოღალატის ტყვიამ იმსხვერპლა ახალციხეში ივანე აბაშიძე.

ველარ გაუძლო ამ ტრაგედიას უკვე ღრმად მოხუცმა ბატონიშვილმა დარეჯანმა და, ვორონეჟს გადასახლებული, იგი მხოლოდღა სიკვდილს ნატრობდა.

პეტერბურგში მცხოვრებმა ქართულმა დიასპორამ მაინც თავდადებით იბრძოლა და რუსეთის ხელისუფლება დაითანხმა მოხუც ბატონიშვილს სიცოცხლის ბოლო წლები მოსკოვში დაესრულებინა.

1827 წლის 24 იანვარს მოსკოვში მიიბარა მისი სული უფალმა და იქვე დაკრძალეს მისი ნეშტი.

დასასრულ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბატონიშვილი დარეჯანის უკანასკნელი ვაჟიშვილი, დედოფლის მარჯვენა ხელი, იმერეთის ავჯანყების გმირი ივანე აბაშიძე მამა იყო ჩვენ ერის საამაყო პოეტის და სასიქადულო მამულიშვილის აკაკი წერეთლის დედის, ეკატერინე აბაშიძისა.

უაღრესად საინტერესო ცნობებს გვაწვდის მგოსანი შესანიშნავ ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში „ჩემი თავგადასავალი“ ბაბუის ივანე აბაშიძის შესახებ: ავჯანყებულები რომ დაიმორჩილეს... – წერს აკაკი, – ივანე აბაშიძის ოჯახი აოტეს და იმის ცოლ–შვილი სხვებთან ერთად ტყვედ წაიყვანეს. გურიის მთავარი ღვიძლი ძმა იყო ივანეს მეუღლისა და ამის გამოსარჩლებით „ტყვეები, გარდა დარეჯან დედოფლისა და მისი შვილიშვილისა, უკან დააბრუნეს გზიდან. მაშინ დედა იყო 12 წლის და ყველაფერი გულის ფიცარზედ დაებეჭდა. ივანე აბაშიძის სახლობა დაბრუნდა, მაგრამ ყმა და მამული ჩამორთმეული დაუხვდა: ოჯახი აკლებული და განადგურებული...“

დიდი აკაკი წერეთლის მოთხრობიდან ეს ამონარიდი ერთგვარ შუქს ჰფენს ივანე აბაშიძის ოჯახის ბედს 1820 წლის იმერეთის აჯანყების დამარცხების შემდეგ.

ამიტომაც ითხოვდა ბატონიშვილი დარეჯანი უკანასკნელად რუსეთისაგან ასე დაჟინებით მისი მზითევის ნაწილი მაინც გადაეცათ უმწეოდ დარჩენილი მისი ოჯახის წევრებისათვის. ამაოდ!

სადედოფლოდ გამზადებული ღირსეული მამულიშვილი

1832 წლის შეთქმულება.

ამ სახელწოდებით შევიდა ისტორიაში ქართველთა კიდევ ერთი ღირსეული, ფართომასშტაბიანი გაბრძოლება რუს დამპყრობთა წინააღმდეგ.

მრავალრიცხოვანი იყო შეთქმულთა რიგები.

წლების განმავლობაში მოქმედებდა შეთქმულთა წრე, 1832 წელს რომ გახდა ცნობილი რუსეთის საიდუმლო სამსახურისათვის.

მოსმენისთანავე აღაშფოთა მთელი ქვეყანა რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე პირველის მანიფესტმა, სიონის ტაძარში რომ იქნა წაკითხული.

ორიათასწლიანი ისტორიის მქონე საქართველოს სამეფოს გაუქმებას და ჩვენი ქვეყნის რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიად გადაქცევას იუწყებოდა ეს მანიფესტი.

ვერაგულად დაარღვია რუსეთმა ადრე დადებული ხელშეკრულება, ე.წ. გეორგიევსკის ტრაქტატი, ამ მანიფესტით.

და აგორდა საპროტესტო ტალღა დროდადრო შეიარაღებულ აჯანყებაში რომ გადადიოდა.

1802, 1804, 1812 წლების ცნობილი აჯანყებები...

სასტიკი მეთოდების გამოყენებით ჩაახშო რუსეთის სამხედრო ძალამ თითოეული მათგანი.

სხვადასხვა კუთხეში და სხვადასხვა დროს ეწყობოდა ეს აჯანყებები, ამიტომაც გარდაუვალი ხდებოდა მათი ტრაგიკული დასასრული.

აშკარად იგრძნო ეს ყოველივე მოწინავე საზოგადოებამ და საიდუმლოდ გამართეს მოლაპარაკებები, საერთო ენა რომ გამოენახათ და ერთობლივად ემოქმედათ.

მანდილოსნებიც იყვნენ ამ პროცესში ჩაბმულნი.

არაერთი ფრიად საიდუმლო და სახიფათო დავალება განახორციელეს მათ მამაკაცების გვერდით და ინდივიდუალურადაც.

მრავალმა მათგანმა დაიფიცა კიდევ „კაცურად ჩავიცვამთ და სისხლს დავღვრით მამულის გამოსახსნელად“-ო.

მათ რიგებში იდგა და შეთქმულთა ერთ-ერთი თავკაცი იყო თამარ ბატონიშვილი.

დიდი ერეკლე II-ის ღირსეული ძის იულონის ასული გახლდათ თამარი.

თავად იულონ ბატონიშვილი 1804 წლის მთიულეთის აჯანყების მომწყობი იყო ბატონიშვილ ფარნაოზთან ერთად.

ღალატით ჩაიგდეს ტყვედ იულონი მაშინ რუსებმა. უდიდესი ციხე-სიმაგრის აღების ტოლფასად თვლიდა ბატონიშვილის დატყვევებას რუსი გენერალი, საქართველოს მთავარმართებელი პავლე ციციანოვი.

დიდი სიხარულით აცნობა იულონის დატყვევება ციციანოვმა რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე I-ს და თან დაურთო თხოვნა - დაუყოვნებლივ გაესახლებინათ იულონი და საერთოდ ბაგრატიონთა სამეფო გვარი შუაგული რუსეთის სხვადასხვა გუბერნიაში.

სიამოვნებით აღასრულა ეს თხოვნა რუსეთის მბრძანებელმა.

ტულაში მიუჩინეს ბატონიშვილ იულონს და მის შვილებს თამარს, დიმიტრის, ლუარსაბს საცხოვრებლად ადგილი.

10 წლის იყო იმხანად თამარი.

კარგა ხანს მოუწიათ ტულაში ცხოვრება გადასახლებულთ.

როდის-როდის ინება იმპერატორმა გადასახლებულთათვის პეტერბურგში ცხოვრების უფლება მიეცათ.

იმპერიის დედაქალაქში ჩამოაყალიბეს ფრიად საიდუმლოდ შეთქმულთა პირველი წრე თამარის ძმებმა დიმიტრიმ და ლუარსაბმა.

საქართველოს რუსეთის ბრჭყალებისაგან განთავისუფლებას ისახავდა მიზნად შეთქმულება.

იმპერიის მეორე დიდ ქალაქ მოსკოვშიც შეიქმნა ასეთი წრე პარალელურად. მეფე გიორგი XII-ის შვილი ოქროპირი ხელმძღვანელობდა მას.

თბილისში ცხოვრების უფლება მიიღო და უმალ გამოემგზავრა იქიდან თამარ ბატონიშვილი ამასობაში.

უმალ ჩაერთო აქაურ შეთქმულთა საქმიანობაში საქართველოს დედაქალაქში დაბრუნებული თამარი.

მისი უშუალო მონაწილეობით გაიბა ინტენსიური საიდუმლო კავშირი თბილისსა და პეტერბურგს შორის სულ მალე.

წერილების მიმოწერით იყო გაბმული ეს ურთიერთობა, უმთავრესად ფრიად საიდუმლო და დაშიფრული წერილებით.

შეთქმულების თვალსაჩინო მონაწილის სოლომონ რაზმაძის მიერ ჩამოტანილ ასეთ წერილში დიმიტრი ბატონიშვილი სთხოვდა თამარს, დახმარება გაეწია სოლომონისათვის, რომელიც მიჰყვებოდა რუსეთის ახლადდანიშნულ ელჩს სპარსეთში, გრაფ სიმონიჩს ატაშედ. ამასთან, ძმა ავალებდა დას, დაეკავშირებინა სოლომონი აგრეთვე გრაფის მეუღლესთან, თეიმურაზ ბატონიშვილს ცოლისდასთან.

მე ამჟამად მხიარულად ვარ, - წერს დიმიტრი ამავე წერილში თამარს; მხიარულებაში იგულისხმებოდა ახალი გავლენიანი პირები რომ შემოეყვანა შეთქმულებაში.

დროულად გაართვა თავი ამას ყველაფერს თამარ ბატონიშვილმა - მჯიდროდ დაუკავშირდა სოლომონი გრაფის მეუღლეს, მალე შეთქმულების წევრიც რომ გახდა.

ერთ-ერთ წერილში დიმიტრი თამარს ეკითხებოდა: მალე იწერს თუ არა ჯვარს თათარი? ქარაგმაში იგულისხმებოდა - მალე მოხდება აჯანყებაო?

აჯანყების სურვილით იწვოდა თავად თამარ ბატონიშვილიც. ჩვენ, ქალები დავიწყებთ აჯანყებასო, ეუბნებოდა იგი შეთქმულთ და თავდაჯერებით აცხადებდა: „მე შემიძლია დავარწმუნო ყოველი ქართველი თავადიშვილი ქალი, რათა მათ იმოქმედონ აქტიურად თავიანთ მეუღლეებზე – გახდნენ ისინი რუსების წინააღმდეგ შექმნილი შეთქმულების წევრებიო“.

თვალსაჩინო ორგანიზატორი იყო ბატონიშვილი თამარი შეთქმულებისა. მასვე შეუდგენია შეთქმულთა შტაბის საერთო გეგმა და ინსტრუქციებიც.

ინტენსიურად მზადდებოდა ნიადაგი, რათა აჯანყებას მოეცვა მთელი კავკასია – „შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე“. ამისათვის აგზავნიდნენ შეთქმულნი საიდუმლოდ ემისრებს საქართველოს ყველა კუთხეში და მთელ კავკასიაში.

უფრო შორსაც მიდიოდა შეთქმულთა გეგმები. მათ სურდათ და აუცილებლად მიაჩნდათ დაკავშირებოდნენ სპარსეთში მყოფ რუსეთის შეურიგებელ მტერს ალექსანდრე ბატონიშვილს, რათა იგი ჯარით შემოსულიყო საქართველოში აჯანყების პერიოდში.

ამ და სხვა საკითხების მოსაგვარებლად გადაწყდა, გამგზავრებულიყო თამარ ბატონიშვილი იერუსალიმში, ვითომცდა, ქრისტეს საფლავთან მოსალოცად.

მგზავრობისას თამარს თან უნდა ხლებოდნენ შეთქმულების სხვა მონაწილენიც. ისინი იერუსალიმში დანაწილდებოდნენ და გაემგზავრებოდნენ ევროპის ქვეყნებში, რათა კავშირი გაებათ საფრანგეთისა და ინგლისის მმართველ წრეებთან. ეცნობებინათ მათთვის, რუსეთმა ვერაგულად რომ დაარღვია გეორგიევსკის

ტრაქტატი და ეთხოვათ შემწეობა, დახმარებოდნენ საქართველოს რუსეთის ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

შეთქმულთა მოსკოვის წრის ხელმძღვანელს ოქროპირ ბატონიშვილსაც ევალებოდა, ყველაფერი ეღონა, მიეღო თანხმობა საფრანგეთში გასამგზავრებლად.

ნათლად იკვეთება ყოველივე ზემოთქმულიდან, თამარ ბატონიშვილი იყო ერთ-ერთი მეთაური შეთქმულებისა. ამიტომაც ჰქონდათ შეთქმულთა სხვა თავკაცებს გადაწყვეტილი მისი დედოფლად გამოცხადება: „შეითქვნენ ქართველნი თავადნი და აზნაურნი, რათა განდგნენ რუსთაგან და ჰყონ მეფეთ ასული თამარ ერეკლეს ძის იულონისა, რომელიც იყო ტფილისსა შინა", – ვკითხულობთ საქართველოს მატიანეში.

დიმიტრი ბატონიშვილის ემისრად მყოფმა საქართველოში ელიზბარ ერისთავმა გააცნო თამარს პეტერბურგში შემუშავებული ჩვენი ქვეყნის მმართველობის წესი. თამარმა იგი მოიწონა და ყოყმანის შემდეგ დედოფლობასაც დათანხმდა, თუმცა მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, საქართველოს მართვა-გამგეობა დროებით აეღო ხელთ, ვიდრე ალექსანდრე ბატონიშვილი და დიმიტრი თბილისს ჩამოვიდოდნენ.

ერთგვარად შეანელა შეთქმულთა სამზადისი პოლონეთის 1831 წლის ცნობილი აჯანყების დამარცხებამ და სისხლიანმა რეპრესიებმა: უიმედობის დაღი დაასვა ამ ამბავმა ზოგიერთ შეთქმულს.

მაინც მოქმედებდა მთავარი ცენტრი და შტაბი. კვლავაც განაგრძობდნენ ინტენსიურ დიპლომა-

ტიურ საქმიანობას შეთქმულნი თამარის ხელმძღვანელობით.

კიდევ ერთი ხელსაყრელი მომენტი გამოიკვეთა, შეთქმულთა ვარაუდით, ამასობაში.

რუსეთი ჩაება უპერსპექტივო ომში ეგვიპტესთან. სწორედ ამ მომენტის გამოყენებას ცდილობდა თამარი და სამზადისს არ ანელებდა.

პირველი დღის გეგმა აჯანყების დაწყებისა, თავად თამარის შემუშავებული, დამტკიცდა.

შუაღამისას უნდა ეცნობებინათ ზარების დარისხებით აჯანყების დაწყება ქალაქისათვის. მაშინვე უნდა დაეკავებინათ აჯანყებულებს არსენალი, ხაზინა და სამხედრო პოსტები. თბილისში მდგომ ჯარის ნაწილებშიც ჰყავდათ შეთქმულთ მომხრეები, იმავდროულად უნდა გამოსულიყვნენ ისინიც. როცა აჯანყებულები ქუჩაში გამოვიდოდნენ, შეთქმულთა თავკაცები წარუდგენდნენ მათ თამარ ბატონიშვილს და აუწყებდნენ: ბაგრატიონთა შთამომავალი ქალი თამარი გვიხელმძღვანელებს, ყველა მას უნდა დავემორჩილოთ, მისი ბრძანება აღვასრულოთო.

სიონის სამრეკლოზე ზარების რეკვის პერიოდში სამი კაცი უნდა გადმომდგარიყო და იქიდან ეძახათ: „თავისუფლება და სიხარული მთელს ერსა ზედა“.

იმავდროულად მთელ საქართველოში შეთქმულთ უნდა გაეგზავნათ მაცნეები, რათა თბილისში თავადაზნაურებს ჩამოეყვანათ ქუდზე კაცი. შემდგომ ამისა, ისინი პოლკებად დაეწყობოდნენ, პოლკებს მეთაურები დაენიშნებოდა და რეგულარული არმია შეიქმნებოდა.

წინასწარ იყო გათვალისწინებული, ვინ უნდა ყოფილიყვნენ არმიის ხელმძღვანელები, უფრო მეტიც, შეთქმულების ხელმძღვანელთ მოფიქრებული ჰქონდათ, ვინ უნდა ყოფილიყო სამოქალაქო საქმეების მმართველებიც.

აჯანყების დაწყებისთანავე უნდა ეფრინათ კაცები აჯანყებულებს სპარსეთშიც ალექსანდრე ბატონიშვილთან. განზრახული იყო, აგრეთვე ბოდბელის ჩამოყვანა სამღვდელოების თანხლებით, სიონში პარაკლისის გადახდა და თამარ ბატონიშვილის თავზე სამეფო გვირგვინის დადგმა. ამის შემდეგ დარიალის კარებსაც სამუდამოდ ჩაკეტავდნენ.

ცხადია, ყველაფერი დეტალურად, ღრმად ჩაფიქრებული, ერთობ ჭკვიანურად გათვლილი და ორგანიზებული იყო. ამიტომაც აბსურდია იმპერიის ოფიციალური წრეების მიერ გავრცელებული მტკიცებულებანი, თითქოსდა შეთქმულები ფუქსავატები, თავქარიანები, მასებიდან მოწყვეტილი და გულუბრყვილო ადამიანები იყვნენო.

გადამწყვეტ მომენტში თავი იჩინა ღალატმა. შეთქმულები გასცა მისმა ერთ-ერთმა აქტიურმა წევრმა იასე ფალავანდიშვილმა, ქალაქ თბილისის გუბერნატორის ძმამ...

დაკითხვისას არც ერთ შეთქმულს არ დაუდასტურებია თამარ ბატონიშვილის მონაწილეობა შეთქმულებაში. ამიტომაც არ არსებობდა საკმაო იურიდიული საფუძველი მის დასაპატიმრებლად და მაინც, 1833 წლის 24 თებერვალს, თამარ ბატონიშვილი დააპატიმრეს.

„მე ყოველთვის ამას ვარწმუნებ მთავრობას, არავითარი არა ვიცი რა, არც არა შემიძლიან რომ ვთქვა“, – ასე პასუხობდა თამარ ბატონიშვილი ყველა გამომძიებელს ყველა დაკითხვისას.

არ გაჭრა ამ პასუხებმა და ღირსეულმა თავდაჭერ-ამ თამარ ბატონიშვილისა. ხელმწიფე-იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა გამოძიების მასალები წაიკითხა და მაინც ბრძანა – „თამარ იულონის ასული ბაგრატიონი გადასახლებულ იქნას ქალაქ სიმბირსკში“.

შორეულ სიმბირსკში გალია უკანასკნელი წლები სადედოფლოდ გამზადებულმა ღირსეულმა მამ-ულიშვილმა თამარ ბატონიშვილმა.

უმანკო მსხვერპლი

საშინელი განწყობით გაიღვიძა ოქტომბრის ნისლიან დღეს მაიკო ორბელიანმა, ქაიხოსრო ორბელიანის ულამაზესმა და უსათნოესმა ასულმა.

მთელი ღამე ებრძოდნენ რაღაც ურჩხულის მსგავსი არსებანი, თავგანწირვით იგერიებდა მაიკო მათ შემოტევებს, ბოლოს ერთმა მათგანმა ფეხქვეშ მოიქცია საბრალო ასული.

ხრიალით ამოიკვნესა ძალადობის მსხვერპლმა და... გაეღვიძა...

ნეტავ საიდან გაჩნდნენ ეს მაჯლაჯუნები თუნდაც სიზმარში?

გუშინდელი დღე მოაგონდა, მთელ ქალაქში ხმა გავრცელდა: – საქართველოს დიდი რუსთ ხელმწიფე ნიკოლოზ I უნდა ესტუმროსო.

თავგამოდებით ემზადებოდა თბილისის ელიტა დიდი იმპერიის საჭეთმპყრობლის ღირსეულად დასახ-

ვედრად, ეს მაშინ, როცა მრავალ მათგანს ჯერ კიდევ მოურჩენელ წყლულად აჩნდა, თვითმყრობელმა ნიკოლოზმა სასტიკად რომ დასაჯა 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი, მათი დები, ძმები და ახლო ნათესავები, ღირსეული მამულიშვილები.

გარეგნულად ამ წყენას მაინც არავინ იმჩნევდა, რამეთუ კარგად უწყოდნენ მონარქის მიერ მიჩენილ ჯაშუშთა ხროვა მეძებარი ძაღლივით რომ იყნოსავდა ყოველივეს და მაშინ ციმბირიც უკან დარჩებოდათ.

თავად მაიკო აჟიოტაჟს არ იყო აყოლილი, უფრო მეტი, განზეც იდგა, მაგრამ გული რაღაც ცუდს მაინც უგრძნობდა...

მთელი დღე არ მოშორებია ღამის კოშმარი. ტატოს ლექსები თუ მიშველისო, გაიფიქრა ბოლოს და, ვინ იცის, მერამდენედ, რვეული გადაშალა.

თავად ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელით გადაწერილ ლექსთა კრებულს წარწერა ამშვენებდა. ერთხელ კიდევ გადაიკითხა ეს წარწერა მაიკომ: „დაო მაიკო, ეს კრებული იქონიე ჩემეულად. ვიცი, რომ წამკითხველი მათი მოიგონებ ბევრთა საამო დღეთა ყმაწვილობისათა და შეიბრალებ შენსა ყრმობისა ძმასა“.

ალალი ბიძაშვილები იყვნენ ერთმანეთისა ნიკოლოზ ბარათაშვილის დედა ეფემია და მაიკო ორბელიანის მამა ქაიხოსრო...

კითხულობდა ხმადაბლა და გზნებით ტატოს ლექსებს, თვალწინ ელანდებოდა ის დღე, როცა ტატომ ეს კრებული აჩუქა. მანანა ორბელიანის სალონში მოხდა ეს. განზე გაიხმო მაშინ წუთით ტატომ მაიკო და უჩურჩულა: ყურადღებით წაიკითხე, შენი აზრი

მაინტერესებსო. იმ საღამოს ტატოს თან ახლდა განუყრელი მეგობარი ლევან მელიქიშვილი, სანდომიანი სახის და ვაჟკაცური იერის ყმაწვილი. სწორედ იმ საღამოს მოიხიბლა ორბელიანის ასული ლევანით. ლევანიც თურმე ვერ იშორებდა იმ დღიდან მაიკოს ხატებას.

თბილისი-ქალაქი იმხანად დიდი არ იყო; მისი რჩეული საზოგადოების წევრებმა ყველამ ყველაფერი იცოდა და ჭორიც უმალ ვრცელდებოდა.

მაიკოსა და ლევანის სიყვარულის ამბავი მალე გახმაურდა, მშობლები ორივე მხრიდან კმაყოფილნი იყვნენ და დღე-დღეზე გვირგვინიც უნდა დაედგათ...

უჩვეულოდ აბორგებულმა მაიკომ ბოლოს მანანას სალონში წასვლა გადაწყვიტა – იქნებ, ცოტა გავერთო და ღამის კოშმარი ოდნავ მაინც გამიქარდესო. სალონში კი იმ საღამოს მხოლოდ ხელმწიფე იმპერატორის მომავალ სტუმრობაზე იყო საუბარი. ზოგი რას ამბობდა და, ზოგი რას. რაღა თქმა უნდა, მონარქზე, ღმერთზე მაღლა მდგომზე, ცუდის თქმას ვერავინ ბედავდა და მისი ცხოვრების ცალკეულ დეტალებს ყვებოდნენ. განსაკუთრებით იხსენებდნენ ყურმოკრულ ამბებს მეფის მექალთანეობის შესახებ. განთქმული მოყვარული ყოფილა ქალებისაო, ამალაში ერთი პიროვნება ჰყავს თურმე მუდამჟამსო... ჰოდა, თვალით ანიშნებს, ვინც მოეწონება და, საქმეც დამთავრებულიაო. ისიც ითქვა, თურმე იქ, პეტერბურგში, ყველა ლამაზმანი იმის მოსურნეა, იქნებ მეფეს მოვეწონოო. ქალების ქმრებიც და მშობლებიც ამის მონატრულნი არიან და „ბედნიერნი", რომ წყალობას იმსასახურებენო...

ვერ უშველა მაიკოს სალონში ჯორად მოთხრობილი ამბების მოსმენამ, კიდევ უფრო მოიწყინა და მალე დატოვა იქაურობა.

დადგა „ნანატრი" დღეც: მაშხალებით უჩვეულოდ გაჩახჩახებული შეეგება თბილისი-ქალაქი უზარმაზარი იმპერიის მბრძანებელს.

გრანდიოზული ბალ-მასკარადი და ვახშამი მოუწყვეს მონარქს, ჩიტის რძეც არ აკლდა სუფრას.

ქალაქში ჩასვლისთანავე მონარქს უბრძანებია: არაერთგზის მსმენია ქართველ ქალთა სილამაზის ამბავი, ვინძლო ვახშამზე ისინიც მოიწვიონო. ხელმწიფის ყველა სურვილი კანონი იყო და უმალ შეკრიბეს ლამაზმანები, მორიდებით იჯდა მათ შორის მაიკო, არცთუ მთლად შესამჩნევ ადგილას.

ნახევარი თავით მაღლა იდგა ბანკეტზე მოწვეულთა შორის ჩვეულებისამებრ იმპერატორი, ყველა მათგანის მზერა მბრძანებლისაკენ იყო მიპყრობილი. მაიკომაც გახედა თვითმპყრობელს ძალაუნებურად და უმალ იგრძნო, ნიკოლოზის გარეგნობა, ჩვეულებრივი სასტიკი გამომეტყველება, მრისხანე და შეურყეველ იერს რომ აძლევდა მის პიროვნებას, იგრძნო ეს ყოველივე ქვეცნობიერად მაიკომ და შიშით გააჟრჟოლა.

მონარქის შემოხედვაც იგრძნო იმავდროულად, შერცხვა და თავი დახარა. კვლავ და კვლავ მიაპყრო აგზნებული მზერა ტირანმა ქალწულს და თვალით ერთ-ერთ მახლობელს რაღაც ანიშნა.

ისტორიული დოკუმენტიც ადასტურებს ამას ყოველივეს ცალსახად: 1837 წლის 3 ნოემბერს გენერალ-მაიორი სიმონ გრიგოლის ძე სტიშინსკი ქართველ

სამხედრო მოღვაწე ბორის გაბრიელის ძე ჭილაევს (ჭილაშვილს) სწერდა: „ხელმწიფემ განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა მაიკო ორბელიანისადმი. ეს უკანასკნელი მეტად მიმზიდველი, მადის აღმძვრელი იყო, ასჯერ მეტად, ვიდრე უტკბილესი ფორთოხალი“.

... დამთავრდა გრანდიოზული ვახშამი. ხელმწიფე იმპერატორი მოსასვენებლად წაბრძანდა საძინებელში. წასვლის წინ ერთხელ კიდევ რაღაც ანიშნა მხლებელს.

ცოტაც და, იმავე საძინებელში ისტორიისთვის უცნობმა პირებმა მთლად აკანკალებული უცოდველი მსხვერპლიც ძალისძალად შეიყვანეს. მონარქი ერთხანს გზნებით შესცქეროდა მაიკოს და იგრძნო ქალწულმა, სულ ცოტა ხანში – ეს კაცი პოზიორი რომ იყო, რომ იგი არასდროს ბუნებრივი არ იქნებოდა, მისი სახე გულთბილობას არ მოწმობდა. იგი არასდროს არ გაიზიარებდა არავის რჩევას და მუდმივად დარჩებოდა უზენაესი ხელისუფლების საჭეთმპყრობლად და მაინც ისიც აშკარად იგრძნო მაიკომ, მისი სახე მუდმივი შიშით რომ იყო შეპყრობილი...

სისხამ დილით გაუდგა ხელწიფე გზას ზანზალაკების ჟღარუნით... როგორც შემდგომ ამბობდნენ, თურმე იმ დილით უზარმაზარი იმპერიის ერთპიროვნული მმართველი უხასიათოდ ბრძანდებოდა, ალბათ იმიტომაც, რომ წინანდელმა ღამემ არც ისე შთამბეჭდავად ჩაიარა, როგორსაც ელოდა; შიშით აცახცახებულმა ქალწულმა სათანადოდ ვერ დააცხრო მონარქის ვნებანიო. ერთი რამ ისედაც ცხადი იყო: თუ რუსეთის ლამაზმანები მთელი არსებით მისკენ

ილტვოდნენ მონარქის ვნებების დასაცხრობად, თუ ქმრებიც და მშობლებიც საამისოდ აქეზებდნენ მათ და სანაცვლოდ დიდ სარგებელსაც ნახულობდნენ, აქ მსგავსი რამ არ მომხდარა.

იმ დღესვე დაივიწყა ეს ყველაფერი ნიკოლოზ პირველმა და შემდგომში არც კი გახსენებია ის ღამე.

თავად მაიკო ორბელიანი, ეს უმანკო მსხვერპლი დიდი რუსეთის მბრძანებლის ვნებისა, იმ დილითვე სახლში ჩაიკეტა და კარგა ხანს არავის ხვდებოდა.

მერე ისევ ლევან მელიქიშვილმა გადაწყვიტა მაიკოსთან კავშირი აღედგინა. მან კარგად უწყოდა, მაიკოს გულში რა ცეცხლიც ტრიალებდა და მისდამი სიყვარულს სიბრალულიც ემატებოდა.

ამიტომაც აკითხავდა სახლში მაიკოს ჯერ იშვიათად, შემდეგ და შემდეგ კი უფრო ხშირადაც. მაიკოც თანდათან თითქოს ჩვეულ ცხოვრებას უბრუნდებოდა ამის გამოისობით, მაგრამ ვაი, რომ, თითქოსდა...

არა და არ ცხრებოდა მის არსებაში საშინელი შეურაცხყოფის განცდა.

ამიტომაც იყო, როცა ლევანმა მას ჯვრისწერა შესთავაზა, მტკიცე უარი უთხრა...

დღითი დღე დნებოდა თვალსა და ხელს შუა ერთ დროს ულამაზესი ქალწული. აჩრდილს ემსგავსებოდა იგი თანდათან...

ულმობელმა სენმაც დარია ბოლოს ხელი, და, ჭლექით შეპყრობილი, საკუთარ მამულში გარდაიცვალა.

კუმისის სასაფლაოზე განისვენებს მისი განაწამები სხეულიო, ასე ამბობენ.

კითხულობენ თანამედროვენი მაიკო ორბელიანის, ამ უმანკო მსხვერპლის ისტორიას, და სულამღვრეულნი ფიქრობენ: ვინ მოთვლის, რამდენი ვინმე ემსხვერპლა რუსეთის, ამ მონების ქვეყნისა და მისი მბრძანებლების ამაზრზენ თავგასულობას, ახლაც რომ მთელი მსოფლიოს წინაშე დაუფარავად მიმართავენ წარმოუდგენელ ძალადობას არამარტო ცალკეული პიროვნებების, არამედ მთელი ერების მიმართ!

როდემდის?!

წინაპრთა ანდერძით

მთელმა ქვეყანამ დაივიწყა ანდერძი წინაპარი დედებისა, შეურყვნელნი ბურჯნი რომ იყვნენ „ეროვნულის არსებობისა, განვითარებისა, აღორძინებისა“, – გულისტკივილით აღნიშნავდა დიდი ქართველი განმანათლებელი იაკობ გოგებაშვილი უკვე ცნობილი მწერლისა და მოღვაწის ეკატერინე გაბაშვილის საიუბილეო სადამოზე. იქვე დიდი შემოქმედი იმასაც მიუთითებდა, – საბედნიეროდ, ამ უდაბნოში ზოგიერთი ქართველი ქალიც ბრწყინავს, გვერდით რომ უდგანან მამაკაცებს, რათა ერი „განვითარების ნათელ გზაზე გაიყვანონ“–ო.

ერთ–ერთ ასეთ შეურყეველ ბურჯად იაკობ გოგებაშვილი ეკატერინე გაბაშვილს მიიჩნევდა.

ეკატერინე გაბაშვილი...

შუაგულ ქართლში, ქალაქ გორში დაიბადა იგი 1851 წელს.

გამოჩენილი მოღვაწე რევაზ თარხნიშვილი გახლდათ მისი მამა.

დედით ადრე დაობლდა, სამწუხაროდ, ეკატერინე. 5 წლისა იყო მაშინ.

მამამ იკისრა მისი აღზრდა.

ქართველი გლეხკაცის მოყვარე და ქომაგი იყო ბატონი რევაზი. ამიტომაც ჩააგონებდა იგი მუდამ-დღე შვილს გლეხის ბავშვებთან ემეგობრა, კარგად გაცნობოდა მათი ცხოვრების ავ-კარგს, სოფლის ადათ-წესები შეეთვისებინა.

ორი წელი იღებდა განათლებას ოჯახურ სკოლაში მომავალი მწერალი.

თორმეტი წლისა იყო, მამამ იგი ფავრის პანსიონში რომ მიაბარა.

მთელს საქართველოში იყო სახელგანთქმული ფრანგი ქალის ეს პანსიონი. საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერები და სწავლულები – განთქმული უკრაინელი მეცნიერი, პროფესორი ნიკოლოზ გულაკი, ალექსანდრე ცაგარელი, ნიკო დედაბრიშვილი, ნიკო ინაშვილი მოღვაწეობდნენ ამ პანსიონში. სასწავლებელს ხშირად სტუმრობდა და ზოგჯერ გამოცდებსაც იბარებდა იაკობ გოგებაშვილი.

წარმატებით დაამთავრა პანსიონი ეკატერინემ და მშობლიური გორისაკენ მატარებლით მიმავალი გზად ოცნების სამყაროში გადაბარგდა. თვალწინ პირველად მაინც თავისი ბავშვობა დაუდგა, გლეხკაცის შვილები – გოგონები და ბიჭები – ტასიკო, ვანიკო, მარიამი... მათთან გატარებული საღამოები, რა გულწრფელები იყვნენ ყველანი, ნიჭიერები, ალალები... ხომ იქნებოდა

კარგი, შესაფერი სწავლა-განათლება რომ მიეღოთ? მომავალში ხომ უთუოდ უფრო გამოადგებოდნენ თავიანთ ოჯახებს, სამშობლოს? ახლა კი, იმათ წერა-კითხვაც არ იციან. და...

სწორედ იმ დღეს გადაწყვიტა მტკიცედ მეოცნებე ეკატერინემ მშობლიური მხარის გლეხკაცთა შვილებისათვის დაწყებითი სკოლა გაეხსნა.

განზრახული მალე განხორციელდა. სკოლაც გახსნა და თავადაც უსასყიდლოდ დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა.

წარმოუდგენელ წინააღმდეგობას წააწყდა ამ გზაზე პირველ ხანებში ეკატერინე. თავად მშობლები იყვნენ სასტიკი უარმყოფელნი, შვილებს განათლება თუნდაც უფასოდ რომ მიეღოთ – რა ბედენაა, ჩვენს ბავშვებს რას არგებს წერა-კითხვის ცოდნაო. „ბიჭები გუთნეულს უამისოდაც კარგად გაუძღვებიან, ხოლო გოგონების საქმე კიდენა ოჯახი და ბავშვების მოვლაა“–ო.

იმ ხანებში ქართლის სოფლებში მძლავრობდა ხალხოსნური მოძრაობა. ხალხოსნებს, ეკატერინეს მსგავსად, ჩვენი ხალხის გადარჩენის მძლავრ საშუალებად სწავლა-განათლება მიაჩნდათ. ამიტომაც დაუახლოვდა ეკატერინე გორელ ხალხოსნებს იმთავითვე.

„გლეხკაცის აზრი სასოფლო სკოლაზე“ – ამ სათაურით დაიბეჭდა ეკატერინეს პირველი პუბლიკაცია გაზეთ „დროებაში“.

სავსებით რეალისტურად და მჭევრმეტყველურად არის დასაბუთებული წერილში მაშინდელი ჩვენი სოფლის სინამდვილე, გლეხკაცის გაუსაძლისი ყოფა.

– რა გადაგვარჩენს? – პირდაპირ და გაბედულად სვამდა კითხვას ჯერ კიდევ სავსებით ახალგაზრდა, 19 წლის, წერილის ავტორი და კატეგორიულად პასუხობდა: მხოლოდ და მხოლოდ სოფლის მცხოვრებთა შორის სწავლა-განათლების დანერგვა, გლეხკაცის გათვითცნობიერებაო.

ერთობ დროულად და დადებითად მიიჩნია ამ წერილის გამოქვეყნება რედაქციის მიერ მაშინდელმა მოწინავე საზოგადოებამ. დასტურად ამისა დაისტამბა კიდევ გამოხმაურება იმავე გაზეთში.

გულწრფელ მადლობას უხდიდა ბარათის ავტორი თავად ეკატერინეს და გაზეთის რედაქციას ამ საჭირბოროტო მაღალპროფესიონალურ დონეზე შესრულებული წერილის გამოქვეყნებისათვის.

ამ პერიოდში რევაზ თარხნიშვილის ოჯახი საცხოვრებლად გორიდან თბილისში გადმოვიდა. კარგად იცნობდა ბატონი რევაზი თბილისში მოღვაწე მოწინავე ინტელიგენციას, უმალ მათთან ურთიერთობა გააბა და ქალიშვილიც მათ წრეში მოექცა.

ცნობილ საზოგადო მოღვაწეს და შემოქმედს პეტრე უმიკაშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა რევაზ თარხნიშვილის ოჯახთან. სამახსოვრო წარწერით აჩუქა პეტრემ ეკატერინეს მის მიერ გამოცემული „ვისრამიანი“: დალოცა, დაარიგა და გააშხნევა ახალგაზრდა კალმოსანი.

ერთგვარი გზამკვლევის მოვალეობაც იკისრა პეტრემ, რათა ეკატერინეს ახლოს გაეცნო მაშინდელი მოწინავე მოღვაწეები და მწერლები.

სწორედ ამიტომაც ერთ მშვენიერ დღეს პეტრემ ეკატერინე გიორგი წერეთლის ბინაზე გამართულ ლიტერატურულ შეკრებაზე წაიყვანა.

„კაცია ადამიანი?!“ წაიკითხა ამ შეკრებაზე თავად ავტორმა ილია ჭავჭავაძემ. გამაოგნებელი შთაბეჭდილება დატოვა ეკატერინეზე ილიამ. მისმა ლიტერატურულმა შედევრმა, კითხვის მანერამ, ნაწარმოების მხატვრული შესრულების დონემ, დინამიკურობამ, თხრობის ლოგიკურმა განვითარებამ.

მეტად დამაფიქრებლად იმოქმედა ნაწარმოების კითხვის შემდეგ გამართულმა კამათმაც. მოკამათეთა სერიოზულმა და მოკრძალებულმა ტონმა, იმან, თუ რა თავშეკავებულად, მაგრამ კატეგორიულად გამოთქვამდნენ კრიტიკულ შენიშვნებს მსმენელნი.

სხვა მხრივაც იყო დაუვიწყარი და საგანგებო ეკატერინესათვის ეს საღამო. სწორედ აქ გაიცნო მან ხალხოსნური იდეებით გატაცებული, ხალხისა და ქვეყნის ბედნიერებაზე მეოცნებე ახალგაზრდა ალექსანდრე გაბაშვილი, რომელსაც შემდგომში თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა.

ათი წელი ეკატერინე გაბაშვილმა სრულ ოჯახურ ტყვეობაში გაატარა გათხოვების შემდეგ. ოჯახში გამეფებული იყო შეხედულებები, რომელთა მიხედვით, ქალის საქმიანობა მხოლოდ და მხოლოდ ოჯახით და შვილების აღზრდით უნდა ყოფილიყო შემოსაზღვრული, საზოგადოებრივი საკითხებით დაინტერესება, მით უმეტეს, მათში ჩაბმაც კი სამარცხვინოდ და დასაძრახისად იყო მიჩნეული. ამიტომაც იყო იგი ოჯახში ჩაკეტილი. ეკატერინეს 10 წელი არაფერი დაუწერია.

„ბედნიერება“ – ასე ეწოდა მის მოთხრობას, ათი წლის შემდეგ რომ გამოაქვეყნა, რომელსაც საფუძვლად ქალთა უუფლებო მდგომარეობა დაედო.

საკუთარი თვალით ნანახი ამბავი არის მოთხრობილი ამ მშვენიერ პატარა მოთხრობაში. დიდი ხნის წინათ იმგზავრა ეკატერინემ იმ ვაგონით, ქორწინებით შეუღლებული ახალგაზრდა წყვილი და მაყრიონი რომ მგზავრობდა. მწერლის მახვილმა თვალმა უმალ იგრძნო ტრადიციის მონობა რა უმწეო, უუფლებო მდგომარეობაში აყენებდა პატარძალს, უსიტყვოდ რომ დამორჩილებოდა უაზრო და დრომოჭმულ ურთიერთობებს.

ქალის უუფლებობა და უსუსურობა – საკუთარ თავზე განცდილი ავტობიოგრაფიული მომენტებით არის გაჯერებული მისი მეორე მოთხრობაც „ფრთებაგლეჯილი“.

მოთხრობაში მკაფიოდ და მიმზიდველად არის აღწერილი განათლებული, საზოგადოებრივი საქმიანობისათვის მზადმყოფი თავდადებული ქალის მძიმე ხვედრი. ავტორი ნაწარმოებში, კატეგორიულად მოითხოვს, საზოგადოებამ დაგმოს ქალისადმი უხეში დამოკიდებულება, სათანადო ფართო გზა მიეცეს ქალის ნიჭს, უნარს, ხელი შეეწყოს მათ გამოვლენას. აქვე მწერალი აღშფოთებით გმობს იმ მამაკაცების შეხედულებებს და ქმედებებს, რომლებიც ქალს არ თვლიან თანაბარუფლებიან არსებად, აიძულებენ მას უსიტყვოდ შეასრულოს მამაკაცის მითითებები, შემოიფარგლოს ოჯახური საქმიანობით.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ათი წელი ტრადიციულ ოჯახში გამოკეტილი ეკატერინე გაბაშვილი ერთობ აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში.

აღფრთოვანებით შეეგება მწერალი ილია ჭავჭავაძის და იაკობ გოგებაშვილის „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" ჩამოყალიბებას. დაარსების დღიდანვე გახდა ეკატერინე ამ საზოგადოების ერთ-ერთი წამყვანი წევრი, მისი დავალებების წარმატებით განმახორციელებელი. ამიტომაც აირჩიეს ზედიზედ თერთმეტჯერ იგი საზოგადოების გამგეობის წევრად.

კიდევ ერთ ბრწყინვალე ეროვნულ საქმეს ჩაუყარა საფუძველი ილია ჭავჭავაძემ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს. შეიქმნა „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი კომისია. საქმის მცოდნე მეცნიერებითა და სწავლულებით დაკომპლექტდა ეს კომისია თავიდანვე. მათ შორის იყო ეკატერინე გაბაშვილიც. ჩვეული ენერგიით და პასუხისმგებლობის გრძნობით მუშაობდა იგი ამ კომისიაში წლების განმავლობაში.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქართველ ქალთა აქტიურად ჩაბმისათვის თავად ეკატერინემ კიდევ ერთი გაბედული ნაბიჯი გადადგა. კარგა ხნის მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ ჩამოაყალიბა „ქართველ ქალთა წრის ამხანაგობა". მრავალი კულტურული ღონისძიება მოაწყო ამ „ამხანაგობამ" ეკატერინეს ხელმძღვანელობით. სწორედ აქ ჩაისახა მთარგმნელ ქალთა კადრების მომზადების, იაფფასიანი სახალხო წიგნების გამოცემის და სხვა იდეები.

მწერალმა საკუთარ სახლში გახსნა ქართველ ღარიბ ქალთა ხელსაქმის პროფესიული სკოლა-სახელოსნო. აქ, პროფესიული საგნების გარდა, ზოგადსაგანმანათლებლო საგნებიც ისწავლებოდა. ამ სკოლა-სახელოსნოში ორასამდე ბავშვი სწავლობდა. სხვა სასწავლებლების კარები ამ ბავშვებისათვის სამუდამოდ იყო დახშული იმ პერიოდისათვის.

თავად ეკატერინე გაბაშვილი და მისი ქალიშვილი თამარი ასწავლიდნენ ბავშვებს ქართულ და რუსულ ენებს.

ოცდაოთხი წელი იარსება სკოლამ. ამ ხნის მანძილზე წუთითაც არ მოკლებია დიდებული მწერლისა და ღირსეული მოღვაწის ხელმძღვანელობა და ყურადღება სასწავლებელს.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა რევაზ თარხნიშვილი საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა, პეტრე უმიკაშვილის ძალისხმევით ეკატერინე დაუახლოვდა მოწინავე ქართველ მწერლებს და მამულიშვილებს, „თერგდალეულებს“ – ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილს, ვანო მაჩაბელს, სერგეი მესხს...

სწორედ მათთან სიახლოვემ განაპირობა ის, რომ ერთხანს ხალხოსნური იდეებით გატაცებული მწერალი ქალის მსოფლმხედველობა საბოლოოდ მაინც „თერგდალეულების“, კერძოდ ილია ჭავჭავაძის გავლენით ჩამოყალიბდა.

არც ქართული პრესა, კერძოდ, საბავშვო ჟურნალ-გაზეთები, რჩებოდა მწერალი ქალის ყურადღების გარეშე. აქტიურად მონაწილეობდა ეკატერინე

საყმაწვილო ჟურნალ „ნობათის“ დაარსებაში, 1883 წელს რომ ჩამოყალიბდა. მეორე საბავშვო ჟურნალი „ჯეჯილიც“ ეკატერინე გაბაშვილის მონაწილეობით შეიქმნა და აქ უკანასკნელ 1922 წლამდე თავდადებით იღვწოდა მწერალი ქალი. დიდი წვლილი შეიტანა მან აგრეთვე საბავშვო ჟურნალ „ნაკადულის“ შექმნასა და წარმატებაში.

ბავშვთა სულიერი გასპეტაკების უებარ საშუალებად მწერალი თვლიდა საბავშვო წიგნების გამოცემას. ამიტომაც მუდამ იყო მისი ყურადღების ქვეშ ეს საშვილიშვილო საქმეც.

არაერთი ბრწყინვალე საბავშვო წიგნის ავტორი იყო თავადაც.

გასაოცარი სიმართლით და ბავშვის თვალით არის დანახული ამ წიგნებში იმდროინდელი ყმაწვილების ყოფა-ცხოვრება, განცდები, მისწრაფებები, ოცნებები...

უნდა ითქვას ერთი რამ: ეკატერინე გაბაშვილის მწერლური კალამი მუდამ ცდილობდა სინამდვილე მხატვრული ხერხებით აესახა, ისე, როგორც არის, - ყოველგვარი მიკერძოების გარეშე. იგი თვით იმ მკაცრ რეალობაშიც კი ხედავდა ადამიანური მიდგომის მაგალითებს ამა თუ იმ საკითხისადმი. საილუსტრაციოდ შეიძლება გავიხსენოთ ბრწყინვალე საბავშვო მოთხრობა „მაგდანას ლურჯა“. ამ მოთხრობაში თვით მეფის რუსეთის უსამართლო სასამართლომაც კი ჰუმანურად იმსჯელა და ლურჯა ბავშვებს დაუნარჩუნა.

უფრო მკაცრი და არაჰუმანური იყო ამ მხრივ საბჭოთა წყობილება და საბჭოთა სინამდვილე. სწორედ

მან აიძულა შესანიშნავი კინორეჟისორები თენგიზ აბულაძე და რეზო ჩხეიძე ფილმში ლურჯა სასამართლოს გადაწყვეტილებით ბავშვებისათვის წაერთმია და ვაჭრუკანა არამზადისათვის მიეკუთვნებინა...

საერთოდ ეკატერინე გაბაშვილის დიდი და ღრმა მწერლური შემოქმედება ცალკე ვრცელი მსჯელობის საგანია და მასზე შეჩერება ამჟამად ჩვენი მიზანი არ არის.

ღრმად მოხუცებული დიდებული მწერალი და ღვაწლმოსილი პიროვნება ეკატერინე გაბაშვილი 1938 წელს გარდაიცვალა თავის სოფელში ახალქალაქში. მისი ნეშტი დიდი პატივით გადმოასვენეს დედაქალაქში და დაკრძალეს დიდუბის ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა პანთეონში.

გმირი და წმინდანი

1921 წლის თებერვალი. ჩაბნელებული თვე და წელი ჩვენი ქვეყნისათვის. ცეცხლით და მახვილით შემოიჭრა რუსი დამპყრობლების ავადმოსაგონარი მე-11 არმია აზერბაიჯანის საზღვრიდან.

იმავდროულად შემოგვესივნენ წითელი იმპერიალისტები დარიალის ხეობიდან, მამისონის უღელტეხილიდან, სოჭიდან.

აბობოქრდა და აღდგა ქართველობა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. დღედაღამ მოდიოდა ხალხის ნაკადი დედაქალაქში, ეწერებოდნენ ფრონტზე წასასვლელად მოხალისეებად. მრავლად იყვნენ მათ შორის ქალბატონებიც და ქალიშვილებიც.

„ფეხზე დადგა ქუდზე კაცი“.

ერთ-ერთი პირველი მივიდა გასაწვევ პუნქტში ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის კოტე მაყაშვილის შვილი, 19 წლის მარო მაყაშვილი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი გახლდათ იგი იმხანად.

აფორიაქდა ოჯახი.

– საბრძოლო ხელოვნების ანაბანა მაინც ხომ უნდა იცოდე, ფიზიკურადაც უნდა იყო გამოწრთობილი ბრძოლისათვის – სცადა შვილის შეკავება მამამ.

– გუშინ ჩვენმა სათაყვანო რექტორმა, ბატონმა ივანე ჯავახიშვილმა სტუდენტებს მოგვიწოდა: „სამშობლო განსაცდელშია და უნდა დავიცვათო“ და თან დაურთო: „ქართველსა გული რკინისა, აბჯარი თუნდა ხისაო“.

– უსათუოდ უნდა წავიდე იქ, სადაც ჩვენი ქვეყნის ბედი წყდება. რაც შეეხება ფიზიკურ მზადყოფნას, სავსებით ჯანმრთელი და გაკაჟებული ვარ. ტყუილად ხომ არ მივლია ტანვარჯიშის სკოლაში, სპორტსაზოგადოება „შევარდენი“ რომ ჰქვია? ისიც კარგად მოგეხსენება, მამა, სოფელში ყოფნისას დღედაღამ ცხენზე რომ ვიჯექი და დავაქროლებდი. დოღში, ჯირითში, მარულაშიც ვმონაწილეობდი და ხშირად ვიმარჯვებდი.

– ჩვენი ძვირფასი მეფე ერეკლეს ქალიშვილიც ჯერ კიდევ ბავშვი მამას მტერთან საომრად მიჰყავდაო, გამიგონია. ჰოდა, ჩვენი პირსისხლიანი მტერი ხომ ახლა რუსეთია?! – გაიფიქრა კოტე მაყაშვილმა და შვილს აღარ შეკამათებია...

ცეროდენა იყო მარო, დედამ, თამარმა, ეკატერინე გაბაშვილის ქალიშვილმა, მშობლიურ სოფელში

ახალქალაქში რომ წაიყვანა სააგარაკოდ. გოგონას უმალვე დაუოკებელი სურვილი გაუჩნდა ცხენზე ჯდომისა, ნავარდისა.

„დედი, შენ ვერ წარმოიდგენ, რა კარგია ცხენზე ჯდომა. ხშირად ეზოშიც კი დავაჯენებ და ვვარჯიშობ დაღამებამდე. დიდად ნასიამოვნები ვხდები ყოველივე ამით", – სწერდა მარო ქალაქში მყოფ დედას.

ცელქი და მოუსვენარი იყო იმთავითვე, ამიტომაც გულმა გიორგი ნიკოლაძის დაარსებულ ტანვარჯიშის სკოლა „შევარდენისაკენ" გაუწია და მამას შეუჩნდა, სკოლაში მიმაბარეო. მამამაც სურვილი შეუსრულა ნებიერას. თავდაუზოგავად ჩაება ვარჯიშში მარო, წუთითაც არ აცდენდა გამოყოფილ დროს, ზოგჯერ გვიანობამდეც კი რჩებოდა საწვრთნელ დარბაზში. მალე მოიხვეჭა სახელი ლამაზი სტილით ტანმოვარჯიშემ. ტოლს არ უდებდა გოგონებს თუ ვაჟებს. სწორედ ბიჭებმა უწოდეს „შევარდენკა" მოფერებით.

ცეკვაც მისი სტიქია იყო. უბადლოდ ასრულებდა იმხანად „ჩაჩნურად" სახელდებულ ცეკვა „მთიულურს". თავდავიწყებით ცეკვავდა, მთელ სულიერ და ფიზიკურ აღმაფრენას აქსოვდა მასში.

ნამდვილი ამორძალიაო, – ამბობდნენ ახლობლები. სხვები კიდევ „თეკლა ბიჭსაც" ეძახდნენ, აგრერიგად ჩამოჰგავს ერეკლეს თეკლას, იმასავით ცელქი და დაუდეგარიაო.

ძალზე ქალურიც ბრძანდებოდა იმავდროულად. გატაცებული დიასახლისი იყო. უყვარდა სამზარეულოში ფუსფუსი, ხელსაქმეც ეხერხებოდა. ხში-

რად მიუჯდებოდა ხოლმე გვერდით დედას, თამარს, სახელგანთქმულ „მოდისტკას“ და ჩაჰკირკიტებდა, თუ როგორ ქმნიდა დედა ახალ მოდელებს. ზოგჯერ თავადაც შეჰქონდა შემოქმედებითი წვლილი მათ შექმნაში.

– თეკლა ბიჭო, – მიმართა ერთ დღეს ახლო მეგობარმა, შემდგომში საქვეყნოდ სახელგანთქმულმა მომღერალმა ქეთევან ჯაფარიძემ, – სახლში ფუსფუსი და ჭრა-კერვა, გაგიხარია, კარგია, მაგრამ გონება ხომ სხვა მხრივაც უნდა ვავარჯიშოთ?

– ქარაგმების გარეშე თქვი, რას გულისხმობ?

– თეატრში ახალი პიესა დაიდგა. მთელი ქალაქი ლაპარაკობს, ძალზე კარგი სპექტაკლიაო.

– თუ ასეა, ჩვენც ვნახოთ, ხელს რა გვიშლის.

– დედამ მითხრა, შენსავით პატარებს წარმოდგენაზე არ უშვებენო.

– დარდი ნუ გაქვს! მამას ვეტყვი, უსათუოდ მოგვიხერხებს.

ამის შემდეგ მაროს არც ერთი ახალი წარმოდგენა არ გაუშვია უნახავი. ის კი არა და, ზოგ წარმოდგენას ორჯერ და სამჯერაც კი ესწრებოდა.

ნამდვილი წარმოდგენა „ავიწყებს ადამიანს, რომ ეს გადმოცემაა ყველაფრისა და ნათლად წარმოიდგენს ამ სურათებს. ხანდახან ვზივარ თეატრში და მაძაგძაგებს, წუთებით მავიწყდება, რომ ეს მარტო წარმოდგენაა, და ოფლი მესხმება, მგონია, რომ მართალია“, – წერდა დღიურში მარო.

და მაინც, თეატრში ყოფნის დროსაც კი მისი ინტერესის სფერო საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა ასპექტებსაც თანაბრად სწვდებოდა. თვით უაღრესად პოლიტიკურ პრობლემებზეც კი, იმდროინდელი ქართული საზოგადოების უმეტესი ნაწილი რომ მოეცვა, ერთობ საყურადღებო მოსაზრებები ჰქონდა. „ყოველი სოციალისტის ლაპარაკში ეხლა ნაციონალურ-პატრიოტული ელემენტიც შეიპარა. ყველამ იგრძნო, რომ საქართველოში სოციალისტობა შეუძლებელია, მაგრამ სოციალისტებს მაინც არ უნდათ, რომ სხვებმა ჩააჩუმონ ისინი და მაინც მაგ პარტიას აღმერთებენ. აი, რა ხდება ახლა საქართველოში. რომელი ქართველი მეფე წარმოიდგენდა ამას“.

„საქართველოში სოციალიზმი შეუძლებელიაო“, – ამბობდა მარო, სადად და ნათლად, და თავად ცხოვრებამაც სავსებით დაადასტურა ეს ჭეშმარიტება. ხომ ნათელია: ქართველმა ხალხმა რომ ასე ერთბაშად უარყო სოციალიზმი და სოციალისტური წყობა, 70 წელი ძალისძალად რომ გვახვევდნენ თავს კომუნისტები?!

სხვა კითხვებიც აღეძვროდა ხოლმე მაროს, სპექტაკლის ნახვისას და ეს უფრო მეტად მაშინ ხდებოდა, როცა წარმოდგენა მოსწონდა და იტაცებდა.

– ხომ დიდებული არიან კარგ წარმოდგენაში მსახიობები, – ფიქრობდა მარო, – მაგრამ მათი ეს წარმატება მაინც მწერლის კალმით არის განპირობებული უპირველეს ყოვლისა. პიესა თუ სუსტია, მსახიობის ხელოვნება წარმატებას ვერ მოიტანს. მხოლოდ ძლიერი

მწერლის კალამია წარმატების განმსაზღვრელი, – სიამაყით ასკვნიდა მარო მაყაშვილი, თავად დამწყები მწერალი, ჯერჯერობით მხოლოდ პატარ-პატარა მოთხრობებს რომ წერდა და საიდუმლოდ ინახავდა.

დიდხანს არ გაგრძელებულა ეს იდუმალება.

ახლოვდებოდა საქართველოს განთავისუფლების ერთი წლისთავი. მარო მაშინ მე-7 გამოსაშვები კლასის მოსწავლე იყო თბილისის გიმნაზიაში.

საგანგებოდ ემზადებოდა მთელი საქართველო და თბილისის გიმნაზიაც, დამოუკიდებლობის დღის საზეიმოდ აღნიშვნისათვის.

– მარო მაყაშვილო, შენ გევალება საზეიმო საღამოზე წასაკითხად მოამზადო მოხსენება „ქართველი ქალი თავისუფალ საქართველოში“, – ამცნო გიმნაზიის დირექციის გადაწყვეტილება მაროს კლასის ხელმძღვანელმა.

დიდი მონდომებით და პასუხისმგებლობის გრძნობით მოემზადა მაყაშვილის ასული იმ საღამოსათვის. შედეგიც შესანიშნავი იყო. მშობლები ამ საღამოთი აღტაცებულნი იყვნენ.

„ძალიან ვღელავდი, როცა ვკითხულობდი, მაგრამ ყველას მოეწონა, მილოცავდნენ, მითხრეს, დაბეჯდეო. ჩვენს მოძღვარს მოეწონა და აღტაცებაში მოვიდა იმით, რომ მე, ჯერ ერთი, კარგად წავიკითხე, და მეორე ის, რომ გულზე ალმასის ჯვარი მეკიდა და აუწყა მამას, ეგ ერთადერთი იყო, რომელსაც ჯვარი ეკეთა“–ო. სამკაულებით გატაცება არ იყო მაროს იდეალი, რაც კარგად შენიშნა მისმა მოძღვარმა. მორწმუნე მარო

ხშირად დადიოდა ეკლესიაში, საათობით ლოცულობდა და ღვთისმშობელს შესთხოვდა სამშობლოს კეთილდღეობასა და თავისუფლებას.

შემოქმედებითი ფანტაზიის საოცარი გამოვლენა და საღი თვალით აღქმული რეალობა, – აი, ძირითადი და მთავარი ღირსებაო, – ასე აღიქვეს მოხსენება მსმენელებმა.

კარგად იგრძნო ეს ყოველივე კოტე მაყაშვილმა, ამიტომაც აღნიშნავდა: მარო „წერს ჩინებული ქართულით და იმედს იძლევა, რომ ჩინებული მწერალი გამოვა მომავალში“...

სევდა და ღიმილი, საერთო და პირადი სატკივარი, ნატვრა, ოცნება ერთმანეთს ენაცვლებიან, ერთობ მიმზიდველად და სისავსით მაროს იმ ორიოდ მოთხრობაშიც, რომელიც გამომცემლობა „განათლებამ“ „ამირანის კრებულში“ დაბეჭდა.

„შენი მოთხრობები მომეწონა, სხვებსაც წავაკითხე. ბევრი გაქვს თავისუფალი დრო, რომ ყოველთვის წერას და კითხვას მოანდომო. კარგი მწერალი გამოხვალ და დიდ სამსახურს გაუწევ საყვარელ სამშობლოს“, – სწერდა იმხანად სოფელში მყოფ მაროს მამა.

საქართველოს ბუნებით მოხიბლულს, სიღნაღის გადასახედიდან დანახული ალაზნის ველით აღფრთოვანებულს ძლიერ უყვარდა ქართული სოფელი და ნატვრად ჰქონდა გადაქცეული თავად დახმარებოდა სოფელში მცხოვრებთ. ამიტომაც მოინდომა საფრანგეთში გამგზავრება და იქ სოფლის მეურნეობის

შესწავლა. ჩვენს სოფელს უნდა გამოვადგე, ყოფაცხოვრება უნდა გავუუმჯობესო იქ მცხოვრებთო.

აღარ დასცალდა. ჩვენს ქვეყანას შავი ჭირი შემოესია.

ჯერ კიდევ „შევარდენელთა“ რიგებში მყოფნი, მაროც და მისი მეგობრებიც ასე ესალმებოდნენ ერთმანეთს:

– გუშაგობ ერს!

– მარად! – პასუხი.

ამ სულისკვეთებით გაჟღენთილი მარო მაყაშვილი დაუყოვნებლივ გაემგზავრა ფრონტის წინა ხაზზე.

„საყვარელო დედ-მამა, ჩვენ იუნკრებს მიგვაწერეს. მათთან ერთად ვართ. ჯერჯერობით კარგად ვარ. სულ ერთი პოზიციიდან ნახევარ ვერსზე ვიმყოფებით, მეორესგან – 5 თუ 7-ზე. მტერი შორს არის, ძალიან სცხებენ ჩვენები. ძალიან აღფრთოვანებულები არიან. ყველანი ძალიან მადლიერები არიან ჩემით. ცოტა თხილი და რამე ტკბილი გამომიგზავნეთ, თუ რასაკვირველია, შესაძლებელია. თავს გაუფრთხილდით. გკოცნით ბევრს. მოკითხვა ჩვენებს ყველას. ნუ გეშინიათ, გავიმარჯვებთ სახელოვნად“, – სწერდა 18 თებერვალს მშობლებს ფრონტის წინა ხაზიდან.

საბედისწერო გამოდგა მაროსთვის 19 თებერვალი. მის გვერდით გამსკდარმა მტრის ბომბმა აღარ დაცალა უკანასკნელი სალამი ეთქვა სამშობლოსათვის, მშობლებისათვის.

იმავე დღეს გაიგეს მშობლებმა ეს შემზარავი ამბავი. თეთრად გაათენა ბატონმა კოტემ ის ღამე.

სულ მთლად ჭაღარა მიეახლა განთიადს. უსაზღვრო კაეშანმა გაათეთრა დიდი პოეტი და მამულიშვილი, მაინც ამაყი იმით, რომ შვილს უკვე სამშობლოსთვის თავდადებულად აღიქვამდა და მის გმირობას სამაგალითოდ მიიჩნევდა თავისთვისაც და სხვებისთვისაც.

„როს ვიღვიძებ, შვილო,
მფეთქავ ალად ვიქცევი,
შენ ღირსი ხარ ჩემი და მეც
შენი ღირსი ვიქნები.
. . . . . .
და თუ ბედმა წამაქცია,
მეხით, ცეცხლის მკვესავით,
წავიქცევი რაინდულად,
უდრეკელი შენსავით!“.

მთელმა საქართველომ დაიტირა მდუღარე ცრემლით მტერთან ამ ბრძოლაში დაღუპული პირველი ქართველი ქალი. მუხლი მოიყარეს 23 თებერვალს მაროს ცხედრის წინაშე ქაშვეთის ეკლესიის ეზოში შეკრებილმა მამულიშვილებმა. წირვას აღავლენდა დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე.

კოჯრის ბრძოლებში დაღუპული იუნკრების ცხედრებთან ერთად მაროს ცხედარიც სამხედრო ტაძარში გადაასვენეს, ტაძრის ცენტრში საგანგებოდ შემაღლებულ ადგილას დაასვენეს და სუდარის ნაცვლად საქართველოს სამფეროვანი ვეებერთელა დროშა

გადააფარეს. დროშის ბოლოები იუნკრების ცხედრებსაც ფარავდა.

„როდესაც საბოლოოდ გავიმარჯვებთ მტერზე, დედა სამშობლო მოვა თქვენთან, გულში ჩაგიკრავთ და გეტყვით – უკვდავი იყოს თქვენი ხსოვნა“, – წარმოთქვა საფლავზე მსოფლიოში ცნობილმა რევოლუციონერმა კარლო ჩხეიძემ.

გადის ცოტა ხანი და კოტე მაყაშვილის მეგობარი მწერლები ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი თხოვნით მიდიან დამწუხრებულ მამასთან – ნება მოგვეცით, მაროს საფლავი მთაწმინდაზე გადავიტანოთო. სასტიკი უარი უთქვამს კოტეს – ამას მოჰყვება ახალი მღელვარება, ახალი მსხვერპლი და ამის უფლება ქართველებს აღარა გვაქვს, გაწყდება ახალგაზრდობაო.

რას წარმოიდგენდა მაშინ ბატონი კოტე, რომ დამპყრობლები წლების შემდეგ სამხედრო ტაძარს დაანგრევდნენ, სასაფლაოს იავარყოფდნენ. მის ადგილას თავიანთი მთავრობის სახლს ააშენებდნენ და მარო მაყაშვილის საფლავი სამუდამოდ დაიკარგებოდა.

მაროს სიკვდილის გამო დაგუბებულმა სევდამ კი თავი ისევ მამის ლექსში იჩინა:

„არც სიცოცხლის, არც სიკვდილის
აღარა მაქვს ხალისი,
თებერვალმა დამიზამთრა
სამუდამოდ მაისი,

გულზე სევდა შემომაწვა
თავის მძიმე ლოდებით,
საქართველო გაიჟღინთა
მაყაშვილთა გოდებით“.

თავის ბუნებით ქართველი ქალი ამაყიაო, – ამბობენ. საშობლოს სიყვარულით დაამტკიცა ეს მარო მაყაშვილმა. წმინდა იყო მისი ცხოვრება, ადრეულად რომ დაიფერფლა, წმინდა და გმირული. თავად სიკვდილიც ხომ ისეთი რაინდული ერგო, მის სათაყვანებელ საშობლოს რომ შეეფერებოდა.

ანა

„ქართველი ქალის პირველქმნილი სახე, ნინოს, თამარის, ქეთევანის სანუკვარი სამება ანათებს შენი პოეზიიდან. მათი სათნოება, მათი სიქველე შენში განსახიერდა, ხელახლა მეზმანები თუ ვით ანთებ სანთელს მათთან ერთად ერის საკურთხეველზე. ეგ სანთელი შენი პოეზიაა. მარად უნათებდეს იგი ჩვენ ხალხს, სალბუნად და ნელსაცხებლად ეცხოს მის ჭრილობას თუ შვებას აწ და მარადის, ძვირფასო ანა."

კონსტანტინე გამსახურდია.

მეტეორივით შემოიჭრა ანა ქართულ პოეზიაში, ქართულ პოეზიაშიც და თაყვანცემულ ქართველ ქალთა თანავარსკვლავედშიც.

არაერთ თანამემამულე ქალს აუღია ხელში კალამი და უცდია თავისი სახელი დაემკვიდრებინა ქართულ პოეზიაში წარსულშიც.

ისტორიამ შემოინახა კიდეც ზოგიერთი მათგანის სახელები და ღვაწლი.

თუმცა მაინც ერთობ მოკრძალებული ადგილი უჭირავს ქართველ ქალს დიდებული ქართული პოეზიის ოკეანეში.

და აგერ, ახლა, გასული საუკუნის 40-იან წლებში ერთბაშად ამობრწყინდა ერთ-ერთი მშვენება პოეზიისა ქალბატონი ანა.

დიახ, ანა კალანდაძე...

მარტოოდენ სახელით რომ მოიხსენიებს მისი პოეზიის თაყვანისმცემელი მკითხველი იმთავითვე ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის მსგავსად.

1946 წელი, 24 მაისი...

საქართველოს მწერალთა კავშირის საქმეთა მმართველი წერილებით ატყობინებდა ანას - გთხოვთ, მობრძანდეთ 25 მაისს დღის 11 საათზე მწერალთა კავშირში, თქვენი ლექსების კითხვა-განხილვა ეწყობაო.

მოულოდნელი იყო და არც იყო მაშინ ეს მიწვევა.

ცნობილ კრიტიკოსს და ლიტერატურათმცოდნეს, დიმიტრი ბენაშვილს სთხოვა მამიდამ წაეკითხა ანას ლექსები. აღტაცებულმა დიმიტრიმ უმალ წარუდგინა ზოგიერთი მათგანი გაზეთ „ლიტერატურისა და ხელოვნების“ რედაქციას და ჟურნალ „მნათობს“. ამავე დროს ყველა ლექსი მწერალთა კავშირში მიიტანა და...

... აღფრთოვანებული მსმენელი და სიტყვით გამოსულნი ერთმანეთს ულოცავდნენ ახალი ვარსკვლავის ამობრწყინებას, ერთბაშად და მოულოდნელად.

და მაინც არცთუ მთლად ერთბაშად მოხდა ეს, ყველაფერი.

ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო ანა კალანდაძე, მის ოჯახს რომ ესტუმრა ზაფხულში მამიდა ფაცია. იგი იმ დროს თბილისის ერთ-ერთ სკოლაში მშობლიურ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. საღამოობით ფაცია მამიდა ბავშვებს ეზოში მწვანე მდელოზე დასხამდა და საინტერესო ამბებს უყვებოდა.

ერთ საღამოს ბავშვების ყურადღება საოცარმა ნათელმა მიიპყრო მთათა მწვერვალებს რომ ეფინებოდა. მთვარე ამოიწვერა, მერე ერთობ გაივსო და მალე გობისხელა გახდა. გაოგნებული შესქეროდნენ ბავშვები ამ საოცრებას. ფაცია მამიდაც მოხიბლული იყო. ბავშვების განწყობაც იგრძნო და მეორე დღეს მათ სთხოვა წერილობით გამოეთქვათ წუხანდელი განწყობა. კეთილსინდისიერად შეასრულეს ბავშვებმა დავალება. პოეზიის ენით გამოხატა განცდილი ანამ და ლექსს „ბადრი მთვარე" უწოდა. მამიდას ლექსი მოეწონა, ხოლო დედამ ანასგან უჩუმრად სკოლაში წაიღო და იქ კედლის გაზეთში მოათავსეს.

11 წლის იყო მაშინ ამომავალი ვარსკვლავი.

გადიოდა ხანი. ქუთაისის პირველ საცდელ-საჩიმუშო სკოლაში განაგრძო სწავლა ანამ, შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტად ჩაირიცხა. მამიდა ფაციასთან დაიდო ბინა.

ლექსები?... – ამ მხრივ ანა თითქოსდა მიჩუმდა. არც ერთი ლექსი არ წაუკითხავს არავისათვის წლების მანძილზე. გამოქვეყნებაზეც არ უფიქრია. ერთგვარი დუმილის პერიოდი ჰქონდა ამ მიმართებით. არადა, სწორედ ამ პერიოდში იბადებოდა მის არსებაში არაერთი შედევრი ქართული პოეზიისა.

თავად ანა აღნიშნავდა შემდეგში – დიდხანს ვფიქრობდი, გონებაში ვწერდი, ვხვეწდი და ბოლოს დასრულებულ სახეს ვაძლევდიო. გონებაშივე იქმნებოდა ვარიანტები, რომლებისგანაც საბოლოოდ შერჩევა ხდებოდა და ლექსი გადადიოდა ქაღალდზე.

კიდევ უფრო ჩაიკეტა თავის თავში ანა სტუდენტობის წლებში. მამიდასაც არ ეხმიანებოდა ამ კუთხით, თუმცა აღარც მამიდა სთხოვდა დაჟინებით ახალი ლექსების წაკითხვას.

... მოუთმენლად ელოდნენ მაისიდანვე, როდის გამოჩნდებოდა წიგნის ბაზარზე ანას ლექსების კრებული. მანამდე კი სულმოუთქმელი მოყვარულები ერთმანეთს გადასცემდნენ ხელნაწერ ლექსებს და ასე ვრცელდებოდა ანას პოეზიის შედევრები.

ცალკე წიგნად გამოცემამ კი კარგა ხნით დაიგვიანა.

მიზეზი ამისა ერთობ სავალალო მოვლენის გამოძახილი გახლდათ, იმხანად მთელ დიდ ქვეყანას რომ გადაუარა.

1946 წლის აგვისტოში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ჟურნალების „ზვეზდასა“ და „ლენინგრადის“ თაობაზე.

მკაცრად იყო გაკრიტიკებული დადგენილებაში ჟურნალების რედაქციები „აპოლიტიკური, საბჭოთა ხელისუფლებისათვის უცხო და მტრული ნაწარმოებების გამოქვეყნებისათვის“.

და დაუწყეს ლანძღვა-გინება, ვის ნაწარმოებებშიც უშუალოდ არ იყო შექებული საბჭოთა სინამდვილე.

ერთ-ერთ სამიზნედ ამ გმობისა ანა კალანდაძეც იქცა.

მაშინ ანას რამდენიმე გამოქვეყნებული ლექსი მიიჩნია ქართულმა კრიტიკამ ჟურნალების „ზვეზდასა“ და „ლენინგრადის“ მავნე შეხედულებების გამავრცელებლების მიმდევრად – მას აკლია ჩამოყალიბებული ცოდნა ცხოვრებისა, უნარი მოვლენების სწორად დანახვისა, არ ხელმძღვანელობს მოწინავე იდეებით, დეკადენტური მოტივების ტყვეობაშია მოქცეული – აღნიშნავდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო. გაფიქრებაც კი შეუძლებელი იყო ასეთ პირობებში ანა კალანდაძის პოეტური კრებულის გამოქვეყნებისა.

გავიდა შვიდი წელი და 1953 წელს მოხერხდა ანას ლექსთა პირველი კრებულის გამოცემა ცალკე წიგნად.

... მოაბიჯებდა ანა მხნე და მტკიცე ნაბიჯებით ქართულ პოეზიაში ხანგრძლივად და გაბედულად და არც ერთი წამით არ უღალატია მის მიერ შემუშავებული და მრავალმხრივი საინტერესო კაცთმოყვარული მრწამსისათვის.

არ არსებობს ადამიანური ცხოვრების არც ერთი სფერო თუ პრობლემა, რომლისთვისაც არ მიეძღვნას

დიდებული პოეტის ასევე დიდებული მხატვრული თუ პუბლიცისტური ნაღვაწი და არ გამოეთქვას უაღრესად საჭირო და სასარგებლო რჩევა და მოწოდება.

და მაინც, ანას სათაყვანებელი და საფიცარი სამშობლო საქართველო და ქართველი ხალხი ის დიდი და უკვდავი სამი მცნებაა, ქართველი ერის სულიერმა მოძღვარმა, გენიოსმა ილიამ რომ ჩამოაყალიბა – „ენა, მამული, სარწმუნოება“.

„დიდმა ილიამ პოეზია საიდუმლოებათა რიგს მიაკუთვნა, ის იმ ქართულითაა ნაკურთხი, რომელიც „დიდის ღმერთის საკურთხეველზე“ კელაპტარივით ანთია და შემოქმედთან გვაახლოებს. მას არაამქვეყნიური ძალა წარმართავს.

ჩემთვის ქართული სიტყვა მხოლოდ ზეციური წყალობაა – ამაღლებული და სხივმოსილი.

ყოველ ქართულ სიტყვას გარს უვლის პოეტი და დიდი სიყვარულით ცდილობს აღმოაჩინოს მასში რაღაც ახალი, კიდევ უფრო ღირსეული, მისწვდეს მის სურნელს სიღრმისეულად“...

ფილოლოგიის ფაკულტეტზე მყოფი მესამე კურსის სტუდენტი ანა უცებ კავკასიური ენების განყოფილებაზე გადავიდა. ერთი შეხედვით, ეს თითქოს უცნაური ნაბიჯიც იყო ქართველი პოეტისათვის. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ღრმა შემოქმედებითი პროცესით იყო განპირობებული ეს „მოულოდნელი ნაბიჯი“, „რამეთუ კავკასიური ენების სურნელი ნაზად ერწყმოდა ძველ ქართულ ენას და აცხოველებდა შემოქმედებაში პოეტურ ფანტაზიას“.

დაუცხრომლად ზრუნავდა და ერთობ ფაქიზად ეპყრობოდა ანა ჩვენი ენის წიაღში მფეთქავ და ზოგჯერ მივიწყებულ სიტყვებსა და გამოთქმებს, ასე უხვად რომ იყო გაფანტული ძველი ქართული ენის წიაღში, ბრწყინვალე ძეგლებში, „ქართლის ცხოვრებაში". ერთ მთლიან ორგანიზმად ესახება ძველი და ახალი ქართული ენა პოეტს, რომლის შუაზე გაკვეთა უეჭველ სიკვდილს გამოიწვევდა. და კიდევ, „როგორც ჩვენი უხსოვარი წინაპრების ხმა და ხატება ჩვენდა შეუმჩნევლად აირეკლება ხოლმე და გამოისახება ჩვენში, ასევე ძველი ქართული ენის მადლიანი აჩრდილი თავს ადგას ახალს და მისგან განუშორებელია".

უნიკალურ ქართულ ზეპირსიტყვიერებასა და ქართული ენის ასეთსავე უნიკალურ დიალექტებთან მიჰყავდა პოეტი ახალი სიტყვებისა და გამოთქმების დაუცხრომელ ძიებას. ნიშანდობლივია ამ მიმართებით პოეტის ინტერესი ფშაური დიალექტისადმი...

სამშობლო, საქართველო, ჩვენი მამული იმთავითვე იყო ანას შემოქმედებითი ფანტაზიის დაუშრობელი წყარო. ჯერ კიდევ მაშინ, როცა მის გონებაში უჩუმრად მწიფდებოდა პირველქმნილი შედევრები, უმრავლესი მათგანი სამშობლოს უღრმესი და უფაქიზესი სიყვარულით იყო გამთბარი. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა ერთ-ერთი შედევრი ქართული პოეზიისა „საქართველოო, ლამაზო", მთელი ქართველი ხალხი რომ აამღერა ჯერ კიდევ გამოქვეყნებამდე კომპოზიტორ თემო ნაცვლიშვილის შესანიშნავი მელოდიით.

მინდა თავს ნება მივცე და წარმოვადგინო ვრცელი ამონარიდი სათაყვანებელი პოეტის ერთ-ერთი წერ-

ილიდან, რამეთუ მასში ერთობ სრულყოფილად არის ნაჩვენები მისი კრედო მამულთან მიმართებაში.

„ლექსი პირველად 1953 წელს გამოცემულ კრებულში დაიბეჭდა ახალი სტრიქონების ჩამატების შემდეგ! ლექსს ჩამოაშორეს ეპიგრაფად წამძღვარებული სტრიქონი გრიგოლ ორბელიანისა (როგორც ძველი საქართველოს წარმომადგენლისა!) „სხვა საქართველო სად არი“ და დაუმატეს „ახალი ყოფის ამსახველი“ მთელი 36 სტრიქონი. სწორედ ამიტომ გაჩნდა ლექსის ქვეშ ორი თარიღი (1945–1953!)...“.

1948 წელს თბილისის ქუჩებს რომ მოეფინა სიმღერა „ქარი გიმღერის ნანასა“, იმ დროისათვის ლექსი „საქართველოო, ლამაზო“ არსად არ ყოფილა გამოქვეყნებული. იგი ხალხში უკვე კარგა ხნის გასული იყო.

ეს ლექსი პირველი „ამღერებული“ ლექსია...

სიმღერის ავტორს თემურ ნაცვლიშვილს მაშინ პირადად არ ვიცნობდი, არაფერი არ მსმენოდა ამ ღვთაებრივი მელოდიის ავტორზე.

სიმღერა ბევრს ხალხური ჰგონია. მაგონდება ერთი სატელევიზიო გადაცემა მოსკოვიდან – „ოპერის მოყვარულთა კლუბი“. მას უძღვებოდა დიდი თეატრის სოლისტი ზურაბ სოტკილავა. გადაცემაში მოიგონეს ძველი რუსი მომღერლები: შალიაპინი, სობინოვი... მოგვასმენინეს მათი ხმები. გადაცემის დასასრულს ბატონმა ზურაბმა სასხვათაშორისოდ წაიღიღინა: „ქარი გიმღერის ნანასა“... რატომ დაასრულეთ კლასიკური მუსიკის საღამო ხალხური სიმღერითო, – ჰკითხეს. სამწუხაროდ, პასუხი ვერ მოვისმინე...

1970 წელს ბარსელონაში ჩატარებულ მომღერალთა საერთაშორისო კონკურსში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ბატონ ზურაბს ბისზე უმღერია ეს სიმღერა, უმღერია უაკომპანემენტოდ და „გაამეორებინეს“ თურმე (კონკურსი მიეძღვნა ესპანელ მომღერალს ფრანცისკო ვინიასს). ბატონი ზურაბი უაკომპანემენტოდ ხშირად ასრულებს ამ სიმღერას.

ხომ ძალიან მიყვარს ეს სიმღერა, – მითხრა ერთხელ ერთმა ქართველმა მანდილოსანმა, – მაგრამ თან ის დღეც არ მომაგონდეს, არ იქნებაო. „ის დღე“ გახლდათ სრულიად საქართველოსთვის 1951 წლის 25 დეკემბერი, როდესაც თითქმის ერთ ღამეში აყარეს ქართველების ერთი ნაწილი და შორეულ გზას გაუყენეს.

ნავთლუღის რკინიგზის სადგურში ვიყავი. გამცილებლების ტევა არ იყო, – განაგრძობდა იგი, – გადასახლებაში ამხანაგს ვაცილებდი. თანაც მე წამიწამს ველოდი ამ დღეს, რადგან მამა იჯდა, როგორც ტყვედ ნამყოფი.

– იმ ღამეს ჩვენი მეზობელიც გადაასახლეს, – საუბარში ჩაერია მეორე ქალბატონი (ახლობლის ოჯახში ვიყავი), ისინი ჩვენს თავზე ცხოვრობდნენ და გამიკვირდა, გამთენიისას ხმაური ჩამოდიოდა.

– მატარებელი დაიძრა, – განაგრძო პირველმა, უცებ ჩაკეტილი ვაგონიდან გაისმა მოგუდული სიმღერა – „ქარი გიმღერის ნანასა“...

იმ ავბედით ღამეს ნავთლუღის სადგურში გამცილებელთა შორის იყო ცნობილი კინორეჟისორი ნიკოლოზ სანიშვილი, რომელმაც ასევე მოიგონა ეს

საშინელი საღამო (თბილისის ერთ-ერთ სკოლაში ვიყავით მიწვეულები). ეს სიმღერა ხშირად ისმოდა თურმე ქართველთა შორის უკვე შორეულ გადასახლებაში.

როგორც თემო ნაცვლიშვილისაგან გავიგე, ამ სიმღერას უმძღვარებს თავის გადაცემებს „ამერიკის ხმა“.

სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული ანას პოეტური ხილვა თავისებურად აღიქვამს საქართველოს უნიკალური ბუნების პეიზაჟებს, მისი ცალკეული კუთხეების ბუნებას საერთოდაც და განცალკევებითაც. იგი ერთნაირი გატაცებით უმღერის გურიას, ქართლს, მესხეთ-ჯავახეთს, ფშავ-ხევსურეთს და თითოეულ მათგანში პოეტური ხედვით აღიქვამს იმ განუმეორებელ საერთოს და ასევე განუმეორებელ სხვადასხვაობას, რითაც გამოირჩევა ჩვენი ქვეყანა დანარჩენი მსოფლიოსაგან. პოეტის თვალი კარგად ხედავს აგრეთვე თითოეულ კუთხეში მცხოვრებთა განსაკუთრებულობას და მრავალფეროვნებას, რაც უსათუოდ განაპირობებს, ასე საგრძნობლად რომ გამოირჩევიან თითოეული კუთხის წარმომადგენლები გარეგნულადაც და, რაც მთავარია, ხასიათებით, ერთდროულად ერთმანეთს რომ ავსებენ და საოცრად რომ ესადაგებიან კიდეც.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია ანას პოეზიისა საქართველოს გმირულ ისტორიულ თემაზე შექმნილი ნიმუშები. ანას, როგორც პოეტს კარგად აქვს შეთვისებული დიდი ილიას შეგონება იმის შესახებ, რომ როცა ერი თავის

ისტორიას ივიწყებს, მისი დაცემაც და გათახსირებაც იქიდან იწყება.

ჩვენი ერის გმირულ წარსულზე შექმნილ პოეზიის უამრავ ნიმუშს შორის გამოირჩევა სათაყვანო მეფეებისადმი – თამარის, დავით აღმაშენებლისა და ერეკლე მეორისადმი მიძღვნილი ლექსები.

„შორია თამარ...“ დასათაურებულია ოდა მეფე თამარისადმი, ფეხშიშველი რომ მიუძღოდა თურქთა წინააღმდეგ მიმავალ ქართველ მხედრობას, მოძღვრავდა ლოცვით და ვედრებით და ყოველივე ამას პოეტი ამკობს გზად წარმოჩენილი ჩვენი მშობლიური ბუნების პოეტური ხილვებით, ასე რომ აღაგზნებდა საშშობლოს დასაცავად მიმავალ მამულიშვილებს. ყოველივე ამანაც შეაძლებინა ჩვენს მხედრობას მტერზე შესანიშნავი გამარჯვება.

დავით აღმაშენებელს, უძლიერეს მხედართმთავარს და უდიდეს გამჭრიახ სახელმწიფო მმართველს, რომელმაც განავრცო საქართველოს საზღვრები ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, არაერთი ლექსი უძღვნა ანამ. ყველა მათგანი გამორჩეულია, მათ შორის კი ერთობ განსაკუთრებულია ლექსი „ფეხი დამადგით“.

ხომ ცნობილია, დიდებული დავითი, ანდერძის მიხედვით თავისსავე აგებული გელათის მონასტრის კარიბჭეში დაასაფლავეს, რათა ტაძარში შემსვლელ ყველა მლოცველს მის საფლავზე დაედგა ფეხი მეფის ცოდვების მონანიების საფასურად.

სულით ხორცამდე შემძვრელ ამ ლექსში პოეტი განცვიფრებით მიმართავს სათაყვანებელ მეფეს:

„თუ, ეს მაღალთა თავმდაბლობაა

ოდით და ოდით?
თუ ცოდვილი ხარ, მაშინ, მეფეო,
რაღა ქნან ცოდვილთ?"

კითხულობს პოეტი და ეს კითხვა ნიადაგ აღიძროდა დაფიქრებულ ქართველში თავად დავითის უკვდავი შედევრის „გალობანი სინანულისანის" გაცნობისას.

არაერთი ლექსი უძღვნა ანამ კიდევ ერთ მეფეს – ერეკლე მეორეს, უებრო სარდალს. „უცხო ჩვენება თოვლიან მთების", „ძველი სასახლის კიბეებზე", „მტერზე მივიდეთ", „მესმის შორეულ ცხენთა ჭიხვინი" – აი, ამ ლექსების არასრული ნუსხა. განსაკუთრებით მძაფრად არის აღწერილი ერეკლეს გმირული შემართება ლექსში „ასპინძას მიდის მეფე ერეკლე".

საერთოდ, ანას შემოქმედების განხილვისას, განსაკუთრებით თვალში საცემია ის, რომ მისი შემქმნელი თავად არის დიდი მორწმუნე და ცხოვრობს კიდეც ქრისტიანული ცხოვრებით. სწორედ ამითაც არის განპირობებული მისი ინტერესი ასე ღრმად რომ იჭრება ერის წარსულში და იქ ჰპოვებს თანამედროვე უმძიმესი ცხოვრების წინააღმდეგობათა დაძლევის გზებს ჩვენი ერის შემდგომი წინსვლისათვის.

ქეთევან დედოფალი! ქრისტიანული რწმენისათვის თავდადებული მართლაც სამაგალითო პიროვნება, რომლის მსგავსი ნაკლებად მოიძებნება მსოფლიო ისტორიაში! და ეს არ იყო ჩვენი ერის ცხოვრებაში შემთხვევითი მოვლენა, გარემოებამ მოითხოვა მისგან და ქეთევანიც ავლენს უზარმაზარ ენერგიას, ზნეობასთან და სარწმუნოებასთან რომ არის შეზავებული. სასწაულებრივ გმირობას სჩადის იგი და ეს

გმირობა წლობით იჭედებოდა ლოცვით და რწმენით მტკიცდებოდა მის არსებაში დროთა განმავლობაში. ამდენად ეს ერთბაშად მოვლენილი აღმაფრენა კი არა, დინჯი, დაფიქრებული მოქმედება იყო, რაც მხოლოდ ძლიერი ქრისტიანული რწმენით შეძლო და ყოველივე მართლად და სწორუპოვრად აღწერა ანა კალანდაძემ.

და ბოლოს, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ თავად ანაც თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მუდამ იმ რწმენით ცხოვრობდა და ხელმძღვანელობდა, რაც ჩვენში იქადაგა მოციქულთა სწორმა ნინომ, ვის შემოსვლასაც საქართველოში ანამ ბრწყინვალე ლექსი მიუძღვნა

მოდიოდა ნინო მთებით

„... ხოლო მე დავშთი ეკალთა შინა ვარდისათა,
რამეთუ ვარდი და ნუში ყვაოდა მას ჟამსა.“

ნინო

ლურჯ მწვერვალებს ქარი რძისფერ ნისლში ხვევდა
და, როდესაც ბარში ვარდნი ყვაოდნენ,
თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები ბღაოდნენ...
მოჰკიოდა, ქარი ღრუბლებს მოჰკიოდა
და ფარავანს ტბასა ზედა ძრწოდა ქარი...
მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა
და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი.
თოვლის მთებით კვირდებოდა უცხო მგზავრი:
ვის უნახავს ვარდობისას თოვლი მთებზე?!
მწყემსსა ჰკითხა: რომელია ქართლის გზაი?

მწყემსმა უთხრა:
– საქართველო არის ესე...
მიეძინა, ერთ წალკოტში მიეძინა
და ფშატებმა მზისგან მოუჩრდილეს. ო,
ეს ვინ არი, გამოცხადდა მგზავრის წინა?
„ნუ გეშინინ!“ – ეუბნება იესო...
გაეღვიძა... წუთით იგრძნო მშობლის სევდა,
მაგრამ რწმენა ავალებდა რაოდენს?!
თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები ბღაოდნენ...

და კიდევ ერთი: არ შეიძლება ქებით არ მოვიხსენიოთ ქალბატონ თინათინ კობალაძის ღვაწლი, რომელმაც ასე გემოვნებით დაალაგა და წარმოგვიდგინა ანას პოეზია, პუბლიცისტური წერილები, მოგონებები მშვენივრად გაფორმებულ წიგნში „ანა“.

სულით ხორცამდე ულამაზესი და უჯკვიანესი*

ტურისტული საგზურებით ქართველ ჟურნალისტთა ერთი ჯგუფი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დედაქალაქ ბონში ჩავიდა გასული საუკუნის 70-იან წლებში.

ჩვეულებისამებრ, გერმანელებმა ისინი, როგორც საბჭოთა კავშირში ყველა მცხოვრები, რუსებად აღიქვეს და ალმაცერადაც დაუწყეს ყურება, როგორც ისტორიულ მტრებს. მოარებით და მორიდებით განუმარტავდნენ ჩვენი ჟურნალისტები მასპინძლებს: რუსები კი არა ქართველები ვართ, კავკასიაში ვცხოვრობთ, ოდითგანვე იქ ვბინადრობ-

---

* ნარკვევს საფუძვლად დაედო ცნობილი ჟურნალისტის ქალბატონ ნანული ბუკიას სტატია „უთვალსაჩინოესი მეცხიერი და მოქალაქე" (ჟურნალი „ფუძე" №2(16), 2008).

დით და ქართველებს, როგორც სხვა ცივილიზებულ ერებს, ჩვენი უნიკალური ენა, კულტურა გვაქვს და ჩვენი ერი დასაბამს უშორეს წარსულში იღებს, ასე რომ, რუსებთან საერთო არაფერი გვაქვსო.

ზოგი გერმანელი ყურადღებით ისმენდა მათ ღაღადისს, ზოგი ეჭვნარევი ღიმილით.

და უცებ ამ ფონზე სრული მოულოდნელობა...

უჩვეულო ყურადღებით და პატივისცემით შეეგება ჩვენს ჟურნალისტებს დედაქალაქ ბონში, ერთ-ერთ საქვეყნოდ ცნობილ კლინიკაში, მთელი მედ-პერსონალი.

გაოგნებული ტურისტებისთვის სულ მალე გაირკვა ყველაფერი.

თურმე ამ კლინიკაში ურთულესი და უნიკალური ოპერაცია ჩაუტარებია ჩვენს სახელოვან მეცნიერს და მკურნალს ნინო ჯავახიშვილს და სასიკვდილოდ გადადებული ავადმყოფი გადაურჩენია.

– თქვენ, ქართველებს, საამაყოდ მარტო ამ ქალბატონის არსებობაც გეყოფათო, – იმეორებდა თურმე მთელი პერსონალი.

... წარმოუდგენელი ჭირთათმენით უზრდიდნენ უშორეს წარსულიდან სამშობლოს გმირ ქალებს, ზოგჯერ ხმლით ხელშიც რომ იცავდნენ პირად ღირსებას, ზნე-ჩვეულებებს, მიწა-წყალს... წარმოუდგენელ ტანჯვას რომ იტანდნენ და იღუპებოდნენ ქრისტიანული რწმენის შენარჩუნებისათვის, უყოყმანოდ ეგებებოდნენ ათასგვარ წამებას დ იღუპებოდნენ კიდეც.

ეს ისტორიულად!

ახლა კი მათ უკვდავ სახელებს უერთდებიან ოჯახისათვის და ერისთვის სახელოვანი სხვადასხვა დარგის მუშაკები: მეცნიერები, პოეტები, სპორტსმენები...

თხუთმეტი წლის იყო ნინო ჯავახიშვილი, საშუალო სასწავლებელი ექსტერნის წესით რომ დაამთავრა.

სწორედ იმ წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სამედიცინო ფაკულტეტი გამოეყო და ცალკე სახელმწიფო ინსტიტუტად ჩამოყალიბდა. თავად ცხოვრებამ მოითხოვა ეს გამოყოფა. საქართველო იმ ხანად მწვავე დეფიციტს განიცდიდა სპეციალისტ-საექიმო კადრებისას, ალბათ ამანაც განაპირობა, ნინომ რომ მედიკოსად გახდომა მოინდომა.

400 სტუდენტი მიიღეს პირველსავე წელს სამედიცინო ინსტიტუტში და მათ შორის საშუალო სკოლის ახლადდამთავრებულთა რიცხვი 6–7 ადამიანით თუ შემოიფარგლებოდა. ძირითადად ექთნები, ფერშლები, ტექნიკური მუშაკები იყვნენ. მაინც ღირსეული გუნდი ჩამოყალიბდა საშუალო სკოლის ახლადდამთავრებულთაგან – ილია ფაღავა, ალიოშა ჩაჩანიძე, ვახტანგ შანიძე, ბათუ კრავეიშვილი – რომელიც თურმე სულ მღეროდა...

ინსტიტუტში სწავლების პერიოდში დაუკავშირა თავისი ბედი ქალბატონმა ნინომ მაია (მამედ) კომახიძეს, 8 წლით მასზე უფროსს, იმხანად ანატომიის კათედრის ასპირანტი რომ იყო.

ერთმანეთს მართლაც ამშვენებდა და ავსებდა ეს შესანიშნავი წყვილი.

ბრწყინვალე სპეციალისტი და ორგანიზატორი მაია კომახიძე სულ მალე რესპუბლიკის მთავარ ქირუ-

რგად დანიშნეს. მაშინ ჩვენს რესპუბლიკაში სამედიცინო მომსახურება, განსაკუთრებით პროვინციებში, ძალზე დაბალ დონეზე იდგა. მამია კომახიძემ მთელი თავისი ენერგია ამ მიმართულებით წარმართა, აიძულებდა შესაბამის ორგანიზაციებს სისტემატური თხოვნით, გაეხსნათ ახალ-ახალი სამედიცინო ცენტრები და პუნქტები თვით მივარდნილ სოფლებშიც კი. ამ დიდ კეთილშობილურ საქმეში ქმარს ყოველთვის გვერდით ედგა ქალბატონი ნინო და, მიუხედავად ურთულესი სამეცნიერო საქმიანობისა, იგი ყოველთვის გამონახავდა ხოლმე დროს, ხელი შეეწყო ქმრისთვის მოვალეობის შესრულებაში.

ძალზე იტაცებდა სახელოვან მედიკოსს სისხლძარღვთა ტრავმის პრობლემები და არაერთი გამოკვლევაც განახორციელა ამ მიმართულებით, თანაც იმავდროულად მუდამ შველოდა მეუღლეს კლინიკურ საქმიანობაში. ვინ მოთვლის, რამდენ კარგ საქმეს ჩაუყარა საფუძველი ამ განუმეორებელმა ტანდემმა.

ოცდაექვსი წლის იყო ქალბატონი ნინო, როდესაც წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ოცდაცამეტი წლის ასაკში კი უკვე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გახდა, 1953 წელს პროფესორის წოდებაც მიენიჭა.

მრავალი სამეცნიერო ნაშრომი შექმნეს ბატონმა მამიამ და ქალბატონმა ნინომ ერთობლივად და ცალ-ცალკე – გამოაქვეყნეს მონოგრაფიებად და წიგნებად, რომლებიც ახლაც სამაგიდო წიგნებად ითვლება სპეციალისტებისთვის.

ახლა უკვე საქვეყნოდ ცნობილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი 1948 წელს გაიხსნა და მას სათავეში სახელოვანი მეცნიერი ალექსანდრე ნათიშვილი ჩაუდგა. განსაკუთრებით აფასებდა ქალბატონ ნინოს მეცნიერულ ნიჭსა და შემართებას ბატონი ალექსანდრე და იმიტომაც სულ მალე თავის მემკვიდრედ აღიარა კიდეც იგი.

46 წელი ხელმძღვანელობდა ნინო ჯავახიშვილი ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტს. სამასზე მეტმა ასპირანტმა და მაძიებელმა დაიცვა სამეცნიერო დისერტაცია ამ პერიოდში და ყველა მათგანი ახლა დიდი პატივისცემით და მადლიერების გრძნობით იგონებს ქალბატონ ნინოს სახელს. ორმოცდაშვიდმა დისერტანტმა უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით მოამზადა და დაიცვა დისერტაცია და ეს მაშინ, როცა თავად ნინო არასოდეს წყვეტდა ინტენსიურ სამეცნიერო საქმიანობას.

უაღრესად პრინციპულ და მომთხოვნ ქალბატონს ინსტიტუტის ხელმძღვანელობის დიდი ხნის მანძილზე ერთხელაც არ მოსვლია უსიამოვნება რომელიმე ხელქვეითთან, თანამშრომელთან. ამიტომაც არის იგი ყოველთვის სამაგალითო და სანიმუშო ყველასათვის როგორც მეცნიერი, მოქალაქე, კეთილი, უჯკვიანესი, სულით ხორცამდე ულამაზესი...

მრავალმხრივ სანაქებო და სამაგალითო ქალბატონი, უწინარეს ყოვლისა, მაინც გამოირჩევა, როგორც დიდი მეცნიერი – მისი სამეცნიერო ნაშრომები, არაერთი, მსოფლიო მნიშვნელობისაა. საკ-

მარისია, აღინიშნოს: მან პირველმა დაამტკიცა ექსპერიმენტულად, რომ ვენამ შეიძლება შეცვალოს არტერია და შეიძლება მისი გამოყენება იშემიური დაავადებების ოპერაციული მკურნალობისას. ამ ბრწყინვალე შრომამ დიდი გამოყენება ჰპოვა კარდიოქირურგიაში. გარდა ამისა, სახელოვანმა მეცნიერმა, პირველმა, გამოაქვეყნა შრომები გულის ვენური სისტემის თავისებურებებზე – სინუსოიდების შესახებ, რითაც გულის პათოლოგიის შემთხვევაში მიუთითა გულის სარეზერვო კვების გზებზე.

ორმოცდაშვიდი წელი ხელმძღვანელობდა ქალბატონი ნინო ჯავახიშვილი მორფოლოგიის ინსტიტუტს და იმავდროულად დღითიდღე იზრდებოდა, როგორც მეცნიერი-მკვლევარი. ამიტომაც არჩიეს იგი ჯერ კიდევ 45 წლისა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 64 წლისა – აკადემიის ნამდვილ წევრად; 50 წლის ასაკში ნინოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა.

ხშირად ხვდებოდა სახელოვანი მეცნიერი სხვადასხვა ქვეყნის სწავლულებს, მედიცინის კორიფეებს მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტზე და არავითარ უხერხულობას არ გრძნობდა, რადგან, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, თავისუფლად ფლობს რამდენიმე უცხო ენას და ენობრივ ბარიერსაც არ აწყდებოდა.

ბრწყინვალე მეოჯახეც არის ქალბატონი ნინო. აკი ხშირად ეუბნებოდა მეუღლე – სადილების კეთებაშიც შესანიშნავი ექსპერიმენტატორი ბრძანდებიო.

და კიდევ ერთი შესანიშნავი გაელვება მისი ნიჭისა – თავად ნინომ დააპროექტა ექსპერიმენტული მორ-ფოლოგიის ინსტიტუტის შენობა და საცხოვრებელი სახლ-მუზეუმი ქობულეთში.

საზოგადოებრივ საქმიანობას აქტიურად ეწეოდა სახელოვანი მეცნიერი. ხშირად მონაწილეობდა იგი მსოფლიოს მშვიდობის დამცველთა ფორუმებში, გამოდიოდა სიტყვით, არჩეული იყო საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში წევრად.

და ბოლოს, საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციას მისი ხელმოწერაც ამშვენებს...

ნონა – ჩვენი სიამაყე

მსოფლიოს ხუთგზის უცვლელი ჩემპიონი ქალთა შორის ჭადრაკში, პირველი დიდოსტატი მანდილოსანი, აწ უკვე კარგად ცნობილი, ახალი ეპოქის დამწყები ქალთა შორის ჭადრაკის განვითარებაში.

ნონა გაფრინდაშვილი...

ერთხელ კიდევ გაბრწყინდა მისი სახით ქართველი ქალის უბადლო ნიჭი, გონიერება, კდემამოსილება, უნიკალურობა, განუმეორებელი ხიბლი...

„ჭადრაკი ჩემი ცხოვრების არსია, რასაც შევწირე თავი ბავშვობიდან და არც ვნანობ", – განაცხადა ძლევამოსილმა მოჭადრაკემ.

იმთავითვე კარგად გააცნობიერა საამაყო დიდოსტატმა ცნობილი შეგონება, რომ „ჭადრაკი მთლიანად ითხოვს ადამიანს, იგი სუსტი ნებისყოფის ადამიანისათვის არ არის შექმნილი" (სტეინიცი) და რომ, ჭადრაკი „ნერვების, ინდივიდუალობის, თავმოყ-

ვარეობის გამოცდაა“ (ალიოხინი), – ამ პრინციპებით ხელმძღვანელობდა ნონა მარადჟამს.

ჯერ კიდევ ბავშვობაში ნონას სპორტის სხვადასხვა სახეობა იტაცებდა და მრავალ მათგანში წარმატებასაც აღწევდა, მაგრამ ჭადრაკი მისთვის მაინც სულ სხვა რამ იყო.

„მართალია, ჭადრაკი სპორტის სახეობაა, – წერდა ნონა, – მაგრამ გაცილებით მაღლა დგას სპორტის ნებისმიერ სახეობაზე შემოქმედებითი ჰორიზონტებით, ესთეტიკური თავისებურებებით, ფსიქოლოგიური სიღრმით“...

ცნობილი პედაგოგის ტერენტი გაფრინდაშვილის ოჯახი ექვს წარჩინებულ შვილს უზრდიდა სამშობლოს, ხუთი ვაჟკაცს და ერთ ქალიშვილს – ნონას.

ექვსივე შვილი მამის წაქეზებით გატაცებით ვარჯიშობდა ფრენბურთში, ჩოგბურთში, კალათბურთში, ფეხბურთში, ჭადრაკში. ტოლს არ უდებდა ძმებს ნონა ნებისმიერ სახეობაში.

შვიდი წლით მასზე უფროსმა ძმამ, შემდგომში პირველთანრიგოსანმა ემზარმა აზიარა ჭადრაკის ანაბანას ოთხი წლის ნონა. აზიარა და გოგონა მალევე მთელი არსებით გადაეშვა ამ საოცარ სამყაროში.

მეტად თავმოყვარე იყო ჯერ კიდევ ცეროდენა. ალბათ, იმიტომაც, რომ შინაგანად გრძნობდა ძალას, პოტენციას, ჟინს, უნარს. აკი აღმოთქვა ჩურჩულით მეზობლის უსამართლოდ დაყვირების შემდეგ: „იყვირე, იყვირე, შენ არ იცი, რა გამოვალ, როცა გავიზრდები“.

უშიშარიც იყო იმთავითვე, უშიშარი და შეუპოვარი. ერთგვარი მომნუსხველი ძალაც რომ გააჩნდა! სამაგალითოდ შეიძლება გავიხსენოთ: ერთხელ ნონამ ბაზარში შეიარა და გამყიდველს ერთი კილოგრამი წაბლი ააწონინა. მერე ჯიბეზე ხელი მოისვა და ცარიელი აღმოჩნდა. გაფითრებულმა ირგვლივ მიმოიხედა და... დროულმა ქალბატონმა ქურდზე თვალით ანიშნა. ნონა წამსვე მასთან მიიჭრა და მკაცრად შესძახა, – ახლავე გადაიხადე წაბლის საფასურიო. იმდენად მომნუსხველი იყო ნონას თვალების გაევლება და შეძახილი, ქურდმა უმალვე წაბლის გამყიდველს ფული გაუწოდა და გაიძურწა.

ცამეტი წლის იყო მაშინ ტანმორჩილი ნონა.

წარმატებით გამოირჩეოდა თითოეული დღე ჭადრაკში ნონასთვის. მალე იგი ჯერ მშობლიური ქალაქის ზუგდიდის ნაკრების წევრი გახდა და გუნდთან ერთად ქალაქ ბათუმში გაემგზავრა. იქ ნონას მონაწილეობა უნდა მიეღო საქალაქთაშორისო შეჯიბრში რესპუბლიკურ პირველობაზე, როგორც ზუგდიდის გუნდის წევრს. მეხუთე ადგილზე გამოვიდა მაშინ ზუგდიდის ნაკრები და ეს სულაც არ იყო ცუდი შედეგი.

დამთავრდა შეჯიბრება, კუთხეში მარტოდმარტო მდგომ ნონასთან სიმპათიური, თმაშეევერცხლილი გამხდარი კაცი მივიდა და ოჯახის ამბები დაწვრილებით გამოკითხა, ბოლოს დაავალა, მშობლებისათვის გადაეცა – თუ თანახმანი იქნებიან, ვახტანგ ქარსელაძე ამეცადინებს ჭადრაკში თქვენს შვილსო.

ძალზე გაახარა ბატონი ტერენტი და მისი ოჯახის ყველა წევრი ცნობილი მწვრთნელის ამ წინადადებამ.

მეტად ესიამოვნა ეს ამბავი თბილისში მცხოვრებ ნონას დეიდას, ტატიანას, და ბიძას, დიმიტრი ჯაბუას. ისინი უშვილონი იყვნენ და ერთი წლის წინათაც ეხ-ვეწებოდნენ ტერენტის, ნონას ჩვენ გავზრდითო.

მაინც, რამ გამოიწვია ცნობილი მწვრთნელის ასე-თი ინტერესი ნონასადმი?

ამას კარგად ხსნის თავად ნონა გაფრინდაშვილი: „ჩემში ვახტანგ ქარსელაძემ ნახა ის პირველქმნილი მასალა, რომელიც ჯერ კიდევ არავის გავლენის ქვეშ რომ არ იყო მოქცეული, რომლისგანაც მას შეეძლო შეექმნა ის, რაზეც დიდი ხანია ოცნებობდა“ და კიდევ: „ჩემს თამაშში მან აღმოაჩინა ამ ასაკში იშვიათი შეხ-ამება მახვილი კომბინაციური ხედვისა მოქმედებათა თანმიმდევრობისადმი მიდრეკილებასთან“.

თხუთმეტი წლის იყო ნონა, როცა საქართველოს პირველობაზე ჭადრაკში ქალთა შორის მონაწილეო-ბა მიიღო და ბრწყინვალე შედეგით, 15,5 ქულა 16 შეს-აძლებლიდან, საქართველოს ჩემპიონი გახდა.

პირველ დიდ სენსაციად სწორედ ეს გამარჯვება მიიჩნია ქართველმა ხალხმა და მოაწყდა შეჯიბრების დარბაზს დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, მისალო-ცად, ავტოგრაფების ჩამოსართმევად...

უდიდესი საბრძოლო ასპარეზი გადაიშალა ნონას წინაშე: არაერთი საკავშირო შეჯიბრება, მსოფლიო ჩემპიონატის ტურნირები...

იყო კი ყოველივე ამისათვის ჯერ კიდევ სავსებით ახალგაზრდა ნონა მზად?

აქამდე ნონა შეტევითი სტილით თამაშობდა. ეს მისი სტიქია იყო, ხასიათიდან მომდინარეობდა, რაშიც მწვრთნელი ვახტანგ ქარსელაძე მხარს უბამდა. ახლა კი, ახალ გამოცდილ მეტოქეებთან შესაბმელად აუცილებელი ხდებოდა დიდი ყურადღება დაეთმო ენდშპილისათვის, საფუძვლიანად შეესწავლა იგი. უამისოდ მედგარ წინააღმდეგობას წააწყდებოდა შეჯიბრების მონაწილეთა მრავალ წარმომადგენელთან, რომლებსაც ეგზომ ეხერხებოდათ პოზიციური ბრძოლა.

ამიტომაც გადაწყვიტეს ჭადრაკის მესვეურებმა, ნონას მწვრთნელად მოეწვიათ მიხეილ შიშოვი, გამოცდილი მწვრთნელი და პოზიციური ბრძოლის შესანიშნავი მცოდნე.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ნონა გაფრინდაშვილს მწვრთნელებში გაუმართლა, თავად ნონაც აშკარად გამოხატავს კმაყოფილებას ყველა მწვრთნელის მიმართ (მესამე მწვრთნელი, ნონასავე სურვილით, აივარ გიპსლისი იყო). სამივემ ძალზე ბევრი გააკეთა თავის მხრივ, რათა ნონა უფრო საფუძვლიანად დაუფლებოდა ჭადრაკის რთულ ხელოვნებას. ყოველივე ეს არაერთგზის უთქვამს ნონა გაფრინდაშვილს.

საჭადრაკო ბრძოლის რთულ, ხანგრძლივ გზაზე ნონას მრავალგზის სმენია გამოცდილ სპეციალისტთა გამამხნევებელი შეძახილები, დამაიმედებელი და სასიამოვნო შეფასებანი, რაც ხელს უწყობდა მისი შესაძლებლობების უკეთ გამოვლენას.

ამ მხრივ აღსანიშნავია ცნობილ დიდოსტატთა მოსაზრებანი ერთი პარტიის თამაშზე პრეტენდენტთა ტურნირისა, რომელიც მიმდინარეობდა 1961 წელს. ოცი წლის ნონა მაშინ ხვდებოდა მსოფლიოში სახელგანთქმულ მილუნკა ლაზარევიჩს. ეს პარტია ცნობილია უაღრესი დრამატულობით და მაშინდელი მსოფლიო საჭადრაკო სამყაროც შემოიარა. პარტიის მსვლელობისას დიდოსტატმა ბონდარევსკიმ, როცა ნონამ ბრძოლაში მეფის აქტიურად ჩაბმა მოინდომა, არადა, მეფე აქამდე პასიური ფიგურა იყო და მას იცავდა დანარჩენი ფიგურები, აღელვებულ შიშოვს ხელი გამოდო, ბუფეტში გაიყვანა და უთხრა: „თუ ნონა მეფით წავა g7-ზე, ახლავე შეიძლება ოსტატობის კანდიდატის წოდების მინიჭებაო". შემდეგ, როცა ნონამ მეფის შეტევა კიდევ უფრო განავითარა, მომდევნო სვლაზე იმავე ბონდარევსკიმ განაცხადა: „არა, მე შევცდი, ნონასთვის ახლავე შეიძლება ოსტატის წოდების მინიჭება"–ო. აღტაცების ფინალი ჯერ კიდევ წინ იყო... ბოლოს, როცა ნონამ მეფე კიდევ უფრო გააააქტიურა და მესამე სვლით წინ წასწია, დიდმა უნგრელმა მოჭადრაკემ სოლადიმ წამოიყვირა: „ეგ ხომ დიდოსტატის თამაშია!". ამრიგად, ნონას გაბედულმა ახლებურმა გააზრებამ ერთობ აღაფრთოვანა სპეციალისტები და ამ ორთაბრძოლის ბედიც გადაწყვიტა. ნონა გაფრინდაშვილმა ელისაბედ ბიკოვასთან ჩემპიონობისათვის ბრძოლის საგზური მოიპოვა.

მომლოცველთა ტალღა ნონასკენ ჯერ კიდევ ტურნირის მსვლელობისას დაიძრა. მერე კი იმატა,

და ბოლოს, ნონამ სახლში წასვლა ვეღარ შეძლო. ტურნირის ორგანიზატორები იძულებული გახდნენ, ორი მილიციელისათვის მიენდოთ ნონას გაცილება. ამასთან დაკავშირებით ნონა იგონებს ერთ ღიმილისმომგვრელ შემთხვევას. მაშინ, როცა ორ მილიციელს შორის მდგომი ნონა ქუჩაში ერთმა ხანდაზმულმა მანდილოსანმა დაინახა, სახე ჩამოიხოკა და წამოიძახა: „ნეტავ, ასეთი რა დააშავა ამ თითისოდენა გოგომ, ორ მილიციელს რომ მიჰყავს ციხეშიო“.

ჩვეული პასუხისმგებლობით მოემზადა ნონა ელისაბედ ბიკოვასთან შესახვედრად. საფუძვლიანად შეისწავლა და გააანალიზა მიხელ შიშოვთან ერთად უკანასკნელი 6–7 წლის მანძილზე ბიკოვას ნათამაშები 150 პარტია და დაასკვნა: მოწინააღმდეგე ყოველმხრივ ეცდებოდა ნონას ჩათრევას პარტიების იმ სტადიაში, თვითონ განსაკუთრებით ძლიერად რომ გრძნობდა თავს, კერძოდ, ენდშპილში, რომლის მიმართ ნონა სიმპათიას არ ამჟღავნებდა.

ბიკოვა სამატჩო ტიპის მოჭადრაკე იყო და, სწორედ ამიტომ ნონამ და მისმა მწვრთნელმა მუშაობა იქითკენაც წარმართეს, რომ ნონას სიდინჯე შეენარჩუნებინა მატჩის დროს, ემოციებს არ აჰყოლოდა. ამ მხრივ ძვირფასი რჩევები მისცა მას კონსულტანტმა დავით ბრონშტეინმა. მან ღრმად შეასწავლა ნონას, როგორ წარემართა პარტიის ბოლო სტადია, არ გაჯიუტებულიყო და თავი არ აერიდებინა უბრალო პოზიციებისათვის, მშვიდად ეთამაშა ენდშპილში და მოწინააღმდეგე თავს ვერ მოახვევდა საკუთარ თამაშს.

სხვა მხრივაც ეცადა დ. ბრონშტეინი ნონას მომზადებას. ამ მიზნით, ერთ დღეს ბიკოვას სურათი მიუტანა და ურჩია, – საძინებელ ოთახში დაკიდე, რომ მასზე გაბრაზდეო. ვერ გამოიყენა ეს რჩევა ჩვენმა საამაყო ქალბატონმა. გაბრაზება ნონას ხასიათში საერთოდ არ თავსდებოდა. მით უმეტეს, რომ ამის ოდნავ საფუძველს თავად ბიკოვა არ იძლეოდა: „სამაგალითოდ ეჭირა თავი, მიუხედავად იმისა, რომ მოვლენები მისთვის უხეიროდ წარიმართა“.

თავად ბრონშტეინი მატჩის დაწყებისთანავე ციმბირში გაემგზავრა ჭადრაკის საკითხებზე ლექციების წასაკითხად. მიზეზი ნათელი იყო – არ უნდოდა, მავანს ეფიქრა, რომ მატჩის მსვლელობისას იგი ნონას ეხმარებოდა.

შვიდი მოგება, ოთხი ფრე, არც ერთი წაგება! – ასე გაიმარჯვა ნონამ. ამრიგად, ნონა გაფრინდაშვილმა, 21 წლის ასაკში, მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინი დაიდგა.

მთელი ერის აღტაცება, უთვალავი მილოცვები, არაერთი მიწვევა!...

ცოტა ხნის შესვენების შემდეგ მსოფლიო ჩემპიონი ჩვეული პასუხისმგებლობით შეუდგა ტიტულის შესანარჩუნებლად მომავალი ბრძოლისათვის მზადებას.

უკვე სახელმოხვეჭილი ალა კუშნირი გახდა მეტოქე სულ მალე. ალა კუშნირი მტკიცე ნებისყოფის მქონე, მეტად პატივმოყვარე ადამიანი სამგზის – 1965, 1969 და 1972 წელს შეხვდა ნონას მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად ბრძოლაში.

საოცრად უდრეკი, შეუპოვარი, თუმცა მეტის-მეტად სწორხაზოვანი პოზიციის სტილის მოჭადრაკე ალა ძალზე ძნელი პრაქტიკული მეტოქე იყო, მაგრამ, იგი ცუდად ფლობდა ტაქტიკური ბრძოლის საშუალებებს და იქ, სადაც საჭირო იყო, შემოქმედებითი ფანტაზია არ ჰყოფნიდა...

7 გამარჯვება, 3 დამარცხება, 1 ყაიმი – 8,5–4,5 – ასეთი იყო კუშნირთან პირველი ორთაბრძოლის შედეგი ნონას სასარგებლოდ.

მაინც ვერ გატეხა ამ შედეგმა ალა კუშნირის ნებისყოფა. უფრო მეტიც, მეორე შეხვედრა მათ შორის ზუსტად იმავე შედეგით – 8,5–4,5–ით რომ დამთავრდა, ალა კიდევ უფრო მეტი ჟინითა და შემართებით შეუდგა ახალი შეხვედრის უფლების მოპოვებისათვის მზადებას და მიაღწია კიდევ მიზანს.

მესამე მატჩში ნონას აშკარად გაუჭირდა და ეს შედეგშიც აისახა – 8,5–7,5 – ნონას სასარგებლოდ. თავისი ობიექტური მიზეზი ჰქონდა ამ „წარუმატებლობას". მატჩის მეორე ნახევარი ნონამ ავადმყოფმა ჩაატარა.

ასე დასრულდა ნონას და ალას ხანგრძლივი პაექრობა. მეხუთე მატჩი მსოფლიო ჩემპიონობისათვის ახლა უკვე საქართველოს „შინაური" საქმე გახდა. ნონასთან ბრძოლის უფლება მეორე ქართველმა, ნანა ალექსანდრიამ მოიპოვა.

ნანა ნონაზე 8 წლით უმცროსი იყო. სხვა მხრივ, მათ საერთო ბევრი ჰქონდათ – ორივენი ფილოლოგები იყვნენ, ინგლისური ენის სპეციალისტები. თამა-

შის სტილითაც ერთმანეთს ჰგავდნენ. მათი პირველი დამკვალიანებელი დიდი ასპარეზობისას ვახტანგ ქარსელაძე გახლდათ, რომელიც აშკარად გრძნობდა კიდეც, რომ მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლა სულ მალე ნონასა და ნანას შორის გაიმართებოდა.

„ჩვენს პირდაპირ, გვერდი-გვერდ, ზის ორი შესანიშნავი მოჭადრაკე, და შესაძლოა, მომავალი მეტოქეები – ნონა და ნანა"... და, რომ, მათ შორის ნამდვილი მეგობრული დამოკიდებულებაა – ესეც ვახტანგ ქარსელაძის დამსახურებაა, ესეც მისი სკოლაა.

8,5–3,5 – ასეთი იყო მათი ორთაბრძოლის შედეგი ნონას სასარგებლოდ. მიზეზი ასეთი შედეგისა, ნონას აზრით, იყო მისი სამატჩო ბრძოლის დიდი გამოცდილება, უპირატესობა ორმხრივი მწვავე პოზიციის გათამაშებაში და უფრო მტკიცე ნერვული სისტემა („ჩვეული სიმშვიდით მეძინა"-ო – იგონებს იგი).

გადიოდა დრო. ჭადრაკი გოგონათა შორის საქართველოში უფრო და უფრო პოპულარული ხდებოდა, რაშიც ლომის წილი ნონას ავტორიტეტს მიუძღვოდა. ჩვენში მალე მოჭადრაკე ქალთა ძლიერი გუნდი ჩამოყალიბდა, რომელიც შესანიშნავ წარმატებებს აღწევდა საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებზე. თავად ნონასაც პერსონალურად შეჰქონდა თავისი ღირსეული წვლილი ყოველივე ამაში და იმაშიც, მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მასზე ბევრად უმცროსმა ქართველმა მოჭადრაკემ მაია ჩიბურდანიძემ რომ მოიპოვა.

ახლაც აქტიურად მოღვაწეობს დიდებული ქალბატონი, ერის სიამაყე ნონა გაფრინდაშვილი საქართველოში ჯადრაკის პოპულარიზაციის, მისი ორგანიზაციული სფეროს გაუმჯობესებისათვის და განა მარტო ჯადრაკში? იგი არაერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციის აქტიური წევრი და ხელმძღვანელი ბრძანდება და ჩვეული ენერგიით და კდემამოსილი პატიოსნებით იღვწის ქვეყნის ცხოვრების არაერთ სფეროში, რათა გაბრწყინდეს სათაყვანებელი საშშობლო მსოფლიო თანავარსკვლავედში.

შინაარსი

წინასიტყვა 3
მედეა 6
მოციქულთა სწორი, ქართველთა განმანათლებელი (წმიდა ნინო) 16
წმიდა სალომე უჯარმელი და პეროჟავრი სიონელი 25
„უმჯობეს არს ჩემთვის სიკუდილი“ (ხაზართა სასძლო) 27
მართა–მარიამი 31
დედოფალი რუსუდანი – თამარის აღმზრდელი 39
თამარს ვაქებდეთ მეფესა 45
ქეთევან წამებული 57
მარიამ დედოფალი (როსტომ მეფის მეუღლე) 64
ცხრა გმირის დედა (ხერხეულიძე) 71
დარეჯან დედოფალი 76
თეკლა ბატონიშვილი 89
უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი 98
იმერეთის დედოფალი (დარეჯანი) 112
სადედოფლოდ გამზადებული ღირსეული მამულიშვილი (ერეკლეს შვილიშვილი) 122
უმანკო მსხვერპლი 131
წინაპართა ანდერძით 138
გმირი და წმინდანი 148
ანა 159
სულით ხორცამდე ულამაზესი და უჯკვიანესი 173
ნონა – ჩვენი სიამაყე 180